რუსუდან ანასტასია კალანდაძე

მეფე სოლომონის საგანძური

თბილისი
2023

რუსუდან ანასტასია კალანდაძე

მეფე სოლომონის საგანძური

თბილისი
2023

რუსუდან ანასტასია კალანდაძე

მეფე სოლომონის საგანძური

(სამ ნაწილად)

ნაწილი I

თბილისი
2023

რედაქტორი: ნინო (დოდო) ხანთაძე-იაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მაკა ბედიანაშვილი

ნაშრომი რეგისტრირებულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში

ISBN: 978-9941-8-5702-7

ავტორისაგან

ძვირფასო ბავშვებო!

ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობისას თითოეულ თქვენგანს სიამოვნებით გაუწევს მეგზურობას ზღაპრების კრებული „მეფე სოლომონის საგანძური“.

სამყაროში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი დიდი, ბრძენი მმართველი, როგორიც გახლდათ ისრაელის სიბრძნით განთქმული მეფე სოლომონი, დავითის ძე, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ.წ. X ს-ში.

მიდიან დრონი და მიდიან ადამიანები, მაგრამ ის სიბრძნე, რაც მეფე სოლომონმა დაუტოვა კაცობრიობას, არასოდეს შეიცვლება, რამეთუ სიბრძნე მარადიული ღირებულებაა.

„ყოველივე გაივლის“ – სწორედ ეს სიტყვები ამოატვიფრინა მეფე სოლომონმა ბეჭედზე, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა, რადგან ცხოვრება წარმავალია, მაგრამ სიბრძნე და მშვენიერება არასოდეს გახუნდება, რადგან თვით სიბრძნეა ჭეშმარიტი მშვენიერება.

დიდია ებრაელი ერის წვლილი მსოფლიო კულტურის საგანძურში, რომელთა შორის უპირველესია მათი საერთო წინაპრის, სემიტი ხალხის მიერ შექმნილი პირველი ანბანური დამწერლობა.

კაცობრიობამ რთული და გრძელი გზა გაიარა გამოქვაბულიდან, ლურსმნულ დამწერლობამდე და სემიტურ ანბანურ დამწერლობამდე, რაც კაცობრიობისათვის დიდი მონაპოვარია. სემიტურ ანბანურ ასო-ნიშნებში საიდუმლოებებია ჩაქსოვილი. სემიტურ დამწერლობაზე, მის სიღრმესა და სიბრძნეზე საინტერესო განმარტებას იძლევა ებრაული თქმულება: „თუნდაც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება ან დამატება ქვეყნის აღსასრულის მომასწავებელია“.

რაოდენ სასიხარულოა, რომ სწორედ საქართველოში ქართველი და ებრაელი ერის 26 საუკუნოვანი მეგობრობის ნიშნად შეიქმნა ზღაპრების კრებული – „მეფე სოლომონის საგანძური“, რომელშიც სიბრძნით განთქმული მეფე კიდევ ერთხელ გვიჩვენებს სემიტური ანბანური დამწერლობის ამ უძველეს ნიმუშებს და თითოეული ასო-ნიშანი გვიყვება საინტერესო ზღაპარს.

ჩვენ ვამაყობთ ებრაელ ერთან მეგობრობით, რისი დადასტურებაცაა თვით ეს წიგნი. გენიოსებს შორის სამართლიანად შერაცხული ქართველი მგოსანი, შოთა რუსთაველი, აკი გვმოძღვრავს კიდეც: – „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო“.

ამ ნაშრომით კიდევ ერთხელ მივესალმებით ქართველი და ებრაელი ერის 26 საუკუნოვანი მეგობრობის ისტორიას.

რუსუდან კალანდაძე
მწერალი, მკვლევარი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,
საქართველოს „ფაზისის“ მეცნიერებათა საერო აკადემიისა და
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

კარიბჭესთან თქმული

რუსუდან კალანდაძე ჭეშმარიტი მეზღაპრეა.

იგი სრულად ფლობს თანამედროვე ლიტერატურაში იშვიათობად ქცეული ამ ურთულესი ჟანრის საიდუმლოებებს.

ორიგინალური სიუჟეტი და სიუჟეტის მოულოდნელი, სწორედ კლასიკური ზღაპრისთვის დამახასიათებელი განვითარება, შთამბეჭდავი, მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი პასაჟები, გრძნეული იმქვეყნიურ-ამქვეყნიური სამყარო პერსონაჟთა სამოქმედოდ, იმედიანი ფინალი, ლაღი, ხატოვანი თხრობის მანერა - აი, რა თვისებები ახასიათებს ამ წიგნის ავტორს.

რუსუდან კალანდაძის ზღაპრები იმითაც არის ორიგინალური, რომ სემიტური ასონიშნები დაკავშირებულია არქაულ და კლასიკურ ფინიკიურთან. ამ მხრივ, ამ კრებულს მოზარდთათვის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობაც აქვს.

ებრაელთა ბრძენი მეფე სოლომონი აღებს ყოველი ზღაპრის კარს და, სწორედ რომ, სოლომონის სიბრძნე გასდევს ლაიტმოტივად თითოეულ ზღაპარს.

ამ და სხვა მშვენიერი ლიტერატურულ-ფილოსოფიური თვისებების გამო მხარს ვუჭერ რუსუდან კალანდაძის ზღაპრების გამოცემას არა მარტო საქართველოსა და ისრაელში.

რევაზ მიშველაძე

საქართველოს სახალხო მწერალი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

რუსუდან კალანდაძის ზღაპრები

დიდი გულისყურით წავიკითხე ჩვენი მწერალი ქალის რუსუდან კალანდაძის ზღაპრები.

მოგეხსენებათ, რაოდენ ძნელია ზღაპრულ სამყაროში შეღწევა, იქ მოგზაურობა, ასეთ საოცარ ჟანრში საკუთარი თავის პოვნა და დამკვიდრება.

თქვენ წარმოიდგინეთ, რუსუდანი ამას მშვენივრად ახერხებს. გულწრფელად ვიტყოდი, რომ ისე კარგად და მიმზიდველად ყვება თითქმის სიზმრისეულ ამბებს, რომ ყველა მის მონაყოლს ნამდვილი პროფესიონალის ბეჭედი აზის.

მშვენიერი ქართულით წერს, ძალდაუტანებლად იკითხება მეზღაპრე ქალბატონის, მართლაცდა, ზღაპრულად მონათხრობი უძველესი ამბები.

აქ წარმოდგენილი მისი ყველა ზღაპარი საინტერესოა.

ნამდვილად კარგი საჩუქარი იქნება რუსუდანის წიგნი ჩვენი ნორჩი თაობისთვის.

გზა დაელოცოს ნიჭიერ ქალბატონს!..

თემურ ჩალაბაშვილი

პოეტი,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

მეფე სოლომონი ეწვია უძველეს, თეთრი მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ დაფას, რომელზეც ოქროს ასოებით იყო ამოტვიფრული პირველი 22 სემიტური ასო-ნიშანი და პირველი ასო-ნიშნის საიდუმლო კარი გაიღო, რომლის სახელია:

ალეფ (ალფ), რომლის მნიშვნელობა არის - **ხარი.**

არქაული და კლასიკური ფინიკიური

აი, რომელ ზღაპარს გვიყვება პირველი ასო-ნიშანი:

გველის პერანგი

სოლომონ-ბრძენს მეზობელ სამეფოდან მეტად ღირსეული ხელმწიფე ეწვია, ვინც იცოდა მისი სიბრძნის შესახებ და თავისი გულისნადები გაანდო:

- ვინ არ იცის, დიდო მეფეო, თქვენი სიბრძნის ამბავი, ამიტომ თქვენთან რჩევის მისაღებად მოვედი. ძვირფასო მეფევ! მხოლოდ ერთადერთი ვაჟი მყავს, რომელსაც მინდა, ჩემი სამეფო ჩავაბარო. მართალია, უფლისწულს ჩინებული სწავლა-განათლება მივეცი, მაგრამ ძალიან მინდა, გონიერებაში თქვენ გამოსცადოთ. მინდა შეამოწმოთ, რამდენად მომზადებულია ქვეყნის და ხალხის საპატრონოდ. თქვენზე უკეთესად ვინ იცის, რა დღეში ჩავარდება სამეფო, თუ მას, ჭკუა-გონებით და ღირსებით, შესაფერისი პიროვნება არ ჩაიბარებს. – გთხოვთ, მეფეო, შეამოწმეთ ჩემი ძე!

სოლომონ-ბრძენმა ტახტის მემკვიდრე თავისთან იხმო. როცა სოლომონი ტახტის მემკვიდრესთან პირისპირ დარჩა, ყმაწვილს გაესაუბრა და თან დავალება მისცა:

- ხვალ დილით, როგორც კი ცაზე მზე ამოვა, სახლიდან ეტლით გაემგზავრეთ ჩემს ბაღში, რომელიც გაშენებული მაქვს უდაბნოში. ბაღამდე მიგაცილებს ჩემი მსახური, რომელიც დილიდან სასახლის შესასვლელთან დაგელოდება. ბაღში შენი მეგზური ორი მოსაუბრე გვრიტი იქნება. ბაღის დათვალიერების დროს ისე მოიქეცი, როგორც გონება და გული გიკარნახებს. ბაღში რამდენიმე ფიცარი ჰკიდია, რომლებზეც ამოკვეთილია ბრძნული სიტყვები, მათგან ერთ-ერთი, რომელიც

უფრო მოგეწონება, ამოარჩიე და აქ მომიტანე! - უთხრა სოლომონმა ტახტის მემკვიდრეს.

მეორე დილით, სწორედ ისე, როგორც სოლომონ-ბრძენმა დაარიგა, უფლისწული გზას გაუდგა. მეგზურად თან ახლდა მსახური, რომელმაც იგი ბაღამდე მიაცილა. როგორც კი ბაღის კარები გაიღო, უფლისწული, მართლაც, დამატყვევებელი სილამაზის ტყვეობაში აღმოჩნდა. ნამდვილად, ადამიანის თვალი, უდაბნოს ბაღზე უფრო მშვენიერს, ვერაფერს ნახავდა! თუმცა, ალბათ, ძალზე შემაწუხელებელი იყო ის, რომ უდაბნოს მზე, რაც შეიძლება, მწვავედ აფრქვევდა ციდან საოცრად მხურვალე სხივებს.

ბაღში, უფლისწულთან მიფრინდნენ მოსაუბრე გვრიტები, რომლებმაც ტახტის მემკვიდრეს მთელი ბაღი დაათვალიერებინეს.

უფლისწულმა დაინახა, რომ ბაღის ყველაზე უფრო ცხელ წერტილში მეტად ლამაზი ყვავილი ამშვენებდა გარემოს. ყვავილთან კი იქვე, მის სიახლოვეს, იდგა წყლით სავსე კოკა.

მოლაპარაკე გვრიტებმა ჭაბუკს უთხრეს: - ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ეს ყვავილი ძალიან მოგეწონათ, ნებას გაძლევთ, მას გასაგრილებლად წყალი დაასხათ კოკიდან. კოკა სასწაულმოქმედია, რამდენჯერაც დაიცლება, იმდენჯერ ივსება!

უფლისწული დაფიქრდა და უსიტყვოდ გააგრძელა გზა. ცოტა ხანში უდაბნოს ბაღში, უკვე სხვა ადგილას, ჭაბუკმა ისევ აღმოაჩინა არანაკლები სილამაზისა და საუცხოო ჯიშის სხვა ყვავილი.

- რადგან ასე ძალიან მოგეწონათ ეს ყვავილი, მოგიწყვიტავთ და მოგართმევთ, შეგიძლიათ თანაც წაიღოთ სამახსოვროდ. ეს ყვავილი უკვდავია, არ ჭკნება, – ალაპარაკდნენ გვრიტები, მაგრამ შეთავაზებაზე უფლისწულმა უარი თქვა და ისევ განაგრძო გზა.

ცოტა ხანში ჭაბუკმა ბაღში თვალი მოჰკრა გველის პერანგს.

– აი, ამას კი ნამდვილად თან წავიღებ! - უთხრა მან გვრიტებს.

– ეს ხომ გველის პერანგია! გველი ბოროტებითა და გესლით სავსეა, რად გინდა მისი პერანგი? - უთხრეს გვრიტებმა. მაგრამ უფლისწულმა მათ ლაპარაკს ყურადღება არ მიაქცია, აიღო გველის პერანგი, სათუთად გაახვია ნაჭერში და თან წაიღო.

ბაღის ბოლოში უამრავი წარწერიანი ფიცარი იდო თაროებზე, მათზე ამოტვიფრული იყო ბრძნული ნათქვამები. უფლისწული მივიდა თითოეულ მათგანთან და გულდასმით გადაიკითხა, შემდეგ ამოირჩია მისთვის სასურველი ის ფიცარი, რომლის სიბრძნეც მას ყველაზე მეტად მოეწონა და სამეფო ბაღი დასტოვა.

სანამ უფლისწული უკან, სასახლეში, მეფე-სოლომონთან დაბრუნდებოდა, მოლაპარაკე გვრიტები გაფრინდნენ უდაბნოს ბაღიდან და უფლისწულის თითოეული გადადგმული ნაბიჯი და მოქმედება დაწვრილებით მოახსენეს მეფეს.

ასე რომ, როდესაც ტახტის მემკვიდრე ეახლა მეფეს, მეფემ უკვე ყველაფერი იცოდა ყმაწვილის მოქმედების შესახებ:

- ახალგაზრდა უფლისწულო! შეკითხვები მაქვს შენთან, რატომ არ დაუსხი წყალი უდაბნოში იმ ყვავილს, რომელიც ყველაზე მცხუნვარე ადგილზე იყო ამოსული? რატომ არ დაეხმარე მას?

უფლისწულმა გაიღიმა: - მეფეო, მე მას კარგად დავაკვირდი და ამოვიცანი მისი ფარული ბუნება. ის ყვავილი კაკტუსთა იმ ჯიშს მიეკუთვნება, რომელთაც არასოდეს უნდა დაასხა წყალი, რადგანაც ისინი მადლობის ნაცვლად მწარედ დაგჩხვლეტენ. ალბათ, ბევრს ჰგონია, რომ უდაბნოში ყველა ყვავილს, აუცილებლად სჭირდება წყალი, უბრალოდ, ამის ამოცნობაა ძნელი. წყალი ადამიანმა მხოლოდ მწყურვალს უნდა მიაწოდოს, თორემ «უბედურებას გადაეყრება, ვინაიდან, უჯიშოზე გაწეული სიკეთე, ეს იგივეა, რაც „ღორის დინგზე გარჭობილი ოქროს რგოლი“.

– ყოჩაღ, ყმაწვილო! მე უკვე ვგრძნობ, რომ ჭკვიან ადამიანთან მაქვს საქმე. ახლა ის ამიხსენი, რატომ არ მოწყვიტე ის ულამაზესი ყვავილი, რომელიც ძალიან მოგეწონა?

– ყველაფერი, რაც მოგვწონს და გვატყვევებს, ყოველთვის როდია ჩვენთვის სასარგებლო. ის ულამაზესი ყვავილი, ბუნებით შხამიანი და ვერაგი იყო, გარედან მისი სილამაზე თვალს სჭრიდა, მაგრამ მისი სუნი გახლდათ მომაკვდინებელი. მთავარია, საცდუნებელს განვერიდე. ადამიანები, დაუკრეფავ სილამაზეს ხშირად კარგი მხრიდან შესცქერიან, სინამდვილეში კი დიდმა ღმერთმა იცის, რას მოგვიტანენ ისინი შემდეგში.

სოლომონ-მეფეს, ტახტის მემკვიდრის პასუხი ძალიან მოეწონა.

– უფლისწულო, მაინტერესებს გველის პერანგი რატომ აირჩიე?

- იმიტომ, რომ მამა-პაპათაგან მსმენია, გველის პერანგი სიბრძნის მომტანიაო! გველის პერანგიდან მე მინდა მხოლოდ სიბრძნე და არა შხამი და ბოროტება.

– სიბრძნის ფიცრებიდან რომელი მოგეწონა? - იკითხა მეფე სოლომონმა.

- აი, ეს! - მიუგო უფლისწულმა და გაუწოდა ბაღიდან წამოღებული ფიცარი, რომელზეც ამოკვეთილი იყო სიტყვები: - „რასაც ახალგაზრდობაში შეასწავლი საკუთარ თავს, ის იქნები მთელი ცხოვრების მანძილზე!“.

მაშინ, მეფე-სოლომონმა დაიბარა სასახლეში ყმაწვილი ტახტის მემკვიდრის მამა და უთხრა:

- კარგად გაგიზრდია შენი შვილი, იგი ღირსეულად გაუძღვება თქვენს სამეფოს. მე მასში დავინახე სიბრძნე მომავალი მონარქისა! - შვილის წარმატებით და ქებით ძალიან გახარებული მეფე-მამა, გამოეთხოვა სოლომონ-ბრძენს და შვილთან ერთად დაბრუნდა თავის სამეფოში. – დაამთავრა ზღაპარი ასო-ნიშანმა ალეფმა.

შეგონება:

1. რასაც ახალგაზრდობაში შეასწავლი საკუთარ თავს, ის იქნები მთელი ცხოვრების მანძილზე!
2. ყოველი სილამაზე როდია ნამდვილი სილამაზე.
3. უნდა გესმოდეს, რა არის ჭეშმარიტი სიკეთე და ვის როგორ უნდა გაუწოდო დახმარების ხელი.
4. გულისთქმას ყოველთვის ნუ აჰყვები და გულს გონებაც მიახმარე.
5. ღირსეული ბრძენი მეფე ხალხის მსახურია, უგუნური - საკუთარი ვნებების.

მეფე სოლომონი კვლავ ეწვია დაფას, რომელზეც 22 უძველესი სემიტური ასო-ნიშნის საიდუმლოებით შემკული მეორე საიდუმლო კარი გააღო, რომლის სახელია:

ბეთ, რომლის მნიშვნელობა არის - **სახლი**



1. არქაული და კლასიკური ფინიკიური,
2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური (V-III სს.ძვ. წ.).

აი, რომელ ზღაპარს გვიყვება მეორე ასო-ნიშანი:

ჰორიზონტის გადაკვეთა

ეს ამბავი, რაც ახლა მინდა გიამბოთ, მოხდა ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით, ლამაზ, მაგრამ ყველასგან მივიწყებულ სოფელში, სადაც ცხოვრობდა ახალგაზრდა, მშვენიერი აღნაგობის მონადირე, რომელიც ბუნებით ძალიან კეთილი იყო და მეოცნებე, რაშიც, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ, თითქმის არაფრით არ ჰგავდა მონადირეთა უმრავლესობას. ნადირობის გარდა, მას უყვარდა ტყეში ცხენით სიარული და ბუნებით ტკბობა. ერთხელაც, საკვირველი სანახაობის მოწმე გახდა. მან დაინახა, რომ ტყის შუაგულში მდებარე, ულამაზესი ყვავილებით აჭრელებული მინდორი, მთლიანად, სხვადასხვა ზომის გველებით იყო სავსე. ისინი, მინდორის შუაგულში მდებარე სიპი ქვის გარშემო იყვნენ შეკრებილები, რაზეც იდო დიდი, მოელვარე ალმასი.

ამ სანახაობამ ძალიან გააოცა მონადირე, მაგრამ შემდეგ გაახსენდა მამა-პაპათაგან მონაყოლი თქმულება გველების შესახებ:

თურმე, გველთა წინამძღოლი დედა-გველი მუცლით ატარებდა ძვირფას ალმასის ქვას და, როცა მოახლოვდებოდა გველების განაყოფიერების დრო, პირიდან გადმოაგდებდა ალმასს, რათა დარჩენილ გველებს მისთვის თაყვანი ეცათ. ასე მრავლდებოდა გველების მოდგმა.

ადამიანებს ძალიან უნდოდათ ძვირფასი ქვის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, რადგან დედა-გველი ბრძენი იყო და ქვის სიახლოვეს უცხო პირის მიახლოებას იმ წუთშივე გრძნობდა და ადგილზევე კლავდა შხამით ადამიანს.

მაგრამ თქმულება იმასაც ურჩევდა ალმასის ხელში ჩაგდების მსურველებს, რომ, თუ ისინი, ანუ რომელიმე მათგანი, მაინც და მაინც ქვის ხელში ჩასაგდებად თავის გაწირვას არ შეუშინდებოდა, საუკეთესო ცხენის დახმარებით სწრაფად უნდა გაქცეულიყო გველების ტერიტორიიდან, გადაეცურა 9 მდინარე, რადგან მეცხრე მდინარის გადაცურვის შემდეგ გველებს ეკარგებოდათ ორიენტაციის უნარი, დედა-გველი თავს იკლავდა, ხოლო მისი გველების ამალა უკან ბრუნდებოდა ხელმოცარული.

თქმულება მთავრდებოდა იმით, რომ ალმასის მომპოვებელი პიროვნება გახდებოდა ძალიან ძლიერი და ჰორიზონტის გადაკვეთასაც კი შეძლებდა.

ეს ყველაფერი გაახსენდა მონადირეს და დაღონდა, რადგან მიხვდა, რომ მისთვის ამ სურვილის ასრულება საკმაოდ რთული იყო. მონადირე მხოლოდ შორიდან, ხეს ამოფარებული, ტყიდან უცქერდა იმ უჩვეულო სანახაობას, რაც მინდორში ხდებოდა.

უცებ, სივრცეში გაიბნა საოცარი ჰანგები, მუსიკის ხმაზე გველებმა წრე შეკრეს და ნელა დაიწყეს სრიალი იმ დიდი ქვის გარშემო, რომელზეც ალმასი იდო. უეცრად ერთ-ერთი გველი წრიდან გამოვიდა, ქვასთან მისრიალდა და ულამაზეს ქალად გადაიქცა. მას თავზე ეკეთა ყვავილებისგან დაწნული გვირგვინი, ხოლო ტანზე ემოსა სხვადასხვა ფერით დაჩითული სამოსი.

ქალმა ქვიდან აიღო ალმასი, დაიდო ხელისგულზე და გააგრძელა ცეკვა. ცოტა ხანში ერთი მუსიკა მეორე ჰანგით შეიცვალა, რომლის ხმაზეც მოცეკვავე გველები ლამაზ გოგონებად გადაიქცნენ. ამდენი ლამაზი ასული ერთად არასოდეს უნახავს ჭაბუკ-მონადირეს, თუმცა იგი მონუსხულივით შესცქეროდა მხოლოდ იმ გოგონას, რომელსაც ხელისგულზე ალმასი ედო.

ჭაბუკის გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა. მან იგრძნო, თანდათან როგორ მოედო მის სხეულს უცნობი გრძნობა და მზესავით როგორ სწვავდა იგი. მიხვდა, რომ მეტს ვეღარ მოითმენდა, დაფიქრდა და გადაწყვიტა: – რაც არის, არის, ბედსა ვცდი, ჩემი რაშით შევიჭრები მინდორში, მოვიტაცებ ალმასს და, გველი თუ უკან დამედევნება, მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამო.

რამდენიმე წუთს კიდევ უცქირა ალმასით მოცეკვავე ქალს, შემდეგ ცხენს შემოჰკრა მათრახი, შევარდა მოედანზე, მოცეკვავე ქალს, რომელიც სინამდვილეში იყო გველების დედა, ხელიდან გამოსტაცა ალმასი და მინდვრიდან გავარდა. ლამაზი ასულები გონს მოვიდნენ, მუსიკა შეწყდა და ყველანი ისევ თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდნენ, ასისინდნენ და დედა-გველის წინამძღოლობით გაეკიდნენ ჭაბუკ-მონადირეს. მონადირის ბედაური მიჰქროდა მთელი სისწრაფით, მაგრამ არც გველთა ლაშქარი იყო ჯაბანი და უნიათო.

ჭაბუკი-მონადირე ჯერ ერთ მდინარეში შევიდა, შემდეგ მეორე მდინარე გაახსენდა და იქითკენ გაეშურა, გველებიც მიჰყვებოდნენ სრიალით კვალდაკვალ.

– ერთი, ორი, სამი, ოთხი, – მძიმედ ითვლიდა ჭაბუკი და ხელით სახიდან სიმწრის ოფლს იწმენდდა.

ადვილი არ იყო, რასაკვირველია, ცხრა მდინარის გადალახვა და გველებისაგან თავის დაღწევა.

როდესაც დაღლილ-დაქანცული ჭაბუკი მეცხრე მდინარესთან მივიდა და ბედაურს უბიძგა წყალში შესასვლელად, უცბად მოესმა: – შეჩერდი, ჭაბუკო! ერთი წამით შეჩერდი, ნუ გადალახავ მეცხრე მდინარეს, დამიბრუნე ალმასი და სანაცვლოდ ცოლად გამოგყვები!

ჭაბუკ-მონადირეს იმავე დროს, თითქოს გონებაში წინაპრების უხილავი ხმები ჩაესმა: – წინ გასწი, წინ! აღარ მიიხედო უკან! – დაუჯერა მონადირემ შინაგან ხმას და, როცა მეცხრე მდინარეც გადალახა და ნაპირზე გავიდა, მხოლოდ მაშინღა გაიხედა უკან, მაგრამ, რაც ნახა, სჯობდა არასოდეს არ ენახა: – შუა მდინარეში შესული დედა-გველი, ისევ ულამაზეს ქალად ქცეული, მაგრამ გარდაცვლილი, თავისი დაჩითული კაბით მდინარეს თან მიჰქონდა. მონადირემ ხელები თავში შემოირტყა: – დავკარგე, ჩემი სიყვარული, ამიერიდან ვეღარავის ისე ვეღარ შევიყვარებ, როგორც ეს ქალადქცეული გველი შემიყვარდა, თუმცა ვგრძნობ, რომ ეს სიყვარული რაღაც არაადამიანური, არამიწიერია და უცნაური, მაგრამ რა ვქნა, ენით გამოუთქმელ სევდასა ვგრძნობ.

– ვინ გამიგებს? ვის შევჩივლო? ეს რომ მოვყვე, შეშლილად ჩამთვლიან, გველი შეუყვარდაო, არადა, რაღაცა მოხდა ჩემში, მგონი შევიშალე...

ჭაბუკს გაახსენდა ალმასის ქვა და ფრთხილად ამოიღო ჯიბიდან, მზესავით აელვარდა ალმასი.

– თუმცა ჩემი საკუთრება გახდი, მაგრამ სამაგიეროდ, დიდი სიყვარული დავკარგე, – მწუხარედ დაიჩურჩულა მონადირემ: – რა თავში ვიხლი შენს ძალას და მშვენიერებას? გთხოვ, თუ შეგიძლია, დამეხმარე და ჩემი საყვარელი ადამიანი დამიბრუნე! შენზე ამბობენ, ჰორიზონტს კვეთსო, იქ ადამიანი ბედნიერებასთან მიჰყავსო, ჰოდა, თუ შეგიძლია, დამიბრუნე ჩემი ოცნება, ჩემი პირველი სიყვარული!

მაგრამ, ქვა დუმდა. მონადირემ ალმასი ისევ შეინახა გულის ჯიბეში და გადაწყვიტა, რჩევის საკითხავად მისულიყო სიბრძნით განთქმულ მეფე სოლომონთან.

მეფე-სოლომონის კარზე, ჭაბუკი-მონადირე დიდი პატივისცემით მიიღეს. ხუმრობა ხომ არ იყო გველების ცნობილი ალმასის ქვის მოპოვება. მეფე-სოლომონი მონადირის ვაჟკაცური საქციელით აღფრთოვანებული, სიხარულით შეხვდა მას.

– ყური მიგდე, ჭაბუკო! ნუ აჰყვები ვნებებს და გულისწადილებს, მინდა გირჩიო, თუმცა წინასწარ ვგრძნობ, რომ ჩემი რჩევა უნაყოფო იქნება შენთვის, რადგან შენ იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნი, ვისთვისაც ძვირფასი რჩევა ქარს

გატანებული მადლია, მაგრამ მე მაინც დაგარიგებ და გირჩევ: – ნუ ეძებ წარმავალ სოფელში ბედნიერებას, რადგან იგი მუდამ ჰორიზონტს მიღმა რჩება.

ჰორიზონტის გადაკვეთა რომ შეიძლებოდეს, სიცოცხლე დაკარგავდა აზრს და მაინც, ჰორიზონტის გადაკვეთა - ეს ის, მოპოვებული ბედნიერებაა, სადაც სიცოცხლე სილამაზეს ეთხოვება!

გველების ალმასი ადამიანებს აჩუქე, იგი ფარულად, წყაროს წყალში ჩააგდე, რადგანაც, ვინც კი იმ წყაროს წყალს დალევს, გაძლიერდება, ხოლო, ვინც იმ წყლით ჭრილობებს მოიბანს, განიკურნება!

გირჩევ, შენი სიმდიდრე სხვათა სამსახურში ჩააყენო, რადგან სიკეთის ჩადენა, იგივე გმირობაა! გახსოვდეს, წარმავალ სოფელში, ვინც უფრო სუსტია, სწორედ მას ხვდება დიდი სიმდიდრე, რათა ბევრიდან უფრო ადვილად მიაგოს მოყვასს, ხოლო, ვინც ძლიერია, მას მცირე ეძლევა, რათა მცირედან შეძლოს იმ დიდი სიკეთის ქმნა, რასაც ჰქვია: - სიკეთე და გულმოწყალება!

ჭაბუკს მეფის სიტყვები გულზე მოხვდა.

– ვიცი, ახლა რაც გაიფიქრე! – გეღიმა მეფეს: – განა, სუსტი ამდენს მოახერხებდაო? – მაგრამ კიდევ გეტყვი: – ქაჯები იხვეჭენ სიმდიდრეს, ბრძენნი კი მუდამ გასცემენ! ოღონდ ისე, როგორც ეს ეკადრება ბრძენს! რადგან მასზე უკეთ, აბა, ვინ იცის, რომ სულელი გამცემი არც ღმერთს არ უყვარს!

ჭაბუკი-მონადირე გამოეთხოვა მეფეს და თავისი გზით გასწია, ფიქრებით გარემოცულმა, არ იცოდა რა ექნა, ადამიანების საკეთილდღეოდ გამოეყენებინა ალმასის ქვა თუ თვითონ, თავის საჭიროებისთვის მოეხმარა.

ის-ის იყო, არჩევანი უნდა გადაეწყვიტა პირველი აზრის სასარგებლოდ, რომ, წყაროსთან მისულმა, წყალში თავისი სატრფოს სახე დაინახა, რომელიც მას უყურებდა სიყვარულით. ჭაბუკმა ვერ შესძლო გამკლავებოდა იმ ისრებს, რომელიც ულამაზესი ქალის თვალებიდან მისკენ იყო მიმართული.

მონადირემ, აკანკალებული ხელით გულისპირიდან ამოიღო ძვირფასი ალმასი, ხელზე დაიდო, დაიჩოქა და სთხოვა: – რა ვქნა, ადამიანებისათვის ვერ გაგიმეტებ, გთხოვ! გემუდარები, შემახვედრე ჩემს წამდვილ ბედნიერებას, ჩემს სიყვარულს, გთხოვ! დამეხმარე! რათა შევძლო ჰორიზონტის გადაკვეთა!

ეს სიტყვები როგორც კი წარმოთქვა, ჭაბუკი თვალის დახამხარებაში ჰორიზონტთან გაჩნდა, რომელსაც ციდან უცბად დაეხურა თხელი თალხი.

მონადირის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: – მაშ, მთავრდება ჰორიზონტიც, თურმე, მაშ, მისული ვარ ბედნიერებასთან, რომელიც ვეღარსად გამექცევა, – ფიქრობდა მონადირე და მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა.

ჭაბუკმა-მონადირემ ხელი გაიშვირა, რათა შეხებოდა ჰორიზონტის თხელ კედელს, უცბად, ხელის შეხებისთანავე, კედელი გასკდა და მონადირე აღმოჩნდა ულამაზეს ბაღში, სადაც ხეებს მხოლოდ ოქროსფერი ნაყოფი ესხათ.

ბაღის შუაგულში კი, ლამაზ ხესთან, ჭაბუკს სწორედ მისი სიყვარული ელოდებოდა.

ულამაზესი ქალი, კვლავ ძველებური მომხიბვლელობით უღიმოდა მას:

– ვიცოდი, ჭაბუკო, რომ მოხვიდოდი ჩემთან, შენს ბედნიერებასთან შესახვედრად, აჰა, იგი შენს ხელთაა, შეგიძლია იგემო მისი ნაყოფი!

ლამაზმა ქალმა, ხის ტოტი დაბლა დასწია – მართალი ბრძანა მეფე სოლომონმა, როცა სთქვა: წარმავალ სოფელში, ბედნიერება მუდამ რჩება ჰორიზონტს მიღმა! - მაშ, მიირთვი მისი ნაყოფი, ნახე, რარიგ ტკბილი და საამოა ის, რასაც ეძიებდი! - ქალმა ღიმილით ჭაბუკს გაუწოდა ოქროს ნაყოფი.

როგორც კი შეჭამა მონადირემ ოქროს ვაშლი, უმალვე განუტევა სული. თვალის დახამხამებაში ირგვლივ ისე გაქრა ყველაფერი, თითქოს და არც არსებობდა არაფერი!

მოვა დრო, როდესაც იმ ალმასს ერთი უჭკვიანესი ბიჭუნა იპოვის! ეს ბიჭუნა, მასავით საუკეთესო ბავშვებთან ერთად, ალმასით სიკეთეს მოუტანს ადამიანებს, რათა ამ სამყაროში არავის შიოდეს, არავის სციოდეს!

ბევრჯერ გითხარი და ისევ გაგიმეორებ:

ბედნიერების ღირსია ის, ვისაც სურს, თავისი სიკეთით სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს, იცხოვროს სხვათა სასიკეთოდ და არა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის!

ასე დაასრულა ზღაპარი ასო-ნიშანმა ბეთმა.

შეგონება:

1. ნუ ეძებ წარმავალ სოფელში ბედნიერებას, რადგან იგი მუდამ ჰორიზონტს მიღმა რჩება... ბედნიერება შეიძლება შევადაროთ თავად ჰორიზონტს – რაც უფრო მეტად მიიწევ მისკენ, უფრო მეტად გშორდება.
2. სუსტი ადამიანები მიწიერი სიმდიდრისმ მოხვეჭას ცდილობენ, ძლიერი პიროვნებები კი მარადიულ ღირებულებებს ესწრაფვიან და ცდილობენ საკუთარ თავში დაამკვიდრონ სიკეთე გულმოწყალების სახით.
3. ერიდე ყოველივეს, რაც კი ხიბლში გხვევს... ჭეშმარიტება სადა და უბრალოა.
4. მარადიული სიცოცხლე ეძლევა მხოლოდ მას, ვინც საკუთარ სიცოცხლეს არა მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას ახმარს, არამედ ვინც სხვებსაც აბედნიერებს.

მეფე სოლომონმა ამჯერად ასო-ნიშნების მესამე კარი გააღო,
რომლის სახელია:

გიმელ (გიმლ, გამლ), რომლის მნიშვნელობა არის - **აქლემი**

კლასიკური და საშუალო ფინიკიური

აი, რომელ ზღაპარს გვიყვება მესამე ასო-ნიშანი:

კუზიანების ქვეყანა

იბერიის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ტყის პირას, ერთი კეთილი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა.

ქმარი ტყის მცვეი იყო და ჩინებულად ართმევდა თავს ამ მოვალეობას, ხოლო მეუღლე - დიასახლისი, შინ გვიან დაბრუნებულ მეუღლეს გემრიელი კერძებით უმასპინძლდებოდა.

ტკბილი ცოლქმრობა ჰქონდათ, ოღონდ ეს კი იყო, შვილი არ უჩნდებოდათ და ძალიან დარდობდნენ, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა;

ტყის მცველმა ტყეში დაჭრილი გვრიტი იპოვა.

კაცს გვრიტი შეეცოდა, შინ წამოიყვანა და უმკურნალა.

გვრიტი მალე მორჩა, მაგრამ აღარსად წავიდა, დარჩა ოჯახში და საამურად ჟღურტულებდა.

ერთ დღეს მოულოდნელად გვრიტმა ენა ამოიდგა და ცოლ-ქმარს უთხრა, რომ სიკეთე უკვალოდ არ ქრება და მალე ოქროსქოჩრიანი ბიჭი გაგიჩნდებაო.

ცოლ-ქმარი განცვიფრდა, გვრიტი უბეში ჩაისვეს და სულ ეფერებოდნენ და ეფერებოდნენ...

ქალი მალე დაორსულდა და ცხრა თვის თავზე ულამაზესი ოქროსქოჩრიანი ბიჭი გააჩინა.

სიხარულით ცას წვდებოდნენ მეუღლეები და ღმერთს უზომოდ ჰმადლობდნენ.

დრო ელვის სისწრაფით გარბოდა და ბიჭი დღითიდღე იზრდებოდა, ჯანმრთელი იყო, სულ მცინარი და პაწაწინა თვალებში თავის ასაკზე უფრო მეტი ჭკუა იკითხებოდა...

ბედნიერ მშობლებს სხვა რაღა უნდოდათ... თუმცა მათ არ იცოდნენ, რომ წუთისოფელში ბედნიერებას თან სდევს უბედურება, თუმცა უბედურების უკანაც შეიძლება ჩუმად იყოს ბედნიერება ამოფარებული...

ყველაფერი ცუდად მას შემდეგ დატრიალდა, როცა დედამ ბავშვი გარეთ გამოიყვანა და ჰამაკში ჩააწვინა. რაღაც სულ ერთი წუთით იგი სახლში შებრუნდა, რომ ბავშვისთვის საჭმელი გამოეტანა.

სად იყო და სად არა, სრულიად მოულოდნელად, თვალის დახამხამებაში, ციდან საოცრად მახინჯი, უცნაური ფორმისა და შესახედაობის ფრინველი დაეშვა, რომელიც ძალიან წააგავდა უხსოვარი დროის გადაშენებულ ფრინველს - არქეოპტერიქსს.

იგი მივარდა ჰამაკში მწოლიარე ბავშვს, კლანჭები ჩაავლო, აიტაცა და გაფრინდა.

კიდევ კარგი, რომ ამ ყველაფერს გვრიტმა შეასწრო თვალი... ძალ-ღონე არ დაიშურა, ისიც სულ მაღლა აფრინდა და ბოროტ ფრინველს თავზე დააჯდა, მთელი გამეტებით დაუწყო თავში ნისკარტის კაკუნი, რათა აეძულებინა იგი, რომ ბავშვი დაბლა დაესვა, თუმცა ამაოდ...

სამი დღე და ღამე იფრინეს ასე.

ნათქვამია, „წვეთ-წვეთობით წყალი ქვას გახვრეტსო“. ბოროტ ფრინველსაც ასე მოუვიდა... ვეღარ გაუძლო ბოროტმა ზედიზედ ამდენ თავში კაკუნს და იძულებული გახდა, დაბლა დაშვებულიყო, რომ გვრიტი როგორმე თავიდან მოეშორებინა.

რომელიღაც მინდორზე დაჯდა, ბავშვს კლანჭები გაუშვა, ძირს დააგდო და გვრიტის მოგერიება დაიწყო.

ჭკვიანი გვრიტი მიხვდა, რომ მას ვერ გაუმკლავდებოდა და გაფრენა მოასწრო. იგი იქვე მყოფ ეკლიან ბუჩქში შევარდა, დიდმა ფრინველმა კი ვერასგზით მოახერხა სიღრმეში შეძრომა, რადგან ეკლებში გაება და ფართხალი დაიწყო.

ამ ყველაფერს თვალი შეასწრო ახლო მყოფმა მინდორში სამუშაოდ გამოსულმა მოხუცმა ცოლ-ქმარმა. ბოროტი ფრინველი იქვე მოკლეს. ბავშვის პოვნით კი საოცრად გაიხარეს. თურმე, ისინიც უშვილოები იყვნენ.

როცა ბავშვი ხელში აიყვანეს და გულდასმით გასინჯეს მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა:

– სახეზე ლამაზი ბიჭია, მაგრამ ტანი რა მახინჯი ჰქონია... არ ჰგავს ჩვენებურს, კუზი არა აქვსო, – უთხრა ცოლმა ქმარს და ისიც უმალ დაეთანხმა.

მთელი უბედურება იმაში იყო, რომ, თურმე, ბოროტი ფრინველი შემთხვევით კუზიანთა ქვეყანაში მოხვდა, სადაც თითოეული მცხოვრები კუზიანი იყო, უფრო

მეტიც, ამათ ქვეყანაში თვით ცხოველები, მწერები, მცენარეებიც კი კუზიანები იყვნენ...

მოკლედ, მნახველს გული შეგიწუხდებოდა კუზიანთა ქვეყანაში ამდენი კუზიანის ცქერით. საშინელი სანახავი იყო აქ ყოველი სულიერი არსება, მაგრმ ახლა ერთი მაგათთვისაც გეკითხათ აზრი!

– მართალია, ბავშვი მახინჯია, – უთხრა კაცმა ცოლს, – მაგრამ მაინც სჯობს, რომ ვიშვილოთ და, როცა კარგად წამოიზრდება, შემდეგ ავდგეთ და ჩვენი ქვეყნის ყველაზე ჩინებულ დასტაქარს მივუყვანოთ. იგი გაალამაზებს. რომელიმე მომაკვდავი კუზიანიდან კუზს აჭრის და ბავშვს დააკერებს, რა პრობლემაა...“.

ცოლს ქმრის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა.

– კარგი, ეგრე იყოს, – უთხრა მეუღლეს და ბავშვი სახლში წმოიყვანეს.

გვრიტიც, რა თქმა უნდა, უკან გაჰყვა. აბა, ბიჭის ბედს ვიღაც კუზიან ცოლ-ქმარს ხომ არ ანდობდა...

როცა ისინი სახლში არ იყვნენ, ანდა სულაც გვიან ღამით, გვრიტი შეფრინდებოდა ოთახში და ბავშვს მშობლიურ ენაზე ლაპარაკს ასწავლიდა...

მოკლედ, ძალიან დამეგობრდნენ ბიჭი და გვრიტი...

მათი მეგობრობა გრძელდებოდა დიდხანს და საიდუმლოდ...

გვრიტი პაწიას იმ სიმღერას უჭიკჭიკებდა, დედა რომ უმღეროდა მას ძილის წინ.

მოკლედ, ყველაფერი შეასწავლა გვრიტმა ბიჭს, მოუყვა, გააფრთხილა და გახდა მისი ნამდვილი სულიერი მეგობარი.

როცა ბიჭი წამოიზარდა, ცოლ-ქმარმა იგი სკოლაში შეიყვანა, მაგრამ მან სწავლა არ ისურვა, რადგან სკოლაში მას ყველა დასცინოდა იმის გამო, რომ კუზი არ ჰქონდა.

– ნუ დარდობ, ბიჭო, მალე ჩვენებური გახდები, როგორც კი მე-17 წელში გადადგები, ექიმთან წაგიყვანთ და ყველაზე საუკეთესო, დიდ კუზს დაგადგამთ. მანამდე კი როგორმე გაუძელი. რახან სკოლაში არ ივლი, ჩვენთან ერთად წამოხვალ მინდორში სამუშაოდ, – უთხრა მამამ და ისიც დაემორჩილა, სხვა რაღა გზა ჰქონდა.

მათი ნათქვამი გვრიტმა მოისმინა და ძალიან შეწუხდა:

– როგორ შეიძლება, ულამაზესი, ოქროსქოჩრიანი ბიჭი დაამახინჯო და კუზი დააკერო?! უნდა ვუშველო, მაგრამ როგორ? ღმერთო, გამიხსენი გონება, – ევედრებოდა იგი ღმერთს.

დღედაღამ ფიქრობდა გვრიტი, თუ როგორ გაეყვანა ბიჭი კუზიანების ქვეყნიდან და სამშობლოში დაებრუნებინა.

– ვინ იცის, საბრალო მშობლები რა დღეში არიან, – ფიქრობდა იგი და არც ცდებოდა. უბედური მშობლები ლამის ჭკუაზე აღარ იყვნენ და მთელ თავიანთ სიცოცხლეს გლოვასა და რიტილში აღამებდნენ.

ერთ დღესაც გვრიტმა თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა.

გზად ვიღაც გამვლელ-გამომვლელების საუბარს ყური მოჰკრა, კუზიანების ქვეყნის ხელმწიფეს სასწაული ოქროს რაში ჰყავს, რომელიც კი არ დაქრის, თუ საჭიროა, ზეცაშიც აფრინდებაო.

ჰოდა, გვრიტი საოცარი წვალებით, რის ვაი-ვაგლახით შეფრინდა მეფის საჯინიბოში და ოქროს რაში დაიმეგობრა.

რაც თავს გადახდა, ყველაფერი დაუფარავად უამბო რაშს, შემდეგ თავისი გასაჭირი უთხრა და ისიც თან დასძინა, შენისთანა ულამაზეს ოქროს რაშს კუზიანი ხელმწიფე კი არა, ოქროსქოჩრიანი ვაჟი უნდა დაატარებდესო. შენ მისი შესაფერისი ხარ და ის კიდევ შენი შესაფერი მხედარი. თქვენ, ორთავენი კი ნორმალურ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეთ, სადაც ყოველივე უნაკლო და მშვენიერია, წამო, წავიდეთ აქედან, ბიჭი ტყვეობიდან დავიხსნათ და შენ კიდევ შენს ჭკუაზე იჯირითე ულამაზეს, ზურმუხტისფერ ქვეყანაშიო, – უთხრა გვრიტმა.

ოქროს რაშს ჭკუაში დაუჯდა მისი ნათქვამი.

– კარგი, ხელსაყრელ დროს შევარჩევ და გაცნობებ, – უთხრა გვრიტმა და გამოემშვიდობა.

უკან დაბრუნებულმა გვრიტმა ყველაფერი უამბო ოქროსქოჩრიან ვაჟს.

– მისმინე, გვრიტო, – ამოიოხრა ვაჟმა. – იცოდე, რომ შესაფერისი დრო მეტი აღარ გვექნება.

– რატომ? – გაუკვირდა გვრიტს.

– იმიტომ, რომ ამათ საუბარს შევესწარი. თურმე, სულ მალე კუზიანთა ქვეყანაში ახალგაზრდა ვაჟი უნდათ ხელმწიფედ. მეტად უცნაური წესი არსებობს ამ სამეფოში. ჩაჰკრავენ ბუკს და ყველა ახალგაზრდა ვაჟი მეფის სასახლის წინ მდებარე დიდ მოედანე უნდა გამოცხადდეს, მათ შორის რომელსაც მხარზე ორბი დააჯდება, მეფედაც სწორედ ის აირჩევა.

ჩემი კუზიანი მშობლები ჯადოქართან წავიდნენ, რომელიც დიდი გასამრჯელოს ფასად დაპირდა, რომ ორბს დაიმორჩილებს და იგი სწორედ ჩემს მხრებზე დასკუპდება... მოკლედ, მალე კუზიანთა ქვეყნის ხელმწიფე შევიქმნები.

ამის მოსმენაზე გული ცუდად გამიხდა. რად მინდა კუზიანების ქვეყანაში ან ხელმწიფობა ანდა თუნდაც პირველკაცობა?! ეს ხომ საშინელებათა ქვეყანაა, სადაც არც კი ესმით ნამდვილი სიკეთე, სილამაზე და სათნოება.

ამისთანა ხალხთან რომ სამუშაოდ მიხვალ, შენც მასეთი უნდა იყო ანდა უნდა გახდე მაგნაირი, რისი სურვილიც ნამდვილად არ გამაჩნია, მაგრამ ჩემს კუზიან მშობლებს არაფრის გაგონება არ სურთ.

შენც მალე გახდები შვილო, ჩვენნაირიო, – დამიყვავეს, – ოღონდ ჯერ შენი ნაკლი უნდა გამოვასწოროთ, შენც ჩვენსავით კუზიანი უნდა გახდე. ხვალ 16 წელი გისრულდება, ჰოდა, დაპირებისამებრ, ოპერაციას გაგიკეთებთო.

მოკლედ, უნდა დამამახინჯონ. იქნებ, მოახერხო და ეს აცნობო ოქროს რაშს. შუაღამით უნდა გავიპაროთ, როცა ყველას სძინავს.

გვრიტი ძალიან შეწუხდა. უკან გამოფრინდა ოქროს რაშთან, ღია სარკმელში შეძვრა და ყველაფერი აცნობა.

მაშინ რაშმა აუხსნა, თუ როგორ შეიძლებოდა მისი გათავისუფლება.

– ღამით მეჯინიბეებს გაბანგულივით სძინავთ. საჯინიბოს გასაღები უფროს მეჯინიბეს უდევს ჯიბეში, როგორმე უნდა ააცალო და საჯინიბოს კარები გააღოო და ისიც უთხრა, თუ რომელი იყო უფროსი მეჯინიბე.

გვრიტს ბედმა გაუღიმა. ადვილად ამოაცალა გასაღები უფროს მეჯინიბეს, რომელიც ისე იყო გამომტყვრალი ღვინით და ისე ხვრინავდა, რომ არა გაუგია რა.

გვრიტმა ნისკარტით შეაცურა გასაღები ბოქლომში, რის ვაი-ვაგლახით გადაატრიალა და, როგორც იქნა, საჯინობოს კარი გააღო.

გვრიტი ზურგზე შესკუპდა და რასი ელვის სისწრაფით გაფრინდა კუზიანი ცოლ-ქმრის სახლისკენ, სადაც მოუთმენლად ელოდა ოქროსქოჩრიანი ვაჟი.

სულ მალე სამივენი ერთად გაფრინდნენ იბერთა სამეფოსკენ.

დილით მთელ საჯინიბოს თავზე დაატყდა კუზინი ხელმწიფის რისვა.

ბევრი იყვირა და ივიშვიშა მეფემ, ოქროს რაში რომ გაფრენილი დახვდა, მაგრამ რას იზამდა...

მეჯინიბეების დასჯით რაში ხომ უკან აღარ დაბრუნდებოდა? არც კუზიანი მშობლები იყვნენ კარგ დღეში.

ნეტავ, სად დაიკარგაო, – გამწარებულები დარბოდნენ აქეთ-იქით და ყველა გამვლელ-გამომვლელს ეკითხებოდნენ, მაგრამ მათი ვაჟის ამბავი არავინ უწყოდა.

ამასობაში კი ოქროს რაშმა დატოვა კუზიანთა ქვეყნის საზღვრები.

სამივენი ბედნიერები იყვნენ, მაგრამ ჩვენს გმირებს წინ ორი უცხო ქვეყნის საზღვარი უნდა გადაეკვეთათ.

პირველი შემხვედრი ქვეყანა გიჟების სამეფო იყო, იმიტომ რომ რაც კი სამყაროში გიჟები იყვნენ, ყველას აქ მოეყარა თავი და აქ დასახლებულიყო.

როგორც კი საზღვარს მიუახლოვდნენ, გიჟმა მებაჟეებმა ისინი გააჩერეს და ბაჟის გადახდა მოითხოვეს.

გვრიტმა ნისკარტით ოქროს ფული გაუწოდა, მაგრამ მათ უარის ნიშნად თავი გაიქნიეს:

– ჩვენ ოქროს რა თავში ვიხლით, აქ სულ სხვა წესები და სულ სხვანაირი გადასახადებია, – უთხრეს მებაჟეებმა. – თუ გინდათ, თავისუფლად გაგატაროთ, ოქროსქოჩრიანო ბიჭო, ცხენზე უკუღმა შემოჯექი და ისე გაიარე.

ბიჭი გაოცდა, წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ გონიერმა გვრიტმა ჩასჩურჩულა:

– ნუ გადაიკიდებ გიჟებს, ახლა სჯობს, მათი წესები მივიღოთ, თორემ ყველანი ერთად წამოვლენ იერიშზე და დავიღუპებით, მათთან გამკლავებას ჩვენ ვერ შევძლებთ და მიზანს ვერასოდეს მივაღწევთ.

ან მიზნის მიღწევა და სიცოცხლე, ან არადა, სიკვდილიო, – დასძინა გვრიტმა.

სხვა რაღა გზა იყო, ოქროსქორიანი ვაჟი უკუღმა შეჯდა ბედაურზე.

კმაყოფილმა გიჟებმა გადაიხარხარეს და ჩვენმა გმირებმაც უვნებლად გაიარეს გიჟების ქვეყანა.

როგორც კი სხვა სამეფოს საზღვრებს მიუახლოვდნენ, ბიჭი რაშზე წაღმა შემოჯდა და ღმერთს მადლობდა, რომ არანორმალურ ადამიანებს თავი მშვიდობიანად დააღწიეს, თუმცა წინ არანაკლები დაბრკოლება ელოდათ.

ამ ქვეყანას სახელად ბოროტთა ქვეყანა ერქვა იმიტომ, რომ აქ წამლადაც რომ გდომოდა, ერთ კეთილ, სათნო გულის ადამიანს ვერ იპოვიდი. ამ ქვეყანაში თითოეული კაცი იმის ცდაში იყო, რომ როგორმე სხვებისთვის გული ეტკინა. საოცარ სიამოვნებას განიცდიდნენ, როცა ვიღაცის სახეზე ტანჯვას ხედავდნენ.

აქაურმა მებაჟეებმა გვრიტს ოქრო ჩამოართვეს, ამის შემდეგ ოქროს რაში თავისი მხედრითურთ გაატარეს, თუმცა ზურგში არც ქვის სროლა დავიწყებიათ.

ის ის იყო, ქვეყნის საზვრების დატოვებას აპირებდნენ, რომ მოულოდნელად ამაზრზენ სანახაობას მოჰკრეს თვალი. ვიღაც კაცი ეშაფოტზე აჰყავდათ.

ჩვენი მგზავრები წუთიერად შეჩერდნენ, შეეცოდათ სიკვდილმისჯილი, რომელსაც სიკვდილის წინ სიტყვის უფლება მისცეს:

– თქვე კაი ხალხო, რა გინდათ ჩემგან, რისთვის ამიყვანეთ ეშაფოტზე წესიერი ადამიანი, მე ხომ უშრომელი გზით ლუკმა არ მიჭამია! რატომ უნდა მომჭრათ ჯერ ხელი და შემდეგ თავი, რისთვის მაწამებთ? სიკვდილის წინ მინდა, გითხრათ სიმართლე. მე თქვენ სიკვდილით ვერ დამამარცხებთ, რადგან სინამდვილეში ხელიც და თავიც თქვენ გაქვთ მოჭრილი, სინდის-ნამუსი არ გაგაჩნიათ, სახელმწიფო ხაზინის ძარცვა-გლეჯით შოულობთ სიმდიდრეს. თქვე სახელმწიფო ხაზინის ვირთხებო, ჩემი სათქმელი ამაყად გითხარით. ახლა კი შეგიძლიათ, მომკლათ. ბედნიერი ვარ, თქვენ რომ არ გგავართ. სიმართლის მთქმელი და მკეთებელი სიკვდილის მერეც კი გამარჯვებულია, – დაიძახა კაცმა და მორჩილად დადო თავი ხის კუნძზე.

– შეჩერდით! – შესძახა ოქროსქოჩრიანმა ვაჟმა. – რახან არ მოგწონთ ეს კაცი, მის სიცოცხლეს ჩვენ გამოვისყიდით. გთხოვთ, ნუ მოუღებთ მას ბოლოს, თუმცა თქვენიც კარგად მესმის, სამყარო ისეა მოწყობილი, რომ კუზიან ადამიანებში სწორი ხერხემალი ითვლება სიმახინჯედ.

მთელი ბრბო უკვე მას მიაშტერდა.

– მაშ, იყიდო გინდა ეს კაცი? – დამცინავად შეეპასუხა ერთი მათგანი. – ვერ მოგართვით. საჩუქარი როგორი გვინდა, ამას ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ. შენს ოქროს რაშს ჩვენ დავიტოვებთ, ხოლო სანაცვლოდ პატარა ნავს შემოგთავაზებთ და მაგით წადით შენცა და ეს კაციც. თუ გინდათ, ჯანდაბამდეც გზა გქონიათ!

– რას ამბობ, შე კაცო, – გაუკვირდა ოქროსქოჩრიან ვაჟს. – ვის გაუგია ხმელეთზე ჭკუათმყოფ კაცს ნავით წასვლა მონდომებოდეს?

– ზღვით რომ მივცურავდეთ, მაშინ გასაგები იქნებოდა თქვენი საჩუქარი, მაგრამ ხმელეთზე ნავით წასვლას მთავაზობთ? – ტკივილი შეეპარა ვაჟს ხმაში. – გესმით თუ არა, რომ თქვენი საჩუქარი საშინლად დამამცირებელია?! ასეთ საჩუქარს ცივილურ სამყაროში ხომ მეფე მიდასის ვირის ყურებს ეძახიან. ღირსეული კაცი ღირსეულ საჩუქარს სთავაზობს, ხოლო ბოროტი ადამიანები დამამცირებელი საჩუქრით ამწარებენ სხვა ადამიანებს.

დანარჩენებმა მის ნათქვამზე გადაიხარხარეს და ოქროს რაშის წასართმევად წამოვიდნენ...

მაშინ ოქროს რაში ჰაერში ეშაფოტთან მივიდა, ჯალათი ფლოქვებით გადმოაგდო, პატიოსანი კაცი ზურგზე შემოისვა და ელვის სისწრაფით დატოვეს იქაურობა.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ბრბო განცვიფრებული იყო.

სულ რაღაც რამდენიმე წამში მათ გადაკვეთეს ბოროტ ადამიანთა ქვეყანა.

– გმადლობთ, კეთილო ვაჟო, კეთილო სულდგმულებო, ოქროს რაშო და გვრიტო, რომ გადამარჩინეთ. ღმერთი გადაგიხდით სიკეთით, სამყაროში არასოდეს არაფერი არ იკარგება. მე აქ დამტოვეთ, თქვენ წინ კი უკვე ზურმუხტის ქვეყანა იწყება. მას იბერია ჰქვია და იგი სიკეთის და სიყვარულის ქვეყანაა, – უთხრა უცნობმა კაცმა, – ოღონდ თქვენი სახელი მითხარით, მინდა ვიცოდე ჩემი მხსნელის ვინაობა.

– არ არის საჭირო, – გაეღიმა ოქროსქოჩრიან ვაჟს. – ერთი რამ იცოდეთ, ადამიანი თუ კარგს აკეთებს, თავის თავს უკეთებს და ცუდს თუ აკეთებს, იმასაც თავის თავს უკეთებს.

სიყვარულით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და ამჯერად გზა ჩვეულებრივად, დინჯად განაგრძეს.

გვრიტი გამუდმებით ეჟღურტულებოდა ვაჟს და ყოველივეს სიყვარულით იხსენებდა.

ცოტა ხანში გზად მიმავალი ოქროსფერი ეტლი შემოხვდათ. ისიც რატომღაც მათსავით ნელ-ნელა, დინჯად მოსეირნობდა. თურმე, მასში ულამაზესი პრინცესა ალისია იჯდა.

როცა ერთმანეთს ჩაუარეს, რაღა დასამალია და, მათი არა მხოლოდ თვალები, არამედ თვით გულებიც კი შეხვდნენ ერთმანეთს.

ორივე შეჩერდა... მზერა ვერ მოსწყვიტეს ერთმანეთს...

ორივე გრძნობდა, რომ რაღაც მოხდა... იყო რაღაც ენით არ თქმული და ამოუცნობი... რაც მთავარია, ერთმანეთის გულების ბაგა-ბუგის ხმაც კარგად ესმოდათ.

ცოტა ხნის შემდეგ ორივემ საკუთარი გზით განაგრძო სვლა, მაგრამ ის უხილავი ძაფები, რომელიც მათ გულებს შეხვედრისთანავე გადაება, გზის გაგრძელების საშუალებას აღარ აძლევდა.

სულ მალე სამი მეგობარი ტყის ნაპირას მყოფ სახლს მიადგა.

ბედნიერება თვით ტყემაც კი იგრძნო, საოცარი შრიალი ატეხეს ფოთლებმა, ჩიტები აჭიკჭიკდნენ, არემარე უცნობი ჰანგებით გაიჟღინთა...

მართლაც, უდიდესი სიხარული და წყალობა იყო, რომ დედ-მამა ცოცხალი და უვნებელი დაუხვდა. საბრალო მშობლები სიხარულით მეცხრე ცაზე იყვნენ, ტიროდნენ, იცინოდნენ და ეალერსებოდნენ უძვირფასეს ვაჟს.

როცა შვილის ალერსით გული იჯერეს, შემდეგ გვრიტსა და ოქროს რაშს დაუწყეს ფერება.

– ასეა, თქვენმა სიკეთემ გადაგარჩინათ, ძვირფასო მშობლებო და დაგიბრუნათ თქვენი ვაჟიშვილი, – უთხრა გვრიტმა. – ხომ გახსოვთ, დაჭრილი რომ შემიფარეთ და სიცოცხლე დამიბრუნეთ? აი, სად დაგიხვდათ წინ თქვენი დათესილი სიკეთე, ახლა ხომ მაინც დარწმუნდით, რომ სამყაროში უკვალოდ არაფერი იკარგება.

ბიჭმა მშობლებს ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა, რაც თავს გადახდა და შემდეგ დასძინა, რომ ცხოვრებამ მას უდიდესი სიბრძნე ასწავლა.

– რა სიბრძნე, შვილო? – ინტერესით შეეკითხა დედა.

– ის, რაც უკვე ადრეულ ასაკში გავიგე, რომ თურმე კუზიანებში სწორი ხერხემალი სიმახინჯედ ითვლება.

ბიჭს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ყოველ ქვეყანაში და, საერთოდ, ყოველ ადამიანში სილამაზის მიმართ ინდივიდუალური დამოკიდებულებაა, რაც ერთისთვის ლამაზია, შეიძლება ის სხვისთვის სიმახინჯე იყოსო. მერე მშობლებს ისიც უთხრა, რომ გზად ულამაზესი პრინცესა შემოხვდა, რომელიც გულში ჩაუვარდა.

რაც უნდა დამიჯდეს, ალისია ცოლად უნდა შევირთოო, – განუცხადა მშობლებს, რამაც ისინი ძალიან დააღონა.

– შვილო, შენ, ერთ უბრალო ოჯახიშვილს, პრინცესას ვინ მოგათხოვებს, ეს აზრი თავიდან ამოიღე, – ურჩიეს მშობლებმა, მაგრამ გონიერ ვაჟიშვილს უკვე ჰქონდა პასუხი:

– მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ცხოვრებამ საკმაოდ განმსწავლა და ვიცი, რომ ნამდვილი სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს, თუკი აუცილებელ პირობას გაითვალისწინებენ ადამიანები.

სიყვარულში გამარჯვება ადვილად როდი მიიღწევა, იმარჯვებს ის, ვინც გონივრულად რისკავს და დაბრკოლებებს არ უშინდება.

მზად ვარ ურთულესი ბრძოლებისთვის, – შესძახა ვაჟმა და ის იყო, ქარქაშიდან ხმალი უნდა ამოეღო, რომ მოულოცნელად მათ ეზოში ოქროს ეტლი გაჩერდა და იქიდან ულამაზესი ალისია გადმოვიდა.

ერთმანეთის დანახვაზე ორივე ადგილზე გაქვავდა. შემდეგ კი უცებ გამოერკვნენ და ოქროსქოჩრიანი ვაჟი უმალ ალისიას წინ დაემხო.

– ადექით, ღვთის გულისათვის, – წაიჩურჩულა ალისიამ, – არ არის საჭირო.

გახარებული ქალ-ვაჟი ერთმანეთს გულში ჩაეკრა. მათ შეხედვას არაფერი სჯობდა.

პრინცესა ალისიამ ვაჟის მშობლებს განუცხადა, რომ თანახმა იყო მათი ვაჟის ცოლი გამხდარიყო.

– მამამ, დიდმა პრინცმა, სრული თავისუფლება მომანიჭა საქმროს არჩევაში. იგი ენდობა ჩემს გონიერებას, მთავარია, ჩემი მომავალი მეუღლე კარგი ადამიანი იყოს, რადგან ცხოვრებაში ყველაზე ძნელი სწორედ ღირსეული საქმროს პოვნაა, სხვა ყველაფერი შედარებით ადვილი მისაღწევია, – თქვა ალისიამ. – სიმდიდრით ჭკუას ვერ იყიდი, ვერც წესიერებას, ვერც სიმამაცეს, ხოლო კარგი სახელი საუკუნეებს გადაწვდება.

როცა თქვენს ოქროსქოჩრიან ვაჟს შევხდვი, მივხვდი, რომ ეს იყო სწორედ ის, ვისაც ჩემი სული ეძებდა.

დიდია ჩემი სასახლე, მაგრამ გაცილებით უფრო დიდია ჩემი გული, რომელიც თქვენ კეთილ მასპინძლობას გაგიწევთ. წავიდეთ და ყველამ ერთად ვიცხოვროთ ჩემთან, სასახლეში, – უთხრა გულკეთილმა პრინცესამ ვაჟის მშობლებს.

ისინი სიხარულით დაეთანხმნენ პრინცესას წინადადებას და ოქროს ეტლში ყველანი ერთად ჩასხდნენ. ოქროს რაშიც და გვრიტიც, რა თქმა უნდა, თან გაჰყვნენ.

მთელი სასახლე ზეიმობდა პრინცესას ბედნიერებას.

ასე მშვენივრად დამთავრდა ოქროსქოჩრიანი ვაჟისა და მისი ლამაზი სიყვარულის ისტორია. ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. – დაასრულა ზღაპარი ასო-ნიშანმა გიმელმა.

შეგონება:

1. ბოროტებისთვის ყველაზე საუკეთესო არჩევანი და მდგომარეობა სიმახინჯეა.
2. არასოდეს დანებდე არც ცუდ მდგომარეობას და არც ცუდ გარემოს. იბრძოლე შენი ღირსებისა და უფლებების დასაცავად!
3. მამაცი და გონიერი ადამიანი ყოველთვის იპოვის გამოსავალს, რადგან არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. თუ ვინმე ასე არ ფიქრობს, მაშინ პრობლემები მის გონებაშია.
4. ნუ დაივიწყებ, რომ სილამაზე და მშვენიერება მიუღებელია სიმახინჯისათვის და ყოველთვის ეცდება, მისი მსგავსი გაგხადოს, შეგკვეცოს, რათა სიმახინჯე ნორმად დაამკვიდროს.
5. ღირსეული ადამიანები ერთნაირად ხედავენ და ჭვრეტენ მარადიულ სილამაზეს და ჭეშმარიტების მსახურნი არიან.

მეფე სოლომონმა ამჯერად ასო-ნიშნების მეოთხე კარი გააღო,
რომლის სახელია:

დალეთ (დელთ), რომლის მნიშვნელობა არის - **კარი.**

1. არქაული ფინიკიური
2. კლასიკური ფინიკიური

აი, რომელ ზღაპარს გვიყვება მეოთხე ასო-ნიშანი:

ფრთამოტეხილი წერო

ცხრა მთისა და ზღვის იქით, ერთ ლამაზ, წიწვოვან სოფელში, ორი მამაცი მონადირე ცხოვრობდა. ერთს მეტსახელად მამაც დაჩის უწოდებდნენ, მეორეს კი – ჭკვიან ბაჩის. ორთავე მონადირეს თავიანთი ძლიერებითა და ჭკუით საქვეყნოდ ჰქონდათ სახელი გავარდნილი.

ერთხელ წიწვოვანთა სოფელს გველეშაპი შეეჩვია და წყაროს წყალი გადაკეტა.

შავ დღეში ჩავარდა სოფელი. მაშინ კი ორთავე მონადირემ გადაწყვიტა, შებრძოლებოდნენ ბოროტს და სოფელი გაჭირვებიდან ეხსნათ.

ბევრი აღარ უფიქრიათ. მონადირეები აღიჭურვნენ საბრძოლო იარაღებით და ერთად გაუდგნენ გზას. ალბათ, ნახევარი გზა გავლილი ექნებოდათ, რომ მოულოდნელად გზაჯვარედინზე ცხენებს გადაეყარნენ. ერთ მათგანს შეხედ-ვისთანავე ეტყობოდა, რომ ჯაგლაგი იყო, მეორე კი, მართლაც, სახელგანთქმული არაბულა რაში იყო; ორთავე მათგანს წარწერა ამშვენებდა.

ჯაგლაგ ცხენს ეწერა: „თავში მწარე, ბოლოში ტკბილი“, ხოლო არაბულას – „აქ ტკობაა“. ლამაზი იყო არაბულა, თან ოქროს უნაგირით და აღვირით იყო დამშვენებული.

უეცრად რაშმა ენა ამოიდგა და მონადირეებს მიმართა:

– ვინც მე ამირჩევს, საუცხოო წალკოტში შევიყვან. იქ მდიდრული სასახლე და ნაირნაირი საჭმელებია, თანაც ბაღში წელიწადის ოთხივე დროს ხილია. გამოსვლა არც კი მოგინდებათ ბაღიდან.

მოხიბლული ბაჩი არაბულა რაშს მიუახლოვდა.

– არ გინდა, ძმაო, – უთხრა მამაცმა დაჩიმ ბაჩის. – გახსოვდეს, რომ წუთისოფელი საშინლად მატყუარაა. ხშირად სიმდიდრის მიღმა დიდი სიღატაკე იმალება. რაც ადვილად მოდის, ადვილადვე იკარგება... თანაც არ დაგავიწყდეს, ჩვენ უდიდესი ვალდებულება გვაწევს მხრებზე – უნდა შევებრძოლოთ ბოროტებას და ადამიანები წყურვილისაგან ვიხსნათ. აბა, რომელი სიმდიდრე შეედრება, როცა შენს ვალს ღირსეულად მოიხდი შენი ქვეყნის წინაშე? ვაჟკაცის სიმდიდრე სიმამაცე და ხმალია... ამაზე დიდი ჯილდო ღმერთს მისთვის არ მიუცია.

მაგრამ ბაჩი ისე იყო მოხიბლული ოქროთი შემკული არაბული რაშით, რომ დაჩის სიტყვებისათვის დიდი ყურადღება არც კი მიუქცევია. შემდეგ კი გონებაში ყოველივე კარგად აწონ-დაწონა და მეგობარს მიუბრუნდა.

– ჩემო კარგო, მე ამ ქვეყანაზე ერთხელ მოვედი, არც ვიცი, თუ რაა სიკვდილის მიღმა. მინდა, დავტკბე ამ ულამაზესი რაშით, მადლობა ღმერთს, რომ არჩევანის საშუალება მაქვს. ნათქვამია, „ბედი რომ კარზე ჩამოგივლის, მაშინვე უნდა სტაცო აღვირში ხელიო“.

ჰოდა, აი, მე ვსტაცე უკვე არაბულას აღვირში ხელი და მის ხელიდან გაშვებას არც კი ვაპირებ. ვინ იცის, სხვა დროს ჩამოივლის კი ასეთი ბედი?!“ – მედიდურად წარმოთქვა ბაჩიმ და არაბულა რაშს ზურგზე მოახტა, მათრახი გადაჰკრა და ისე გაფრინდნენ ორთავენი, რომ თვით ჩიტიც კი ვერ მიეწეოდათ.

დაჩი მონადირე გაოგნდა. რაღას იზამდა, დარჩა მარტო, ჯაგლაგ ცხენთან ერთად, რომელიც მორჩილად მისდევდა უკან.

ბევრი წვალებისა და ხეტიალის შემდეგ მონადირემ გველეშაპს მიაგნო...

როცა ბოროტმა მონადირე დაინახა, მისი ჩაყლაპვა მოინდომა, მაგრამ დაჩიმ კარგად იცოდა, როგორ უნდა შებრძოლებოდა. მშვილდი მოზიდა და მოწამლული ისარი გველეშაპს თავში მოარტყა. გველეშაპმა მაშინვე სული განუტევა.

დაჩიმ გველეშაპი ნაწილ-ნაწილ აკუწა და წყაროს სათავე გაასუფთავა.

დაღლილ-დაქანცული მონადირე შინისაკენ გამოეშურა... მოულოდნელად ერთ-ერთი კლდიდან ქვის ნაწილი მოწყდა და კლდის ნაპრალიდან ოქროსფერი ჩანჩქერი დაეშვა.. მონადირე გაოგნდა.. ამ მხარეში ხეტიალის მეტი რა უკეთებია, იგი ხომ ჩინებულად იცნობდა აქაურობას, მაგრამ ასეთი უჩვეულო სილამაზე მეტი არც ეხილა...

უეცრად ოქროსფერმა ჩანჩქერმა ენა ამოიდგა და მონადირეს მიმართა:

– დაჩი, მამაცო მონადირევ, მინდა ბოროტ გველეშაპზე გამარჯვება მოგილოცო და დიდებული საჩუქარი მოგართვა. მე ჩვეულებრივი კლდის ჩანჩქერი როდი ვარ, არამედ, რაც კი სამყაროში ჩანჩქერები და მდინარეებია, მათი მამოძრავებელი, მაცოცხლებელი სული ვარ. შემოდით ჩემს ჩანჩქერში შენ და შენი ჯაგლაგი ცხენი და ცოტა ხანში თქვენს თავზე სასწაული დატრიალდება.

ულამაზესი სულის პატრონი ხარ, დაჩი, და როცა ჩემი ტალღები შენს სხეულს შეეხება, სასწაული დატრიალდება. შენი სულის ბრწყინვალება დაჰფარავს შენს სხეულს და იქნები მარად ახალგაზრდა მზეჭაბუკი.

გჩუქნი არაჩვეულებრივ გარეგნობას, რადგან სიმამაცესთან ერთად, იმდენად ბრძენი და კეთილშობილი ხარ, რომ შეგიძლია ზიდო სილამაზე.

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობას სილამაზის ზიდვა არ შეუძლია და ბევრი მათგანი ისე დაიღუპა, როგორც ირემი დაღუპა საუცხოო რქებმა. შენ ეს არ დაგემართება, შენ შეიშნოებ მას, – თქვა ჩანჩქერმა და გულში ჩაიკრა მამაცი მონადირე.

როცა ჩანჩქერიდან ამოვიდა, მართლაც მონადირემ ვეღარც თავი იცნო და ვერც ჯაგლაგი ცხენი.

წყლის ზედაპირიდან ულამაზესი ჭაბუკი იმზირებოდა. ჯაგლაგ ცხენს კი აღარ იკითხავთ? ისიც ულამაზეს თეთრ რაშად ქცეულიყო და თან თეთრი ფერის ფრთებიც ამშვენებდა... პეგასი, უმშვენიერესი, ულამაზესი პეგასი. განცვიფრებასა და სიხარულს ვეღარ ჰფარავდა მონადირე და უსაზღვროდ მადლობდა მდინარეთა და ჩანჩქერთა სულს...

მე ერთხელ კიდევ დაგასაჩუქრებ მამაცო, კეთილშობილო მონადირევ, და იცი ეგ როდის მოხდება?! როდესაც შენს ცხოვრებაში სიყვარული შემოაბიჯებს. მაშინ კვლავ ეწვიე ამ ადგილს... კლდე ისევ გაიპობა, მე ისევ დავეშვები შენთან და შენს სატრფოსაც მივანიჭებ ულამაზეს გარეგნობასა და მარადიულობას, ოღონდ ერთი პირობით: შეეცადე, რომ სიყვარულის ფერებმა არ დაგაბრმაოს, დაე, ის იყოს შენი სიყვარულის ღირსი, ვინც სათნოებით ბრწყინავს; ცხოვრების თანამგზავრად მხოლოდ სათნო ბუნების ქალი ამოირჩიე და ბედნიერი იქნები; სათნოება ადამიანში სიბრძნის მაჩვენებელია. ბრიყვი ვერასოდეს იქნება სათნო! – ეს წარმოსთქვა თუ არა, კლდის ჩანჩქერი ისევ გაუჩინარდა ნაპრალებში, ნაპრალები შეერთდნენ და კლდე ისევ ძველებურად გამთლიანდა. მისი შემხედვარე არც კი დაიჯერებდი, რაც მოხდა.

მონადირე დაფიქრებული გაუდგა გზას... გვერდს კი ამჯერად უმშვენიერესი პეგასი უმშვენებდა... უეცრად მხარზე პატარა წვეთის დაცემა იგრძნო. მონადირემ მაღლა აიხედა. ცაზე ღრუბლის ნასახიც არ იყო, სამაგიეროდ, უამრავ წეროს მოეყარა თავი... მიფრინავდნენ წეროები, მიდიოდნენ შორს, თბილ ქვეყნებში და თვალებიდან ნაღვლიანად ყრიდნენ ცრემლებს... ეძნელებოდათ სამშობლოს დატოვება... უეცრად ერთ-ერთი მათგანი ჰაერში დატრიალდა... და ვარდნა დაიწყო... ეტყობოდა, ძალზე რომ უჭირდა ფრენა, სიმწრით იქნევდა ჰაერში ფრთებს, მაგრამ ამაოდ... წეროების გუნდს მოსწყდა და მოულოდნელად მონადირის ფეხებთან დავარდა.

მონადირემ ფრთხილად აიყვანა წერო და გულდასმით დაათვალიერა. საოცარი მეტყველი მზერა ჰქონდა წეროს.

საწყალს ცალი ფრთა ჰქონდა დაზიანებული, ჰოდა, რაღას გაფრინდებოდა... ცალი ფრთით ხომ ვერცერთი სულმდგმული ვერ იფრენს...

მონადირეს წერო შეეცოდა, შინ წამოიყვანა და, ვუწამლებო, გაიფიქრა.

ასეც მოიქცა...

შინ დაბრუნებულს კი მთელი სოფლის მცხოვრებლები შეეგებნენ...

ყველანი ემადლიერებოდნენ და ლოცავდნენ; გოგონები ხომ თვალს ვეღარ წყვეტდნენ... ყველა საოცრად მოხიბლული იყო მონადირითა და უჩვეულო რაშით.

როცა სახლის კარი შეაღო, მონადირემ, პირველ რიგში, ავადმყოფ წეროს მიხედა, დაზიანებულ ფრთაზე სასწაულმოქმედი მალამო დაადო, შეუხვია და თავად კვლავ სანადიროდ წავიდა...

პეგასი ხომ მისი განუყრელი თანამგზავრი გახდა... როგორც კი ზურგზე შეისვამდა, პეგასი ცაში აიჭრებოდა და იქიდან აჩვენებდა მონადირეს საუცხოო ადგილებს... ჰოდა ჩვენი მონადირეც ირჩევდა მისთვის სასურველ სანადირო ადგილებს, საღამოთი კი ნანადირევით დატვირთული მონადირე შინ ბრუნდებოდა და გაჭირვებულ თანასოფლელებს უხვად ურიგებდა ნანადირევს.

თუმცა მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, რადგან სახლი მუდამ დალაგებული და დასუფთავებული ხვდებოდა, ხოლო სადილი – გამზადებული. მონადირე ვერაფრით მიმხვდარიყო, თუ ვინ აკეთებდა ამას... რა თქმა უნდა, ვერც მიხვდებოდა, რადგან იმის შემდეგ, რაც ოქროსფერი ჩანჩქერის დახმარებით მზეჭაბუკად იქცა, მასზე ხომ მთელი სოფლის გოგონები გიჟდებოდნენ... ვის აღარ ეჭირა თვალი! თუმცა დაჩის გულს რატომღაც არცერთი მათგანი არ ეკარებოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომელიღაც გოგონა მისი სახლში არ ყოფნის დროს, მალულად დიასახლისობდა... ყოველ შემთხვევაში, დაჩი ასე ფიქრობდა და გადაწყვიტა, ერთ დღეს სახლში დამალულიყო და გაეგო მისი უჩინარი თაყვანისმცემლის შესახებ.

ერთ დღეს მონადირემ ფრთხლად შემოუარა სახლს, სახურავზე აძვრა და იქიდან საკვამურ მილში მიიმალა.

ცოტა ხანში მის განცვრიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც წერომ თავისი თეთრბუმბულებიანი მოსასხამი გადაიძრო და იქიდან ახალგაზრდა კი არა, ასაკოვანი ქალი გამოძვრა და სახლის დასუფთავებას შეუდგა...

მონადირეს მოულოდნელობისაგან სუნთქვა შეეკრა... უჭირდა დაჯერება, რომ წეროში თურმე ქალი იმალებოდა და ისიც ხანდაზმული, თუმცა ქალი იმდენად ლამაზი აღნაგობისა იყო, რომ ასაკი მისი სხეულის სილამაზეს ხელს როდი უშლიდა..

მონადირემ სწრაფად დაითრია წეროს მოსასხამი და საკვამურში დამალა, შემდეგ ქალს ჩუმად მიეპარა და ხელი წაავლო...

შეშინებულმა ქალმა კივილი მორთო...

– ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებ, შენ და და მე - ძმა, ოღონდ მითხარი, ვინ ხარ ან წეროს სამოსში რად დამალულხარ... ყველაფერი მიამბე და ახლავე გაგათავისუფლებ. - დაჰპირდა მონადირე.

მაშინ შეშინებულმა ქალმა მონადირეს ყველაფერი უამბო... უთხრა, რომ სინამდვილეში წერო კი არა, ადამიანი იყო და სწორედ იმ ბოროტმა გველეშაპმა მოაჯადოვა, რომელიც დაჩიმ მოკლა...

თურმე გველეშაპს ასე დაუწყევლია – ხან წერო იყავი და ხან კიდევ ადამიანი მანამ, სანამ ვინმე წრფელი გულით არ შეგიყვარებსო...

– ვინღა შემიყვარებს აწი, მე ხომ უკვე ხანდაზმული ვარ, – გამოუტყდა ქალი მონადირეს... აი, ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, მაშინ სულ სხვა იქნებოდა. ტყუილად როდი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: „ვისაც ჩემი ახალგაზრდობის სილამაზე არ უხილავს, ნურც სიბერე ენახოსო...“ ასე რომ, მთელი ჩემი ცხოვრება სიყვარულის გარეშე გავატარე.

ერთი საცოდავი შინაბერა ვარ, ის ფრთამოტეხილი წერო, თავის მეგობრებს რომ ჩამორჩა და მარტო დარჩა; ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე ასე დავრჩები და აღარ ვიცი, რა უნდა ვქნა ასე მარტოსულმა... ძალიან უბედურად ვგრძნობ თავს. – ატირდა ქალი.

მონადირეს ქალი შეეცოდა და გულში ჩაიკრა, შემდეგ კი ღრმად ჩახედა ოქროსფერ თვალებში და მოაგონდა, რომ სწორედ ასეთი მზერა ჰქონდა იმ ოქროსფერ ჩანჩქერს, რომელშიც განიბანა და ულამაზეს ჭაბუკად იქცა...

მონადირე უკვე ვეღარ ამჩნევდა ასაკოვან ქალს... მის წინაშე უმშვენიერესი სილუეტი იკვეთებოდა, რომელსაც მზის სხივთა შარავანდედი მოსავდა...

მონადირეს გული უფრო და უფრო უმატებდა ძგერას...

დაჩი ხედავდა მასთან შესახვედრად მქროლავ ულამაზეს სხეულს, რომელსაც ოქროსფერი ჩანჩქერის მსგავსი თმები ამშვენებდა...

მონადირე გრძნობდა, რომ მასში რაღაც ხდებოდა, ენით აღუწერელი მშვენიერი გრძნობა დაეუფლა, რაც მანამდე არც ერთ ქალთან არ განუცდია...

როგორც იქნა, იგი ზმანებიდან გამოერკვა.

– თქვენ ყველა შეგიყვარებთ, ჩემო ფერიავ, – მოეფერა მონადირე ქალს...

– რა იცით?! – იკითხა შემკრთალმა...

– ვიცი. იმიტომ, რომ სული გაქვთ ულამაზესი. – მტკიცედ მიუგო მონადირემ... თქვენი თვალები საოცრად ბრწყინავენ... როცა ღრმად ჩაგხედეთ, ისიც კი ვიფიქრე, სადაცაა ცრემლები გადმოუგორდება-მეთქი. ასეთი მბრწყინავი თვალები მხოლოდ ლამაზ, სათნო სულის ადამიანებს აქვთ.

ახლა კი მე და შენ ერთად წავალთ ერთ მეტად საუცხოო ადგილას. შენ იქ დიდი საჩუქარი გელოდება. – მხიარულად უთხრა დაჩიმ და საჯინიბოდან პეგასი გამოიყვანა. ქალი ზედ შესვა, თვითონაც შეჯდა და სამივენი ჩიტის სისწრაფით გაფრინდნინ სალი კლდეებისკენ...

მონადირემ კლდეს ოქროსფერი ჩანჩქერის დანაპირები მოაგონა.

უეცრად კლდე ისევ გაიპო და იქედან კვლავ დაეშვა ოქროსფერი ჩანჩქერი. მონადირემ ქალი-წერო ოქროსფერ ჩანჩქერში აბანავა... იქიდან ამოსული კი უკვე მზეს ეჯიბრებოდა სილამაზეში. სადღა იყო სიბერე და სევდა... ქალის თვალებიდან წამოსული ოქროსფერი შუქი მზის სხივებივით ეფინებოდა არემარეს. ორივე ბედნიერი ღიმილით შეჰყურებდა ერთმანეთს.

მონადირემ ქალი შინ წამოიყვანა... გზაში დაჩის ქალმა ყველაფერი უამბო მისი დაკარგული მეგობრის – ბაჩის შესახებ.

– მე თავად ვარ მისი დაღუპვის მოწმე. სასახლესთან ახლოს გახლდით სწორედ იმ დროს. მთელ სასახლეს გარედან უზარმაზარი თხრილი აქვს შემოვლებული. იმისათვის, რომ სასახლეში შეხვიდე, აუცილებლად დიდ თხრილს უნდა გადაახტე. როგორც კი არაბულამ ისკუპა, თხრილიდან უზარმაზარი ურჩხული ამოიწვერა, მაშინ არაბულამ მოულოდნელად მხედარი ზურგიდან ჩამოაგდო და ურჩხულმა იქვე გადასანსლა. მოატყუა ოქროს რაშმა მხედარი, თავად კი გაფრინდა და სასახლის ეზოში შევარდა.

ეჰ, ჩემო კარგო, ბედაურის დაჭერა რომ ასე ადვილი იყოს, მას ხომ ყველა დაიჭერდა, – დანანებით წარმოსთქვა ქალმა. არავინ იცის, თუ სად არის, ან რა არის ნამდვილი ბედნიერება.

ადამიანები სიმდიდრეში ხედავენ ბედნიერებას და მწარედაც ცდებიან, გვიან აღმოაჩენენ, რომ სიმდიდრის მიღმა ხშირად მწუხარება და სიკვდილია ჩასაფრებული.

პატარა ხომ აღარ ვარ, ცხოვრებამ დამანახა, რომ სიკვდილი და უბედურება ხშირად ბრწყინვალე სამოსელით ეჩვენება ადამიანებს, რათა მოატყუოს და სამუდამოდ დაღუპოს ისინი.

როცა ადამიანი ამას ხვდება, სამწუხაროდ, მაშინ უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. – დასძინა ქალმა...

მონადირე ბედნიერი იყო, რომ ღმერთმა ასეთი გონიერი და მზრუნველი მეუღლე მოუვლინა..

გახარებულები დაბრუნდნენ სახლში და ბედნიერებით მართლაც მეცხრე ცას სწვდებოდნენ. ქალმა მონადირეს ცხრა ქალ-ვაჟი აჩუქა.

– იცი, რად მოგიყევი, პატარავ, ეს ზღაპარი? - გაიღიმა მეფე სოლომონმა. – ხანდახან ადამიანებს ცხოვრებაში საკუთარი თავი ძალიან უბედური ეჩვენებათ, როგორც, მაგალითად, იმ ფრთამოტეხილ წეროს, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ გაუმართლა. უბედურებისა არ უნდა გეშინოდეს, ჩემო პატარავ, ბედნიერება კი უნდა გაფიქრებდეს, რადგან წუთისოფელში უბედურებაც და ბედნიერებაც ხშირად გადაცმული სამოსით გვევლინება. ამით ისინი გამოცდას უწყობენ თითოეულ ადამიანს.

მხოლოდ ბრძენი ჭვრეტს ბედნიერების ნამდვილ სამოსს.

ისე კი, უმრავლეს შემთხვევაში სიღარიბე, გაჭირვება და უბედურება ბრძენს ირჩევს, მდიდრის კარზე მას ძნელად ესაქმება რამე... ასე რომ, შეიძლება ბედნიერება საწყისი იყოს უბედურებისა და პირიქითაც, უბედურება ხშირად გადაცმული ბედნიერებაა, ისე როგორც ამ ზღაპარში მოხდა. – ასე დაასრულა ზღაპარი ასონიშანმა დალეთმა.

შეგონება:

1. ნუ მოგატყუებს სოფელი თავისი ბრჭყვიალებით. ის, რაც სხეულს ძალზე აამებს, ზოგიერთ შემთხვევაში სულს ღუპავს.
2. გესმოდეს, რა არის სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი და იცხოვრე სწორი ცხოვრებით.
3. ადამიანი ღმერთს მოვალეობისთვის ჰყავს გაჩენილი და არა მხოლოდ ტკბობისათვის.
4. ჭეშმარიტი სიყვარული სულის სილამაზეს დაეძებს და მას არ აინტერესებს არც ძალაუფლება, არც დიდება და პატივი, არც ასაკი...
   სიყვარული მარადიული მშვენიერების თანმდევი თვისებაა.
5. არ შეგეშინდეს უბედურებისა, რადგან მწუხარების კარების მიღმა ხშირად სიბრძნე და მარადიული ბედნიერება იმალება.
6. სიყვარული აახალგაზრდავებს ადამიანს.
   შეყვარებული სული მარად ახალგაზრდაა.

მეფე სოლომონი საიდუმლოებებით სავსე დაფასთან მივიდა და ამჯერად ასო-ნიშნების მეხუთე კარი გააღო, რომლის სახელია:

ჰე, რომლის მნიშვნელობა არის - **გისოსი**

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური,
2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური.

აი, რომელ ზღაპარს გვიყვება მეხუთე ასო-ნიშანი:

არსებობს თუ არა ბედი

მეფე სოლომონს ერთი მეტად ურწმუნო კაცი ესტუმრა.

ერთადერთი, რისი გაგებაც მას სურდა, ის იყო, რომ ბრძენთაბრძენი მეფისთვის ეკითხა, არსებობს თუ არა ბედი და, თუ არსებობს, მაშინ როგორ შეიძლება განსაცდელების თავიდა არიდებაო.

როდესაც მეფის წინაშე წარსდგა, პირველი, რაც მას უთხრა, ეს იყო: რა ვქნა, მეფეო, მომკალი და არ მჯერა არც ბედის და არც ეშმაკების არსებობისო.

მეფე სოლომონი კაცს ყურადღებით დააკვირდა, თვალებში ღრმად ჩახედა და შემდეგ დინჯად უთხრა, რას ნიშნავს, რომ საკუთარ გულში ღრმად არ ჩაგიხედავსო.

კაცს გაეცინა და მიუგო: რა ვქნა, მეფეო, მაგრამ არც ღმერთის არსებობის მწამსო.

–ეგეც ვიცი უკვე, რადგან ეშმაკების არსებობის არ გჯერა, – უთხრა მეფე სოლომონმა.

კაცს გაუკვირდა, ეგ რა შუაშიაო? – მიმართა მეფეს.

–შუაში კი არა, თავშია, – უპასუხა მან. – თუ ეშმაკები არ არსებობენ, მაშინ, ცხადია, არც მისი მოწინააღმდეგე ღმერთი არსებობსო.

კაცი ჩაფიქრდა. – ღმერთი რომ არსებობდეს, მაშინ მისი პოვნა შეიძლებოდაო!

– როგორ იპოვი, შენ ხომ შენს გულში არასოდეს ჩაგიხედავს, – მიუგო მეფემ.
– გულში როგორ უნდა ჩავიხედო? – გაუკვირდა კაცს
– ჯერ საკუთარი თავი უნდა იპოვო, – აუხსნა მეფემ.
– საკუთარი თავი როგორ უნდა ვიპოვო? – მხრები აიჩეჩა კაცმა.
– უნდა მოიძიო! – განუმარტა მეფემ.
– როგორ მოვიძიო? – დაინტერესდა კაცი.
– ხელი მოისვი თავზე და ნახე, თუ გაქვს, – უთხრა მეფემ.

კაცმა თავზე მოისვა ხელი

– კი, მაქვს, მეფეო, – მიუგო შეცბუნებულმა.
– დარწმუნებული ხარ?! – ორაზროვნად ჰკითხა მეფემ.
– აბა, ეს რა არის? – თქვა კაცმა და საკუთარ თავზე მიუთითა.
– თავი აზროვნებით იზომება, – მრავალმნიშვნელოვნად მიუგო მეფემ.
– მერე, მე თუ არ ვაზროვნებ, მაშ, რა ვარ? – ჩაეძია კაცი.
– შენ მხოლოდ არსებობ და მეტი არაფერი, – უთხრა მეფემ.
– რითი დაამტკიცებ? – ჰკითხა კაცმა.
– შენი ცხოვრებით, – მიუგო მეფემ.
– როგორ ვიცხოვრო?
– სწორი ცხოვრებით, – აუხსნა მეფემ.
– რა არის სწორი ცხოვრება? რა, სულ პირდაპირ ვიარო, არ გადავუხვიო არსად, არც მარჯვნივ წავიდე და არც მარცხნივ? – ირონია შეეპარა კაცს ხმაში.
– ბაღჩაში გოგრისთვის შეგიხედავს? – მშვიდად დაეკითხა მეფე.
– აბა, რა, – უთხრა კაცმა.
– გოგრამ როგორც არ უნდა იგოროს, მაინც გოგრაა, – ასეთი იყო მეფის პასუხი.
– როგორ, ჩემს თავს გოგრას ადარებ? – ბრაზი შეეპარა კაცს ხმაში.
– არა, გოგრა ბევრად უფრო ძვირია, – მიუგო მეფემ.
– აბა, მე ვინ ვარ? – ლამის გადაირია კაცი.
– აი, პირველად სწორედ ამით უნდა დაგეწყო ჩემთან საუბარი, – მშვიდად უპასუხა მეფემ. – შე კაი კაცო, ჯერ ის არ იცი, შენ ვინ ხარ და ღმერთზე ან მის მოწინააღმდეგე ძალებზე როგორ საუბრობ?
– როგორ, გამოდის, ჩემი თავი სულ ცარიელია? – ლამის ატირდა კაცი.
– არა, არამცდაარამც. სამყაროში არ არსებობს აბსოლუტური სიცარიელე, ამიტომ სულ ცარიელი ვერც შენი თავი იქნება, – მშვიდად მიუგო მეფემ. – სამყაროში იმიტომ არ არსებობს სიცარიელე, რომ ბოროტი სული სწორედ სიცარიელეში კალათდება. ყველაზე მეტად მას უდაბნოდ ქცეული, კაცის გავერანებული გული უყვარს.
– მე მჯერა, მეფეო, თვენი დიდი სიბრძნისა და იქნებ მითხრათ, არსებობს თუ არა ბედი?– ერთგვარი რიდის იკითხა კაცმა.

– ბედი ხშირად ჩვენს ხელშია, მაგრამ ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ ვამჩნევთ ჩვენს შესაძლებლობებს და ვერც სურვილებს ვუძღვებით სწორად, ამიტომ მინდა მოგიყვეთ ზღაპარი სწორედ იმის შესახებ, არსებობს თუ არა ბედი, – თქვა მეფე სოლომონმა და დაიწყო:

– შორეულ წარსულში იყო ერთი საუცხოო ქვეყანა, რომელსაც „ლაჟვარდის სამეფოს“ ეძახდნენ. ეს იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ცას მუდამ ლაჟვარდის ფერი ჰქონდა...

ყოველმხრივ გამორჩეულ ქვეყანას მაცხოვრებლებიც კარგი ჰყავდა. შეუძლებელი იყო, გენახა და არ მოხიბლულიყავი მისი მშვენიერებით.

ყველა აღფრთოვანებული იყო ლაჟვარდის სამეფოთი, გარდა მისი ერთადერთი მაცხოვრებელი კაცისა, რომელსაც სახელიც შესაფერისი შეარქვეს თანამემამულეებმა. მას „უხეიროს“ ეძახდნენ და ისე შერჩა ეს ზედმეტსახელი, რომ ნამდვილი სახელითა და გვარით უკვე აღარავინ იცნობდა.

უხეირო ისეთი ადამიანი იყო, არავის რომ არაფერში წაადგებოდა, ანდა რომელ წადგომაზე იყო საუბარი, როცა ბუნებით მიდრეკილი იყო ავის ქმნისადმი და მხოლოდ მაშინ ლაღობდა და ხარხარებდა, თუკი ვინმეს გულს ატკენდა.

რამდენჯერ მიუთითეს, დატუქსეს ნაცნობ-მეგობრებმა, მაგრამ უხეირო კაცი მათ ნათქვამს აინუნშიაც კი არ აგდებდა.

მობეზრდათ და თავი მიანებეს. თავად ცხოვრება ასწავლის ჭკუასო, – თქვეს ერთმანეთში და ზურგი აქციეს.

ერთ დღეს გზაზე სასეირნოდ მიმავალ უხეიროს ხტუნვა-ხტუნვით მომავალი ბაყაყი შემოხვდა.

უხეირო ქვას დასწვდა, რათა მისთვის თავში ეთხლიშა.

ბაყაყმა უეცრად თვალი შეასწრო, ენა ამოიდგა და ადამიანის ხმით აყიყინდა:

– კეთილო კაცო, კეთილო კაცო, არ მომკლა და დაგლოცავ, ჩემი ლოცვით ბედს ეწევი.

უხეიროს ბაყაყის სიტყვებზე გულიანად გაეცინა:

– შე მახინჯო, მე რა ბედს მწევ, სულ წყალში ხარ და შენ საკუთარ სახეს ვერ ხედავ? თუ რამე შეგიძლია, საკუთარ თავს უშველე, ისეთი უშნო ხარ.

– გემუდარები, წამით შეჩერდი, მათქმევინე, ძალიან გთხოვ, ქვას ნუ მესვრი, მუცელში პაწაწინა შვილიკოები მყავს, მინდა, ისინიც გაჩნდნენ და მზის სინათლე იმათაც იხილონ. მართალია, წუთისოფელი მწარეა, მაგრამ ერთი სიცოცხლე ყველამ უნდა ნახოს, შემიბრალე, კეთილო კაცო, – ატირდა ბაყაყი და სიმწრის ცრემლები გადმოყარა.

კაცმა მის ცრემლებს ყურადღება არ მიაქცია, ადგა და ქვა მაინც ესროლა.

ბაყაყმა მოასწრო განზე გახტომა და ქვა აიცილა.

უხეირო მეორე ქვას დასწვდა და ესროლა. ბაყაყს ქვა ამჯერად მუცელზე მოხვდა და სიმწრისაგან აყიყინდა, ცოტაც და სულს მალე გაღაფავდა.

– რახან აგრეა და ჩემი ვედრება არ შეისმინე, უდანაშაულოდ მომიღე ბოლო, გწყევლი. არ აგცდეს გამწარებული დედის წყევლა, არ გეღირსოს გამრავლება და დაბერება. როგორც მე არ გამახარე და ჩემს მომავალ შვილებს არ აღირსე გაჩენილიყვნენ, შენც ასევე გადაშენდი. თუ ისე მოხდება, რომ ოდესმე ცოლს შეირთავ, შვილის ნაცვლად ბაყაყი გაგჩენოდეს, შვილით გამწარებულიყავი და მის ყიყინში სული გაგძვრეს! – მხოლოდ ამის თქმა მოასწრო საბრალო დედამ და უხეირომ იგი იქვე გაათავა, მეტი ამოსუნთქვის საშუალება აღარ მისცა.

– ჩემს სიცოცხლეში ცოლს არ შევირთავ, – ჩაილაპარაკა უხეირომ და გზას გაუდგა. – რა ცოლი, რის ცოლი, თავი ძლივს შემინახავს, თანაც ბაყაყის სულელურ წყევლას რა თავში ვიხლიო.

ამ შემთხვევის შემდეგ, სულ ცოტა ხანში საკვირველი რამ მოხდა მის ცხოვრებაში. სადაც კი ფეხს დადგამდა, გონებაში სულ ბაყაყი ელანდებოდა და გაუთავებლად ყურში ჩაესმოდა მისი ყიყინი...

უხეიროს მოუსვენრობა დაეტყო. იფიქრა, ახლა კი ნამდვილად გავგიჟდებიო.

ეს ამბავი ვეღარავის გაანდო. ქვეყნად ერთი მეგობარი და გულშემატკივარი აღარ ჰყავდა, მისი უვარგისობის გამო, ხედავდა, როგორ გაურბოდა ყველა.

– მოდი, აქაურობას მივატოვებ, სხვა ადგილს მოვძებნი, რადგან გამიგია, ადგილის შეცვლით კაცი გარკვეულად თავის ბედსაც ცვლისო, – გაიფიქრა უხეირომ და გადაწყვიტა, საცხოვრებლად ლაჟვარდის ქვეყნის მაღალ მთებში დასახლებულიყო.

ყველაზე მეტად შხარას მწვერვალის მხარე მოეწონა და იქვე ახლოს, გამოქვაბულში დასახლდა.

პირველმა დღეებმა მშვიდად ჩაიარა, აქ თითქოს აღარ ესმოდა ბაყაყის ყიყინი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა.

მაინც, რა მოხდა?! – ის, რომ კავკასიონის ქედის გადაღმა მყოფმა ციკლონმა მიმართულება შეიცვალა და გაავებული ციკლონი მთელი გამეტებით ეკვეთა შხარას მწვერვალს.

დიდხანს ბოგინობდა ქარიშხალი, საშინელი ამინდი შეიქმნა, ირგვლივ შავი ღრუბელი ჩამოწვა და ისეთი წვიმა წამოვიდა, იფიქრებდი, საცაა ცა ჩამოინგრევაო...

ცოტა ხანში გამოქვაბულის ახლოს ქალის კივილის ხმა გაისმა.

ნამდვილად მომესმა თუ ტყუილიაო, გაიფიქრა შეშინებულმა უხეირომ. – ამისთანა ამინდში, თანაც ასე მიუვალ ადგილას, რომელი ჭკუათმყოფელი ქალი ამოვიდოდაო, მაგრამ უხეირო შეცდა. კივილის ხმა სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა გამოქვაბულს.

კაცი ჯერ შიშისგან სულ მოიკუნტა, ბოლოს, როგორც იქნა, სძლია შიშის გრძნობას, გაახსენდა ბავშვობაში დიდედას დარიგება: გახსოვდეს, შვილო, რომ არასდროს არაფრის შეგეშინდეს. რისიც გეშინია, სწორედ ის გამოგეკიდება. ნუ გაიქცევი შიშს, პირისპირ დახვდი და ის თვითონ მოკურცხლავსო.

ამ სიტყვებით გამხნევებულმა უხეირომ გადაწყვიტა, გამოქვაბულიდან გამომძვრალიყო და არემარე დაეთვალიერებინა. დარწმუნდა, რომ ხმა ნამდვილად ისმოდა და თანაც გამოქვაბულს უახლოვდებოდა.

ცოტა ხანში მის თვალწინ ულამაზესი ქალი აღიმართა.

განცვიფრებულმა კაცმა თვალებს არ დაუჯერა და ისე მოიფშვნიტა, როგორც სიზმრიდან ახლადგამოღვიძებულმა.

არა, ეს ნამდვილად არ იყო სიზმარი. მის წინ ნამდვილად იმყოფებოდა ულამაზესი ქალი.

უხეირო ისე დაიბნა, ხმა ვერც კი ამოიღო, სამაგიეროდ, საუბარი მზეთუნახავმა დაასწრო და უთხრა, რომ ტყეში გზა აებნა.

– ყველაფერი ამ წყეული ამინდის და ჩემი უვარგისი მშობლების ბრალია. ვიღაც ბატონზე ძალით მათხოვებდნენ. არ შემიძლია მამაკაცთან სიყვარულის გარეშე ცხოვრება. არ დაგიმალავთ, გამოგიტყდებით, მე გრძნობების ქალი ვარ. ამიტომ სახლიდან გამოვიპარე. მეც არ ვიცი, სად მივდიოდი, რაღაც ძალამ აქ მომიყვანა. ასეთ უცნაურ ფათერაკს გადავეყარე. კეთილო კაცო, რახან ასე იქცევა წვიმისგან ყველაფერი, გთხოვ, შემომიშვი შენს საცხოვრებელში, მეშინია, გარეთ მხეცებმა არ დამჭამონ, დილით კი იმედია, გამოიდარებს და წავალ სადმე, ჩემი გზით. სახლში მშობლებთან ნამდვილად არ დავბრუნდები, იქ დაბრუნებას სიკვდილი მირჩევნია, – შეევედრა ქალი.

უხეიროს ქალი დანახვისთანავე ისე მოეწონა, ლამის დადნა.

– შემოდი, ლამაზო ქალბატონო, ჩემს გამოქვაბულში. თუკი შენისთანა ქალი ამას იკადრებს, უარს როგორ გეტყვი, – თქვა და გახარებულმა მზეთუნახავი შეიყვანა თავის საცხოვრისში.

უხეირომ შეამჩნია და ძალიან გაუკვირდა, გამოქვაბულში შემოსვლით ქალი ბედნიერი და კმაყოფილი რომ ჩანდა. მისი დიდრონი ცისფერი თვალებიდან უცნაური სხივი კიაფობდა.

ქალი შესციცინებდა უხეიროს თვალებში და მისი გულის მოგებას მთელი თავისი არსებით ცდილობდა. თუმცა რაღაში სჭირდებოდა მისი გულის მოგება. უხეირო უკვე მისი სილამაზის ტყვეობაში იმყოფებოდა, ისე იყო მონუსხული.

იმ საღამოსვე ისე ლამაზად ეტიტინა ქალი, ისე გაართო და გააბრუა უხეირო, რომ კაცმა იმ ღამესვე გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა.

– ერთი მამაპაპისეული სიბრძნე გამახსენდა, – გაიფიქრა უხეირომ. – „დედაბერმა თქვა, ჩავკრავ ზღვაში მუგუზალს, თუ დაიწვება, ხომ კარგი, თუ არადა, მე მაინც არაფერს ვკარგავო“.

არც დააყოვნა, უცებ აჯახა ქალს მისი ცოლად შერთვის სურვილი.

მზეთუნახავი უმალ აკისკისდა. ეტყობოდა, ძალიან მოეწონა მისი წინადადება.

– როგორც ჩანს, ბედმა შეგვახვედრა ერთმანეთს. არ დაგიმალავ და დანახვისთანავე მომეწონე. იყოს ნება შენი. მაშ, გავიზიაროთ ცოლქმრული

სარეცელი შენს გამოქვაბულში. თუ კაცი გიყვარს, რა მნიშვნელობა აქვს, სად შეუღლდები. მთავარი ისაა, რომ ჩვენ ვიპოვეთ ერთმანეთი, – უთხრა ქალმა და კაცს მთელი გრძნობით ჩაეკრა გულში.

უხეიროსაც სხვა რა უნდოდა. იმ საღამოსვე შეუღლდნენ გამოქვებულში მზეთუნახავი და უხეირო.

ნეტა, გენახათ, რა სიამტკბილობაში გარბოდა თვეები...

ქალი მალე დაორსულდა და მეცხრე თვეზე იმშობიარა.

უხეირო საოცარი სიხარულით ელოდებოდა შვილის გაჩენას. ქალს მუცელზე წამდაუწუმ ეფერებოდა და ხშირად უბნებოდა, შენ ისეთი ლამაზი ხარ, მე კი ისეთი ჭკვიანი, რომ ჩვენი შვილი უთუოდ ლამაზიც იქნება და ჭკვიანიცო.

როცა ბავშვი დაიბადა, უხეიროს შიშისგან კინაღამ გული წაუვიდა, დანახვისთანავე ელდა ეცა, როცა მზეთუნახავის სხეულიდან თავი ბაყაყმა გამოყო, ისკუპა და ყი-ყი-ყიო, დაიძახა.

უხეიროს სახეზე ცივმა ოფლმა დაასხა, აკანკალდა და თავზარდაცემული გამოვარდა გამოქვაბულიდან. უფრო საშინელი კი ის იყო, რომ მას ბაყაყი ყიყინით მისდევდა უკან.

თავქუდმოგლეჯილი გარბოდა უხეირო, მაგრამ ბაყაყს ვერსაით გაექცა. სწორედ მაშინ გაახსენდა უხეიროს ორსული მომაკვდავი ბაყაყის წყევლდა.

გამწარებულმა კაცმა ცოლის მოკვლა გადაწყვიტა და გამოქვაბულში დაბრუნდა.

ჰოი, საკვირველებავ, მზეთუნახავი ქალი არსად ჩანდა, უკვალოდ გამქრალიყო. მხოლოდ მისი სიცილი და ბაყაყის წყევლა ჩაესმოდა ყურში.

უხეირო ყველაფერს მიხვდა და ატირდა.

ეს მისი პირველი ცრემლები იყო. მას ხომ არავინ და არაფერი არ ეცოდებოდა. საშინელ დღეში იყო. არავინ ჰყავდა ირგვლივ მანუგეშებელი და გულშემატკივარი.

ახლა დაფიქრდა უხეირო, რომ თურმე რამდენი კარგი საქმე უნდა აკეთო ადამიანმა, რომ უბედურების ჟამს ხელი გამოგიწოდონ.

პატარა ბავშვივით ზლუქუნებდა, შეუძლებელი იყო შეგეხედა და არ შეგცოდებოდა.

იგი მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ შეცოდების გრძნობა, რომელიც მას, ამპარტავან კაცს, დამცირებად მიაჩნდა, თურმე, კეთილშობილება ყოფილა და არა დამცირება.

რამხელა სიკეთე ყოფილა თანაგრძნობა, მან კი შეიცოდა ბაყაყი? თანაუგრძნო? ჰოდა, აკი იწვნია კიდეც.

– კმარა ტირილი, შეწყვიტე ცრემლების ფრქვევა, ამიერიდან შენ ჩემი მსახური იქნები! – დაიყიყინა ბაყაყმა. – არ დაგავიწყდეს, რომ მე შენი შვილი ვარ. ცნობისათვის გეტყვი, რომ შვილი როგორც კი იბადება, დაბადებისთანავე არის

მშობლების უფროსი! რასაც გეტყვი, იმას შეასრულებ, თორემ სათანადოდ დაგსჯი, დაგტუქსავ.

ახლა კი კეთილი ინებე და ჩემს ნამდვილ სახლში გადამიყვანე, აი, იმ სოფელში, სადაც შენ ცხოვრობ და საიდანაც აქ გამოიქეცი...

წავიდეთ, თორემ ქვით გაგიხეთქავ თავს! – უთხრა ბაყაყმა და პირში საკმაოდ მოზრდილი ქვა ჩაიდო.

ის ხომ ტანად სხვა ბაყაყებს არ ჰგავდა, ტანად გოლიათი ბაყაყი იყო. რაღას იზამდა უხეირო. ცოცხალ-მკვდარი გაუდგა გზას ბაყაყთან ერთად.

– სოფელში, ვინც კი გზად შემოგხვდება და ჩემზე გკითხავს, ეს გოლიათი ბაყაყი რა არისო, შენ ეტყვი, რომ მე შენი შვილი ვარ, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩები! – დაემუქრა ბაყაყი.

– მრცხვენია მაგის თქმა, ნამდვილად არ შემიძლია, ყველა დამცინებს და სიცილს დამაყრის, როცა გაიგებს, რომ ადამიანის ნაცვლად ბაყაყი მეყოლა, – კვლავ აზლუქუნდა უხეირო.

– არ მესმის, რატომ გრცხვენია ჩემი შვილობა. შენი გაკეთებული შვილი ასეთი ვარ და უნდა ისეთი მიმიღო, როგორიც ვარ. სირცხვილი, სინდისი და ნამუსი კი მაშინ გამოგეჩინა, როცა გზად თავისთვის მიმავალ უდანაშაულო ბაყაყს კლავდი. არც კი შეგეცოდა პაწაწინა შვილიკოებზე ორსულად მყოფი. რა იფიქრე, ცოდვა შეგრჩებოდა?

ხომ ხედავ, სამყაროში არაფერი არ იკარგება უკვალოდ და ექოსავით უკან გვიბრუნდება, ახლა კი წინ გამიძეხ! – უბრძანა ბაყაყმა და კაციც დამორჩილდა. სხვა რაღა გზა ჰქონდა...

სოფელში სიცილით კინაღამ დაიხოცნენ, როცა გაიგეს, უხეიროს ბაყაყი შეეძინაო.

ელვის სისწრაფით გავარდა ხმა.

აბა, მაგისგან უკეთესს რას უნდა მოველოდეთო, იძახდნენ თანასოფლელები. შერცხვენილი უხეირო კი სახლიდან გარეთ ვეღარ გამოდიოდა.

ერთ დღეს კარის მეზობლებმა უხეირო თავისი ეზოს ჭიშკართან მკვდარი იპოვეს. თავი ქვით ჰქონდა გახეთქილი. უცნაური, გოლიათი, ადამიანის ხმით მოლაპარაკე ბაყაყი კი ვეღარსად ნახეს. მას შემდეგ ის სოფელში აღარც გამოჩენილა.

მალე ხავსმა დაფარა უხეიროს სახლ-კარი.

აი, ასე დამთავრდა მისი ამბავი, – დაასრულა ზღაპარი მეფე სოლომონმა და შემდეგ კაცს კითხვა დაუსვა:

– იცი, რად გიამბე ეს ზღაპარი? ბედის მჭედლები ზოგჯერ ჩვენ თვითონ ვართ, ადამიანები.

უხეიროს წესიერად რომ ეცხოვრა და წინდახედული ყოფილიყო, არც ასეთ შავ დღეში ჩავარდებოდა. თავისი ცხოვრების საჭადრაკო დაფაზე მან საკუთარი სვლით შექმნა ის ისტორია, რაც თამაშის შედეგით მიიღო. სასტიკი გულის მქონე თუნდაც

დიდი ტალანტების მქონე ადამიანი იმ უხმარ მონას ჰგავს, თავისი ტალანტი მიწაში რომ ჩამარხა.

ასე რომ, სანამ საკუთარ დანაშაულსა და უჭკუობას ღმერთს დავაბრალებთ, უმჯობესია, ჯერ ჩვენს გულში ჩავიხედოთ. აღმოვაჩინოთ იქ ტალანტი, რომელიც სულიერი ნიჭია და რომელსაც შიგნით ღვთიური ნაპერწკლის შეტანა სჭირდება, რათა სულიც გაათბოს, ურომლისოდაც ვერ გადარჩება ვერცერთი ადამიანი, – უთხრა მეფემ და შემდეგ უხვად დასაჩუქრებული კაცი შინ მშვიდობით გამოისტუმრა. ამის შემდეგ იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში საოცრად მადლიერი იყო ბრძენთაბრძენი მეფისა.

ასე დაასრულა ზღაპარი ასო-ნიშანმა ჰე-მ და მეფე სოლომონმა ანბანის მეხუთე კარი დახურა.

შეგონება:

1. რასაც აჩუქებ სამყაროს შენი ცხოვრებით და რასაც გააგზავნი ზეცაში, თავზედაც ის დაგეფრქვევა.
2. უბედურებაში სხვები კი არა, პირველ რიგში, საკუთარი თავი დაადანაშაულე. კარგად განჭვრიტე, სად დაუშვი შეცდომა.
3. არსებობს ღმერთის მიერ გადაწყვეტილი გარდაუვალი აუცილებლობაც, მაგრამ ამავე დროს, ადამიანს ღმერთისგან მინიჭებული აქვს თავისუფლება, რომ თავად გააკეთოს არჩევანი და ასე „გამოჭედოს“ თავისი ბედი... გონიერი კაცი ხვდება, სად არის მისი პირადი არჩევანი და სად - ღვთაებრივი ნება...
4. სადაც არ უნდა წახვიდე, როგორც არ უნდა გაიქცე, შენი ცოდვა ყველგან თან გამოგეკიდება, რადგან მოუნანიებელი ცოდვები კაცთა განაჩენია.
5. იყავი კეთილი! ეს ყოველთვის შესაძლებელია.

მეფე სოლომონი კვლავ ეწვია დაფას, რომელზეც 22 უძველესი სემიტური ასო-ნიშნის საიდუმლოებით შემკული მეექვსე საიდუმლო კარი გააღო, რომლის სახელია:

ვავ, რომლის მნიშვნელობა არის **მღული.**

1. არქაული და კლასიკური ფინიკიური
2. საშუალო ფინიკიური

აი, რომელ ზღაპარს გვიყვება მეექვსე ასო-ნიშანი:

ვინ იმსახურებს ძვირფას საჩუქარს

ერთ ქვეყანაში ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდა თავისი კაცთმოყვარეობით განთქმული კაცი, რომელიც მდიდარი და ხელგაშლილი იყო.

იმ სამეფოს, სადაც ჩვენ მიერ მოწონებული მდიდარი ცხოვრობდა, განაგებდა სიბოროტით განთქმული ხელმწიფე, რომლის სასახლეშიც მიაღწია მდიდარი კაცის ქება-დიდებამ.

ბოროტმა ხელმწიფემ კარგად იცოდა, რომ თვითონ ვერასოდეს იქნებოდა ისეთი ქველმოქმედი, როგორიც მისი ქვეშევრდომი იყო. ამიტომ შეიძულა სიკეთით სავსე პიროვნება და მასთან თვალთმაქცური ურთიერთობა დაამყარა.

მდიდარი კაცი მაშინვე მიხვდა, როგორი ყალბი იყო ხელმწიფის, ვითომდა, დიდი პატივისცემა მის მიმართ და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რით შეეძლო ხელმწიფის გულის მონადირება. ბევრი ფიქრის შემდეგ თავში ერთმა აზრმა გაუელვა: ჩემს ოქროს ზარდახშაში უცხო სილამაზის ზურმუხტისა და ბრილიანტის ქვებს რომ ვინახავ, რომლის მსგავსი ალბათ არავის ექნება, მოდი, ხელმწიფეს მივართმევ. იქნებ, უფრო დამაფასოს და, თუ არ დამაფასებს, მისი სახით, მოშურნე და მტერი ხომ აღარ მეყოლებაო!

ეს ჩანაფიქრი, მან თავის მეუღლეს გაანდო, რადგან მისი აზრიც აინტერესებდა.

მდიდარი კაცის მეუღლე გონიერი ქალი იყო. მან ქმარს უთხრა: მოდი, ასე მოიქეცი, გაიხსენე სიბრძნით სახელგანთქმული მეფე-სოლომონი და რჩევის საკითხავად მასთან მიდი, მერე კი ყველაფერი ისე გააკეთე, რასაც მეფე სოლომონი გირჩევსო!

მდიდარ კაცს, მოეწონა ცოლის აზრი და გაემგზავრა მეფე სოლომონთან.

სოლომონ მეფემ მდიდარი კაცი შესაფერისი პატივისცემით მიიღო, ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა და ბოლოს უთხრა:

– ესე იგი, როგორც მივხვდი, გაინტერესებს, შენი ძვირფასი საჩუქარი ხელმწიფის შურსა და ბოღმას თუ მოუღებს ბოლოს? ანუ, ძვირფასი საჩუქრით გამოწვეული სიამოვნება თუ ჩააცხრობს ავი კაცის ბუნებას?

– სანამ ამაზე პასუხს გაგცემ, ჩემო კარგო, მინდა, ჩემი ბრძენი წინაპრებისაგან გაგონილი ზღაპარი გიამბო ულამაზეს ფარშევანგზე:

„რომელი სულდგმული არ დაუტყვევებია ფარშევანგის უნაკლო სილამაზეს? თუმცა, საღად მოაზროვნე გონება და დაკვირვებული თვალი მალე შეამჩნევს, რომ ფარშევანგის სილამაზის ნაკლია მისი მახინჯი ფეხები და საზარელი ხმა.

თუმცა, იყო ის პერიოდიც, როცა ფარშევანგი, მთელ დედამიწაზე ყველაზე ლამაზ და უნაკლო ფრინველად ითვლებოდა. მაგრამ მაშინ იყო ძალიან ცუდი გარემო. ფრინველთა სამეფოს მეფედ არა არწივი, არამედ ყვავი ჰყავდა, დიახ, ყვანჩალების გუნდი განაგებდა ფრინველთა საბრძანებელს.

როდესაც სამეფოს მართავენ მისთვის შეუფერებელი არსებები, იქ, დიდსა თუ პატარას, ლამაზსა თუ ულამაზოს, ჭკვიანსა თუ ბრიყვს საქმეები ცუდად მისდით. ვინაიდან ყვავები ყოველთვის ღიზიანდებოდნენ ფარშევანგების უნაკლო სილამაზით, ცდილობდნენ ისინიც ყველანაირად დაეჩაგრათ და შეევიწროებინათ.

ერთმა ფარშევანგმა ამის გამო მიიღო ასეთი გადაწყვეტილება: რადგან ყვავები ცუდად მექცევიან, მოდი, ვეცდები მათი გულის მონადირებას, ტანიდან და კუდიდან ამოვიძრობ ჩემს ულამაზეს ბუმბულებს და საჩუქრად მივართმევ ყვავებს: როცა ისინი ჩემი ბუმბულებით მოირთვებიან, დაეკარგებათ შურის გრძნობა და თავს დამანებებენო.

ფარშევანგმა სხეულიდან დაუნანებლად ამოიძრო ულამაზესი ბუმბულები და ყვავებს ეწვია სტუმრად.

ყვავები მიტანილი საჩუქრით ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. ნეტავი გენახათ, რა სასაცილოები იყვნენ ფარშევანგის ბუმბულებით გამოპრანჭული ყვავები.

ყვავებთან სტუმრად მისულმა ბუმ, როდესაც ყვავებს შეხედა, უცბად დაიკივლა: ყვავებო, როგორც არ უნდა ეცადოთ, ფარშევანგის ბუმბულებით გალამაზებით არაფერი არ გეშველებათ, ყვავები ისევ ყვავებად დარჩებითო!

ბუს კივილზე ყვავები სულ გადაირივნენ და ცალკე მოილაპარაკეს: აუცილებელია, დაისაჯოს ჩვენი ავადმახსენებელი ბუ და ფარშევანგის

სილამაზესაც ბოლო მოეღოს, რადგან, როცა აღარ იარსებებს ლამაზი ფარშევანგი, აღარც ჩვენ გამოვჩნდებით მახინჯებად და მაშინ ულამაზობა ყველასთვის მისაღები გახდებაო.

ყვავებმა მალე თავიანთი გადაწყვეტილება მოიყვანეს სისრულეში: ჯერ ბუს მისცვივდნენ და ისე ურტყეს თვალებში, ლამის დააბრმავეს საწყალი, შემდეგ ფარშევანგს მისცვივდნენ და ფეხები ნისკარტებით ისე დაუკორტნეს, მთლიანად დაუმახინჯეს, თანაც ისე აყვირეს საწყალი, რომ ხმაც ჩაეხრინწა და საზარელი გაუხდა“.

მეფე სოლომონმა ზღაპარი რომ დაასრულა, ასე მიმართა კეთილშობილ მდიდარს:

– გაფრთხილდი, ჩემო კარგო, რათა შენც იმ ფარშევანგის დღეში არ ჩავარდე! ძვირფასი საჩუქარი უნდა მიართვა ნამდვილ მეგობარს ან ღირსეულ მტერს და არა – ცბიერსა და ხარბ კაცს, რადგან ხარბი კაცის გულის მონადირება ყოვლად შეუძლებელია!

დაფიქრდა მდიდარი კაცი, მეფე სოლომონს რჩევა-დარიგებისათვის მადლობა გადაუხადა და თავის სახლში დაბრუნდა, მაგრამ არ შეასრულა სოლომონ მეფის ჭკვიანური რჩევა და თავის ხელმწიფეს მაინც გაუგზავნა საჩუქრად თავისი უძვირფასესი ქვები.

როცა ხელმწიფემ საჩუქარი მიიღო, ისე გაბრაზდა, პირიდან სულ ცეცხლსა ჰყრიდა: რატომ უნდა ჰქონდეს ჩემს ქვეშევრდომს ჩემზე ძვირფასი განძი? თანაც, ვინ დამარწმუნებს იმაში, რომ ამაზე მეტი ძვირფასი ქვები თვითონ არ დაიტოვაო.

– მსახურნო! ეხლა მიდით მის სახლში, ყველაფერი გასინჯეთ, რაც მოგეწონებათ, მე მომიტანეთ, რაც – არა, ცეცხლი წაუკიდეთ!

მეფის მსახურებმა მდიდარ კაცს ყველაფერი წაართვეს, მისი მთელი ავლა-დიდება კი დაწვეს.

განადგურებული, დამცირებული კაცი მიხვდა თავის შეცდომას, მან იმის გამო დაკარგა ყველაფერი, რომ არ შეასრულა სოლომონ-მეფის ჭკვიანური რჩევა-დარიგება.

– ღირსი ვარ, რაც დამემართა, თუმცა კი მივხვდი სოლომონ-მეფის სიბრძნის ჭეშმარიტებას, მაგრამ ვაი, რომ' ყველაფრის დაკარგვის შემდეგ. – ოხრავდა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი, გაუბედურებული ადამიანი.

„როცა ჭკუას გამოცდილებით სწავლობ, ჭკუა გრჩება, მაგრამ ცხოვრების თავიდან აწყობა ხშირად შეუძლებელი ხდება, რადგან შენი ცხოვრების მშვენიერი ყვავილი მდინარემ წაიღო და მისი დაჭერა იშვიათი, გამონაკლისი შემთხვევაა. ამიტომ გონიერი კაცი გონივრული რჩევებით აწყობს თავის ცხოვრებას და სხვებსაც გზას უნათებს“. – ასე დაასრულა ზღაპარი ასო-ნიშანმა ვავმა და მეფე სოლომონმა ანბანის მეექვსე კარი დახურა.

შეგონება:

1. სიკეთის კეთებას სიბრძნე სჭირდება;
2. მაქსიმალურად მოერიდე შურიან ადამიანს, რადგან, რაც მეტ სიკეთეს დააფრქვევ, შურიანი ადამიანის გული მით მეტი მძვინვარებით ივსება;
3. თუკი არჩევანზე მიდგება საქმე, ბოროტ ადამიანს ურჩევნია, თავადაც დაკარგოს და არ ჰქონდეს, ვიდრე სხვას დაუტოვოს. „ნუღარც მე და ნუღარც შენ“, - ეს მისი დევიზია, თუ ამის საშუალება მიეცა.
4. ბოროტი სული გამოუსწორებელია. მისი ყველაზე საუკეთესო წამალი ცეცხლია, რომელიც მას თავის დროზე აუცილებლად შეხვდება. ეს სამყაროს წონასწორობის კანონია.
5. არავინ გიმტრობს ისე, როგორც საკუთარი სიბრიყვე. გულუბრყვილობა არ არის დანაშაული, მაგრამ საკუთარი თავის ერთ-ერთი დიდი მტერია.

მეფე სოლომონმა ამჯერად ასო-ნიშნების მეშვიდე კარი გააღო,

რომლის სახელია:

ზაინ, რომლის მნიშვნელობა არის - **სასწორი.**

1. არქაული ფინიკიური
2. კლასიკური და საშუალო ფინიკიური

აი, რომელ ზღაპარს გვიყვება მეშვიდე ასო-ნიშანი:

ლურჯი მძივი

სიბრძნით განთქმულ მეფე სოლომონს ამჯერად კარზე მათხოვარი ეწვია. მეფემ ისიც ისეთივე სითბოთი და ყურადღებით მიიღო, როგორც საერთოდ ძვირფას სტუმრებს იღებდა.

მათხოვარი არ ელოდა ასეთ შეხვედრას და სიხარულისაგან ცრემლები წასკდა.. მეფემ გაოცებულ მათხოვარს აუხსნა, რომ სამყარო მოულოდნელობებითაა სავსე, ამიტომ ბრძენი ადამიანი ყოველივეს სიდარბაისლით იღებს და არასოდეს ავიწყდება, რომ ვითარება ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს.

– შეიძლება ისეც მოხდეს, ჩემო კეთილო, – ალერსით მიმართა მეფემ მათხოვარს, – რომ მათხოვარი მეფედ იქცეს ანდა კიდევ პირიქით, მეფე – მათხოვრად, ან ისიც შეიძლება, იყო მეფე და მათხოვარი იჯდეს შენში, ასევე შეიძლება ცხოვრებამ ადამიანი მათხოვრად აქციოს, მაგრამ მასში დიდებული მეფე ბრწყინავდეს.

ამ სიტყვების შემდეგ მეფე მათხოვარს ყურადღებით ჩააცქერდა თვალებში...

– აი, შენში ნამდვილად ვხედავ მეფეს, რადგან შეძელი და ჩემს კარზე მოხვდი, დღეიდან შენ მათხოვარი აღარ იქნები, – უთხრა მეფემ და ოქროთი სავსე ქისა გაუწოდა...

მათხოვარმა სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა...

– განსაკუთრებული მადლობა არ არის საჭირო, მთავარია გულის სიღრმეში იყო მადლობელი და ყოველთვის გახსოვდეს შენი კეთილისმყოფელი. თუ სიკეთეს სიკეთით ვერ გადაიხდი, ის მაინც შეძელი, რომ ავს ნუ უზამ შენს მოყვასს!

მართალია, მეფე ვარ, მაგრამ ყოველთვის გულისყურით ვიხსომებ საუკეთესო გამონათქვამებს... ახლახანს მოვისმინე და გულში ჩავიბეჭდე ერთი მართლაც საოცრად გამორჩეული ბრძენკაცის ნათქვამი, მინდა, ოქროსთან ერთად ეს სიბრძნე გიწილადო, რადგან ნებისმიერი სიბრძნე ბაჯაღლო ოქროზე უმჯობესია. ოქრო დადნება, სიბრძნე კი მარადიულია. მაშ, დაიხსომე, მავანო კაცო: „როცა ჩიტი ცოცხალია, მწერებს ჭამს, მისით იკვებება, მაგრამ, როცა კვდება, მწერები ჭამენ ჩიტს. გახსოვდეს, მდგომარეობა ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს“.

მათხოვარი ღრმად ჩაფიქრდა. ეტყობოდა, გულზე მოხვდა მეფე სოლომონის სიტყვები.

– შენს თვალებში სხვა სათხოვარსაც ვხედავ, – უთხრა მეფემ და მართალიც იყო. ბრძენს, აბა, რას გამოაპარებ...

– მართალი ბრძანებით, დიდო მეფეო, – თქვა დაღონებულმა მათხოვარმა. – მე სიყვარულმა მაქცია მონად, მაქცია მათხოვრად... მზად ვარ, ვინც მიყვარს, მისთვის თავი გავწირო, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ვინც მიყვარს, მას არ ვუყვარვარ...

მე ერთ დროს უფლისწული ვიყავი, აღმოსავლეთის ქვეყნის ხელმწიფის შვილი. მთელი სიმდიდრე გავანიავე, ყოველივე სიყვარულს შევწირე, ერთი უბრალო გლეხის გოგო მიყვარდა, მან კი უარი თქვა ჩემს სიყვარულზე, ვიღაც მწყემსი ბიჭი შეიყვარა. მე ჩემი სიჯიუტის და უყაირათობის გამო და კიდევ სხვა ბევრი ნაკლის გამო სასახლიდან გამომაძევეს და მამაჩემმა ტახტის მემკვიდრედ უმცროსი ძმა გამოაცხადა.

სამეფო ტახტის დაკარგვა სულ არ მადარდებს, მაგრამ მადარდებს ჩემი სიყვარული, რადგან სიყვარული ყველაფერია, ჩემთვისაა ყველაფერი, სიყვარული ის სილამაზეა, ურომლისოდაც სამყარო ჩემთვის უფერული ხდება...

თქვენზე მითხრეს, მეფე სოლომონმა იცის ერთი საოცრების შესახებო: მის სამფლობელოში არის ერთი საიდუმლო ადგილი, დაჭაობებული, შიგ ბაყაყთა დედოფალი ცხოვრობს, რომელსაც გულზე ლურჯი მარგალიტის მძივი უკეთია და, ვინც ამ მძივს მოიპოვებს, სწორედ სიყვარულში იქნება ბედნიერი, მას აუცილებლად შეიყვარებს მისთვის სასურველი ადამიანიო.

– დამეხმარეთ, დიდო მეფეო, – თქვა და ატირებული მათხოვარი კვლავ დაემხო მეფის წინაშე. მეფე სოლომონმა იგი ალერსით წამოაყენა:

– რახან ჩემთან სიბრძნის შესაძენად მოხვედი, მაშ, ყურადღებით მომისმინე: ნუთუ, არ გაგიგია ძველთაძველი სიბრძნე, რომ „სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადაო, როგორც მოვა, ისე წავა, წავა თავისთავადაო“... არ გირჩევ ამ ურთულეს და უშედეგო გზაზე სიარულს... დაიხსომე, შვილო ჩემო, ნამდვილი სიყვარული ძალით კი არ ატყვევებს, არამედ თავისუფლებას ანიჭებს და თუ არ დაიშლი და

უაზრო სურვილისაგან არ გათავისუფლდები, დაიღუპები. შენც ისე მოგივა, როგორც ერთ ჯიუტ ქალს დაემართა და ბოლო მწარედ გადაექცა...

– როგორია მისი ამბავი? - იკითხა მათხოვარმა და მეფემაც დაიწყო:

„ზღვისპირეთის ქვეყნის მეფეს ერთი მეტად თავნება ასული ჰყავდა. თუმცა ხელმწიფის გოგო ისეთი დამნაშავე არ იყო, როგორც მისი მშობლები, რადგან, როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდნენ და ყოველ სულელურ სურვილსა და ახირებას უსრულებდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს მეფის ასული ჩუმად გაიპარა სასახლიდან. მინდორ-მინდორ სეირნობით გართულს უცებ ტყის პირას მგელი შემოეყარა... შიშით კინაღამ გული წაუვიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ტყიდან მზეჭაბუკი მონადირე გამოვარდა და მტაცებელი იქვე მოკლა.

მეფის ასულს ერთი შეხედვით თავდავიწყებით შეუყვარდა მზეჭაბუკი, თუმცა მონადირეს სულაც არ ჩავარდნია გულში უცნობი გოგონა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან ლამაზი იყო...

მზეჭაბუკმა შეშინებული გოგონა თავის ქოხში წაიყვანა – თურმე, იქვე, ახლოს ცხოვრობდა.

მეფის ასულს აღარც კი უნდოდა ქოხის მიტოვება. მას თავისი სილამაზისა და წარმომავლობის იმედი ჰქონდა. აბა, ვინ იტყვის ჩემს შერთვაზე უარსო, ფიქრობდა იგი და, სწორედაც რომ, აქ მოტყუვდა.

მეფის ასული ცხოვრებისაგან გამოუცდელი გოგონა იყო და არ იცოდა, რომ სიმდიდრით და თუნდაც თვალისმომჭრელი სილამაზით ყოველთვის ყველაფრის ყიდვა არ შეიძლებოდა. არ იცოდა, რომ გარეგნული სილამაზე არ იყო ყოვლის-შემძლე. არ იცოდა, რომ ლამაზი ის კი არ არის, ვინც გარეგნულად მართლა ლამაზია, არამედ ის, ვინც მოგეწონება...

მონადირემ მეორე დილით ისე გააცილა ქოხიდან სტუმარი გოგონა, რომ მისი ვინაობით არც კი დაინტერესდა...

მეფის ასული ამან ძალზე დააღონა. ტყვიასავით მოხვდა გულზე მზეჭაბუკის სიტყვები: „მე სხვა მიყვარს და სულ სხვანაირი სილამაზე მომწონსო“...

ასე იყო თუ ისე, მეფის ასული სასახლეში დაბრუნდა.

მალე სევდამ დარია ხელი და ჩამოჭკნობა იწყო... ვერავინ ხვდებოდა, რომ ეს სიყვარულის ბრალი იყო... სიყვარული – ეს ხომ ის მზეა, რომელიც ან სულ გადაგბუგავს ან ლამაზად გაგაშლევინებს კვირტებს.. მეფის ასულს, სამწუხაროდ, არ გაუმართლა...

მზეჭაბუკის ნახვის სურვილი მოეძალა. იგრძნო, მეტის მოთმენა ნამდვილად აღარ შეეძლო და მეფის ასული ერთ დღესაც ისევ გაიპარა სასახლიდან.

ადვილად იპოვა მონადირის ქოხი... შიგ შევიდა და ნეტა, მის თვალებს არ ეხილა, რაც იქ ნახა...

მზეჭაბუკი სამუდამოდ იყო სარეცელს მიჯაჭვული... თურმე, ლომს შებმოდა... მოულოდნელად მომხდარიყო ეს ყველაფერი, მართალია, ლომი კი მოეკლა, მაგრამ თავადაც სამუდამოდ დასახიჩრებულიყო.

მონადირეს საოცრად გაუხარდა სტუმრის დანახვა. აღმოჩნდა, რომ სრულიად მარტო იყო.. მეფის ასულმა ისიც გაიგო, რომ გაჭირვებაში სატრფოს მიეტოვებინა და სხვაზე გათხოვილიყო. მონადირის ქოხს ხანდახან თუ შემოაღებდნენ მისი ნაცნობ-მეგობრები, რომ ლუკმა-პური მიეწოდებინათ.

მეფის ასულმა საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა მონადირის მიმართ.

გაგიჟებით უყვარდა და, აბა, რას იზამდა.

გადაწყვიტა, სამუდამოდ დარჩენილიყო მონადირესთან.

მეორე დღეს კვლავ დაბრუნდა სასახლეში, იქიდან უამრავი თვალ-მარგალიტი წამოიღო და გაუჩინარდა.

ამაოდ ეძებდნენ სასახლეში გაუჩინარებულ თავნება მეფის ასულს...

იგი ჩასახლდა მზეჭაბუკის ქოხში და საოცარი სიყვარულით უვლიდა.

მონადირე ბედნიერი იყო.

– დავრწმუნდი, რომ ჩემი ნამდვილი სიყვარული, თურმე, შენა ხარ, მხოლოდ შენ, – ამ სიტყვებით აბრუებდა იგი საბრალო გოგოს და უნდა გენახათ მისი განცვიფრება, როცა გაიგო, რომ ეს გოგონა უბრალო ვინმე კი არა, სინამდვილეში მეფის ასული იყო, რომელმაც უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო სიყვარულისათვის.

ასე გადიოდა დრო.

მართალია, მონადირე ისევ ხეიბარი იყო, მაგრამ მასზე უზომოდ შეყვარებული გოგო მაინც ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგან უყურებდა იმის სახეს, ვინც გაგიჟებით უყვარდა. არა, ნამდვილად მიყვარხარო, - დღითიდღე ესმოდა ეს სიტყვები და მეტიც რაღა უნდოდა...

ადამიანი ისეა მოწყობილი, ადვილად იჯერებს იმას, რაც მისთვის სასურველია, და მეფის ასულსაც სჯეროდა, ბოლოსდაბოლოს, როგორი ერთგულება და თავდადება აჩვენა ხეიბარს...

ასეთი მსხვერპლშეწირვა ნამდვილად იმსახურებს საპასუხო გრძნობას, მაგრამ სხვისი სულის სიდიადე რომ იგრძნო, თავადაც დიადი უნდა იყო.

იყო კი მზეჭაბუკი სულით დიადი?!..

ეს ერთმა შემთხვევამ გამოავლინა. ერთ დღესაც ქოხის წინ მოხეტიალე ბოშების ჯგუფმა ჩამოიარა...

მეფის ასული მათ გულუხვად გაუმასპინძლდა...

– რადგან ასეთი კეთილი ხარ, მინდა სიკეთე სიკეთით გადაგიხადო, – უთხრა მოხუცმა ბოშა მკითხავმა ქალმა. – მეფე სოლომონის საბრძანებელში ერთი დაჭაობებული ადგილია. იმ ადგილს ბაყაყთა დედოფალი მეფობს. ლურჯი მარგალიტის მძივი უკეთია. თუ წაართმევ, უფლისწული მორჩება, დიდი კაცი გახდება და შენც შეგიყვარებსო.

მეფის ასულს ეს სიტყვები გულში ჩაუვარდა. გადაწვიტა, ბაყაყისთვის წაერთმია ლურჯი მძივი და მზეჭაბუკი აღედგინა...

ერთ მშვენიერ დღეს მეფის ასულმა ქოხი დატოვა და გაუდგა გზას...

მივიდა მეფის სამფლობელოში, მეფე სოლომონის ნახვა არც კი მოისურვა, რომ მისთვის რჩევა ეკითხა, გაიკითხ-გამოიკითხა, სად იყო ჭაობიანი ადგილი და ისევ გზას გაუდგა...

ცოტა ხანში ყვავილებით მოჩითულ მდელოზე გავიდა... იქვე ჩაეძინა დაღლილ-დაქანცულს...

მოულოდნელად ძილში ყვავილების ხმა ჩაესმა.. ესმოდა, როგორ ესაუბრებოდა ბებერი ღიღილო ახალგაზრდა ღიღილოს...

– ეს მეფის ასულია, სიყვარულისგან იწვის, უნდა, ბაყაყთა დედოფალს ლურჯი მძივი წაართვას, მაგრამ ეს ძალიან რთულია, რადგან ბაყაყი ადვილად არ გამოდის ჭაობიდან. აი, მეფის ასულმა რომ იცოდეს, როგორ შეიძლება ამის გაკეთება, მაშინ გაიმარჯვებს, მაგრამ ვინ ასწავლის!...

– როგორ შეიძლება? – დაეკითხა ახალგაზრდა ღიღილო.

– ბაყაყთა დედოფალს ძალიან უყვარს მარჯნისფერი ყვავილი, აი ის, საპოვნელას რომ ეძახიან... მეფის ასულმა ძალიან ბევრი საპოვნელა უნდა დაკრიფოს, შემდეგ მივიდეს ჭაობის ნაპირებთან, იქ დაიმალოს, საპოვნელას ყვავილებიც იქვე დაყაროს. ბაყაყი აუცილებლად ამოძვრება ჭაობიდან და საპოვნელას ესტუმრება, მეფის ასულმა კი სწორედ მაშინ უნდა იმარჯვოს, ბაყაყს მოულოდნელად თავს უნდა დაესხას, ჯოხი ჩაარტყას, გააბრუოს, მძივი აართვას და უკან თავგამეტებით გამოიქცეს. – უთხრა მოხუცმა ღიღილომ.

– რა საჭიროა ამდენი წვალება? დავუშვათ და მოახერხა მეფის ასულმა ლურჯი მძივის მოტაცება, იქნება კი იგი ბედნიერი? – დაეკითხა ახალგაზრდა ღიღილო.

– ეს კი ნამდვილად აღარ ვიცი, – ამოიოხრა მოხუცმა ღიღილომ. – ადამიანებმა არც კი იციან, სინამდვილეში რა არის ბედნიერება. არც ის იციან, შესრულებული მიზნები თუ სურვილები შემდეგ რას უქადიან. ამაზე პასუხს მე ნამდვილად ვერ გაგცემ. ამაზე სწორი პასუხი მხოლოდ მეფე სოლომონს თუ ექნება, - მიუგო მოხუცმა ღიღილომ.

მეფის ასულს ეს ყველაფერი კარგად ესმოდა... გადაწყვიტა, ბედი ეცადა. მთელი დღე და ღამე იმუშავა, რომ ბევრი, ძალიან ბევრი საპოვნელას ყვავილი შეეგროვებინა.

მეორე დღეს, სისხამ დილით, ჭაობის ნაპირებთან ყვავილების უზარმაზარი გროვა იყო.

გათენდა თუ არა, ჭაობიდან მართლაც ამოძვრა ბაყაყთა დედოფალი და ხტუნვა-ხტუნვით და მხიარული ყიყინით გაიშოტა ყვავლების გროვაში.

იქვე მიმალული მეფის ასული ბაყაყს მიეპარა, თავში ჯოხი ჩასცხო, გააბრუა, ლურჯი მძივი მოსტაცა და ნიავის ფრთებივით მოუსვა ქოხისაკენ...

მზეჭაბუკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

როგორც კი ლურჯი მძივი ყელზე შეაბა, სასწაულმაც არ დააყოვნა...

განკურნებული მზეჭაბუკი სარეცელიდან წამოიჭიმა და მეფის ასულს ჩაეხვია.. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

ერთხანს ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ უბედურების ღრუბლებმა მათ ქოხს მაინც დააწვიმა.

ერთ მშვენიერ დღეს იმ არემარეში ხმა დაირხა – მეფისნაცვალი მოდის და ყველა მაცხოვრებელი შეიკრიბოსო. მართლაც, ასე მოხდა. მეფისნაცვალი ამალასთან ერთად მოვიდა და სოფლის მცხოვრებთ აუწყა მეფის ანდერძი, სადაც მეფე ითხოვდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფოს ყველა მამაკაცი, როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გამოსულიყო, რადგან სამეფო ყუთიდან ორი გვრიტი უნდა გამოეშვათ, ვისაც ორივე მათგანი დააჯდებოდა, მეფედაც ის უნდა არჩეულიყო.

რა თქმა უნდა, ამ შეკრებილ ხალხში იყო მეფის ასულიც და მონადირეც.

მანამდე სამეფოში მტრედებმა ბევრი იფრინეს და არცერთი მათგანის თავზე არ დასხდნენ, მაგრამ ამჯერად სასწაული მოხდა, ორივე მათგანი მზეჭაბუკ მონადირეს დააჯდა თავზე.

მეფისნაცვალმა და მისმა ამალამ არც აციეს, არც აცხელეს – სტაცეს ხელი მზეჭაბუკ მონადირეს და ეტლით გააქროლეს სასახლეში.

მეფის ასული მოულოდნელობისაგან გახევდა. სატრფოს წარმატება მისთვის დიდი სიხარული იყო, მაგრამ ეტლში ამაყად ჩამჯდარ მონადირეს მასთან გამომშვიდობება თავში აზრადაც არ მოსვლია.

იქვე დაავიწყდა მასზე თავგადაკლული გოგო.

მეფის ასული გამწარებული დაბრუნდა ქოხში. აქ დაველოდები, აუცილებლად გამიხსენებს და დამიბრუნდებაო, – ასე ფიქრობდა..

თავის სასახლეში მშობლებთან ხომ ვეღარ დაბრუნდებოდა?! ან სადღა ჰქონდა გამოსაჩენი პირი! დღე დღეს მისდევდა და წელი – წელს. მზეჭაბუკი კი აღარსად ჩანდა.

მეფის ასულმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, მზეჭაბუკ მონადირეს, ამჯერად ქვეყნის მეფეს, სასახლეში სწვეოდა.

უკანასკნელი თვალმარგალიტი მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი ძვირფასი ზურმუხტის ბეჭედი დარჩენოდა...

ჰოდა, ჩავიდა ქალაქში, მეფის სასახლე იპოვა და იქ კარების მცველი მოისყიდა...

მისდა საბედნიეროდ, მცველი ხარბი კაცი აღმოჩნდა და სასახლეში ადვილად შეუშვა. სხვათაშორის, მეფის საძინებელი ოთახიც ასწავლა...

საოცარი იყო მათი შეხვედრა.. მეფის ასული საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როცა მეფის საძინებელში შეიპარა და სარეცელზე მყოფს მიუალერსა... მზეჭაბუკი ჯერ გაოცდა, შემდეგ კი მრისხანება ვეღარ დამალა...

– შენ თუ იცი, ვის საბრძანებელში შემოიპარე?! მე ხომ ის ძველი მონადირე აღარ ვარ, მეფე ვარ, საჭეთმპყრობელი ამ სახელმწიფოსი, ახლავე დასტოვე ჩემი საძინებელი და ჩემი სასახლე! - იქუხა მან.

– მაგრამ მეც ხომ მეფის ასული ვარ, თანაც შენზე უზომოდ შეყვარებული, გაჭირვებაში შენს გვერდში მდგომი, თუკი გაჭირვებაში ვიყავი თქვენი ღირსი, მაშ, მითუმეტეს, რატომ არ ვარ ღირსი, ვიყო თქვენთან ერთად, თქვენს დიდებაში? ჩვენ ერთად ვზიდეთ ჭირ-ვარამი და ნება მომეცით, რომ თქვენთან დავრჩე. – შეევედრა მეფის ასული.

– არამც და არამც, მე შენ არასოდეს მყვარებიხარ, უბრალოდ მჭირდებოდი, ეს იყო და ეს – კვლავ დაიქუხა მზეჭაბუკმა.

– ადამიანს არ შეიძლება ისე მოექცე, როგორც ნივთს. ნივთი უნდა გვჭირ-დებოდეს, ადამიანი კი უნდა გვიყვარდეს, რატომ გვერევა ეს ხშირად? – იკითხა სასოწარკვეთილმა მეფის ასულმა.

– მორჩი ლაყბობას, გაეთრიე, სანამ მცველებს დავუძახებდე! - ისევ იღრიალა მზეჭაბუკმა.

– მაშ, ეგრეა? კარგი, წავალ, მაგრამ სანამ წავიდოდე, მინდა გითხრა, რომ არ ყოფილხარ შენ ღირსი ლურჯი მძივისა. იგი თან მიმაქვს! - მეფის ასული ეცა ყელზე მონადირეს, მაგრამ ამაოდ.

მზეჭაბუკმა მოასწრო ლურჯ მძივზე ხელის მოკიდება და მეფის ასული დაწყევლა, მწერად გადაიქეცი და ჩიტებმა შეგჭამოსო.

მეფის ასული უეცრად მართლაც გადაიქცა მწერად და ეს მწერი გახლავთ ჩოქელა, რომელსაც მეორე სახელიც აქვს, მას მლოცველს ეძახიან. თუ დააკვირდებით, ეს მართლაც ასეა, იგი უხმოდ, ჩუმად ბუტბუტებს რაღაცას, რას ლოცულობს და ევედრება, ეს მხოლოდ მაღალმა ღმერთმა იცის.

მზეჭაბუკი მეფე ბედნიერი იყო, როცა მისმა წყევლამ გაჭრა და მეფის ასული ჩოქელად გადაიქცა, მაგრამ მის სიხარულს დიდხანს სიცოცხლე აღარ ეწერა...

მოულოდნელად ოთახში საიდანღაც ჭაობის ბაყაყი გამოჩნდა. იგი თვალის დახამხამებაში გაიზარდა და მეფე-მზეჭაბუკი უცებ მოახრჩო, შემდეგ ყელიდან ლურჯი მძივი ჩამოხსნა და სარკმლიდან ისკუპა...

დაიბრუნა ბაყაყთა დედოფალმა სიყვარულის სასწაულმოქმედი ლურჯი მარგალიტის მძივი.

– არაფერი ისე არ ანადგურებს სიყვარულს, როგორც სიამაყე, ამპარტავნება. დაგიტოვებდი ლურჯ მძივს, შენ რომ ადამიანურობა გამოგეჩინა და ნამდვილი სიყვარულისთვის ხელი არ გეკრა. ლურჯი მძივი კი ეკუთვნის მხოლოდ მას, ვინც სამყაროში ნამდვილი სიყვარულის ფასი იცის. ამიერიდან იგი ჩემთან დარჩება,

მაგრამ ყოველ საღამოს ყელიდან მოვიხსნი და მთვარის შუქით გავაგზავნი მის მანათობელ სხივებს ყველა ნამდვილ შეყვარებულთან, რათა მარად ბედნიერები იყვნენ. – დაიყიყინა ბაყაყმა და, სხვათაშორის, მან ეს სიტყვა შეასრულა.

მას შემდეგ ყველა შეყვარებულს ლურჯი მარგალიტის მძივის მათრობელა შუქი ეფინება და გზას უნათებს მარადიული სიყვარულისაკენ.

დილით კი მცველების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეფე – მზეჭაბუკი ლოგინში მოგუდული იპოვეს, იქვე კი ერთი პატარა მწვანე მწერი ფრთხიალებდა და რაღაცას ჩურჩულებდა...

– ასე გაჩნდა ქვეყნად მწერი ჩოქელა“. – დაასრულა მეფე სოლომონმა თხრობა.

– იცი, ჩემო კარგო, რად გიამბე ეს ყოველივე? ადამიანებმა უნდა იცოდეთ, რომ ის ყველაფერი, რაც უნდათ და სურთ, როდია ყოველთვის საჭირო, არამედ არის მხოლოდ ამაოებათა ამაოება. ჩვენ, ადამიანთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, ვერ ვხვდებით, ღმერთისგან თვით აურაცხელი სურვილებიც კი რამხელა წყალობაა, რადგან არ ვიცით, რა გველოდება ოქროს გალავანს მიღმა, – თქვა მეფემ და მათხოვარს გამოემშვიდობა.

ამით დაასრულა ასო-ნიშანმა ზაინმა თავისი ზღაპარი და მეფე სოლომონმა ანბანის მეშვიდე კარი დახურა.

შეგონება

1. იყავი ბრძენი სიყვარულში.
2. სიყვარულს ვერ იყიდი ვერც სიმდიდრით, ვერც სილამაზით და ვერავითარი მიწიერი ღირსებებით. ამ ყველაფრით მხოლოდ ჭკუამოკლე ადამიანის ყიდვა შეიძლება.
3. შთამბეჭდავი ფაქტით ადამიანი ბოლომდე მაინც არ შეიცნობა.
4. ის, რაც დღეს ბრწყინავს, ხვალ შესაძლოა, საწამლავად იქცეს.
5. რასაც ღმერთი არ გაძლევს, ნუ ინდომებ, ნუ აუჯანყდები ღმერთს და არაგულმოწყალებაში ნუ დასდებ ბრალს. შენ არ ხარ ღმერთივით ბრძენი;
6. ნურასოდეს ინდომებ მასთან ურთიერთობას (ვინც არ უნდა იყოს ის), ვინც არ იცის შენი ფასი;
7. გიყვარდეს და დააფასე ის, ვისაც უყვარხარ, ვისაც მართლა ენაღვლები.
8. ამპარტავანი ადამიანის გულში არასოდეს არაა სიყვარულის ადგილი და გაცილებით ადვილად იპოვი ნეხვში ოქროს, ვიდრე მის გულში სიყვარულს.
9. კარგად გამოიძიე, ვინ გიყვარს, ნუ გახდები შთაბეჭდილების ტყვე.
10. ყველას მიეზღვევა თავისი საკადრისი. ღმერთს არ ეჩქარება. ეს სამყაროს ჭეშმარიტების კანონია.
11. მდაბიო სულის ადამიანს სილამაზეს, სულის სიღრმესა და თავდადებას ვერასდროს დაანახებ... თუ შეგიძლია, დაივიწყე იგი, ებრძოლე ამაო ვნებებს.

ძვირფასო ბავშვებო,

II და III ნაწილში დაიბეჭდება **22 სემიტური ასო-ნიშნის** შესატყვისი დანარჩენი **15 ზღაპარი.**

ამჯერად სანიმუშოდ გთავაზობთ ორ ზღაპარს. მეორე ნაწილიდან შევარჩიე **„სამი პირამიდის საიდუმლოება“**, ხოლო მესამე ნაწილიდან – **„მეფე სოლომონი და იბერიის დედოფალი ბორენა“.**

ავტორი

სამი პირამიდის საიდუმლოება

ერთ სოფელში სილამაზითა და ვაჟკაცობით განთქმული მონადირე, ვაჟუკა ცხოვრობდა. მთელი სოფლის გოგოები გიჟდებოდნენ მასზე, მაგრამ მის გულს რატომღაც არცერთი არ ეკარებოდა.

ერთ დღეს, სანადიროდ წასული, მინდვრის მდელოსავით მწვანე ფერივით მოხასხასე საუცხოო მდინარეს მიადგა. მოულოდნელად მდინარიდან ულამაზესმა ქალმა თავი ამოყო. მონადირე მისმა სილამაზემ დანახვისთანავე მოაჯადოვა. ვაჟუკას იგი ერთი დანახვით შეუყვარდა. გულგრილი არც მზეთუნახავი დარჩენილა... ვაჟს გაესაუბრა და უთხრა, რომ წყალქვეშა ზღვების ხელმწიფის შვილი იყო.

– თქვენ ისეთი ლამაზი ხართ, ყველას დაატყვევებთ, – ძლივს ამოილუღლუღა სილამაზით აღფრთოვანებულმა მონადირემ.

– მე ყველას ვატყვევებ და მაინც არავის ვუყვარვარ. როგორც ნადავლი, ისე სურთ ხელში ჩამიგდონ, – გამოუტყდა ქალი. - თქვენ ფიქრობთ, რომ რახან ლამაზი ვარ და თანაც ხელმწიფის ასული, ამიტომ ბედნიერი ვარ? არამცდაარამც! სილამაზე ქალის ყველაზე დიდი მტერია, თუ მას ჭკუასთან ერთად ბედ-იღბალიც არ ახლავს, – უთხრა დაღონებულმა...

– ნეტავ შემეძლოს თქვენი გულის მწვერვალის დაპყრობა, ვფიცავ ვაჟკაცის სიტყვას, რომ მზადა ვარ, თავი გავწირო, – შესძახა მონადირემ.

– თუ მართლა შეგიყვარდით, მიპოვით კიდეც. აკი უთქვამთ, ,, ვინც ეძებს, ის პოულობსო“. სიყვარულს საქმით უნდა დამტკიცება და არა ლამაზი სიტყვებით - ცნობისათვის, სახელად ელენე მქვია, – უთხრა ქალმა და გაუჩინარდა წყლის სიღრმეში.

მონადირე ძალზე დაღონდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ოქროს თევზის დაჭერა. დიდხანს ფიქრობდა, ეს თუ როგორ უნდა მოეხერხებინა. რა თქმა უნდა, მთელი ღამე ფიქრში გაატარა. შეარჩია ის სავარაუდო ადგილიც, სადაც ყველაზე მეტად შეიძლებოდა ოქროს თევზი ყოფილიყო, აღიჭურვა შესაფერისი იარაღებით და გზას გაუდგა.

სწორედ იმ დღეს მოხდა ყველაზე დიდი სასწაული მის ცხოვრებაში.

გაუმართლა და თანაც როგორ? ოქროს თევზი ანკესს წამოეგო. მონადირეს იგი დიდი სიფრთხილით ამოჰყავდა. ის-ის იყო ანკესიდან ჩამოხსნა, რომ უეცრად თევზმა პირი დააღო, ვეებერთელა არსებად გადაიქცა და მონადირე გადაყლაპა.

3 დღე და ღამე იყო იგი თევზის მუცელში... საოცარი გულმოდგინებით ეხვეწებოდა, რომ გამოეშვა მისი მუცლიდან და ბოლოს გულწრფელად მოუყვა, თუ რატომ გადაწყვიტა მისი დაჭერა...

– შემიბრალე, სიყვარულმა დამაბრმავა, – უთხრა თევზს და ისიც დარწმუნდა რა მონადირის გულწრფელობაში, პირი გააღო და ნაპირზე გადმოისროლა. სიხარულით ცას ეწია მონადირე, ოქროს თევზს უღრმესი მადლობა გადაუხადა და არც მისი გაკვირვება დაუმალა.

– ,ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ პატარა თევზი ადამიანს ჩაყლაპავდა და მას დაამარცხებდაო, – უთხრა განცვიფრებულმა.

– ჩემი მაგალითი გაკვეთილი იყოს შენთვის და შენსავით მოაზროვნე სხვა ადამიანებისათვის, –უთხრა ოქროს თევზმა. – რატომ არ იცით, რომ ცხოვრება სავსეა ათასგვარი მოულოდნელობებით, სავსებით შესაძლებელია პატარა თევზმა დიდი თევზი ჩაყლაპოს, ანდა პირიქით, წამოაგოს თავის ანკესზე.

– მადლობა, დღეიდან მეცოდინება, კიდევ ხომ არ მეტყვი რაიმეს, სულისთვის სასარგებლოს? – შეეკითხა მონადირე.

– რატომაც არა, - სიამოვნებით დაეთანხმა ოქროს თევზი და დასძინა: – ნურასოდეს იქნები ბოლომდე დარწმუნებული ნურც ქალის, ნურც ძაღლის ერთგულებაში, რადგან ძაღლები მასთან გარბიან, ვინც უკეთესად აჭმევსო.

მონადირე დაფიქრდა.

– იქნებ კიდევ მასწავლო ცოტა რამ? – უთხრა თევზს.

– სიამოვნებით, – მიუგო თევზმა. - გახსოვდეს, ცხოვრებაში შეუძლებელი არა არის რა, თუ კაცი მოინდომებს, რისიც გწამს და გჯერა, ის დაგემართებაო, ასევე რისიც გეშინია, ის გამოგეკიდებაო.

– აი, მაგ სიბრძნის დაჯერება კი, ცოტა არ იყოს, გამიჭირდება, – გამოუტყდა მონადირე. – რადგან გუშინ სანადიროდ მივდიოდი, ერთ მდინარეს მივადექი, უნდა გადამელახა და მოულოდნელად მდინარიდან თავი ამოყო ულამაზესმა ქალმა, ოქროსფერი თმებითა და ოქროს გვირგვინით თავდადგმულმა; ისე დამატყვევა მისმა სილამაზემ, რომ გულში ჩამივარდა და როცა ვკითხე, ვინა ხარ და საიდან-მეთქი, მიპასუხა: მე წყალთა ხელმწიფის შვილი ვარ და თუ მართლა ასე ჩაგივარდი გულში, მაშინ ისიც იცოდე, შენს გულის ვარდსაც აუცილებლად იპოვიო და გაუჩინარდა. განა შემიძლია მისი პოვნა? ეს ხომ საძნელო საქმეა, – უთხრა დაღონებულმა მონადირემ.

– ჩემო კარგო, რად ვერ ხვდები, რომ დიდი სიყვარული და დიდი წარმატება ცხოვრებაში ძალიან დიდ რისკებს უკავშირდება, მაგრამ როგორც გითხარი, თუ მოინდომებ, შეუძლებელი არაფერია. კეთილი მეგობრების დახმარებით მიზანს უთუოდ მიაღწევ, – უთხრა თევზმა.

ჩემი მეგობრები კეთილები ნამდვილად არიან, მაგრამ მათ არ ეყოფათ ძალა და სიბრძნე დამეხმარონ ბედნიერების პოვნაში, – თქვა მონადირემ.

ოქროს თევზი ძალიან შეწუხდა.

– რახან აგრეა, მე დაგეხმარები, ზურგზე შემომაჯექი და ხელები ჩემს ოქროს გვირგვინს მოჰკიდე, სახელად ლასი მქვია, მეთევზეების მფარველი ღვთაება ვარ,

გვირგვინიც იმიტომ მაქვს. წყლის ქვეშ ჩაძირულ პირამიდებთან მიგიყვან, იქ ისეთ რამეს ამოიკითხავ, რაც უნდა იცოდე, – აუხსნა თევზმა.

– რაში მჭირდება წყალქვეშა პირამიდების სიბრძნე? - განცვიფრება ვეღარ დამალა მონადირემ.

– სიბრძნე ყოველთვის გამოსადეგია, ოღონდ უნდა იცოდე როგორ გამოიყენო.

კაცმაც დაუჯერა და ცოტა ხანში ორთავე პირამიდების წინ აღმოჩნდნენ.

პირველი პირამიდა თეთრი მარმარილოსგან იყო ნაგები, მეორე – მწვანესგან, ხოლო მესამე სულ წითლად ხასხასებდა.

პირველ პირამიდაში შეცურდნენ თუ არა, მონადირემ ოქროს ასოებით დაინახა წარწერა: ,,უკვდავი ისაა, ვინც სიყვარულით უკვდავების კარიბჭეს აღებს“, მეორე პირამიდაში ეწერა: ,,მოკვდავი სახე ვერასოდეს იხილავს ღვთაებრივ სილამაზეს“, მესამე პირამიდა კი ამცნობდა: ,,სამყაროს ყველაზე უმაღლესი გვირგვინი ადამიანია“.

მონადირემ სამი პირამიდის სამივე სიბრძნე კარგად დაიმახსოვრა...

– ახლა რახან პირამიდების სიბრძნის საიდუმლოება იცი, გავსწიოთ წყალქვეშა მეფის სასახლისკენ, მაგრამ იცოდე, წინ უამრავი დაბრკოლება გველის, მაგრამ ყოველი დაბრკოლების გადალახვას ყოველი ახალი სიბრძნის შესწავლაც მოსდევს... ყოველი განსაცდელი მწარე, მაგრამ კარგი გაკვეთილია.

– მთავარი მაინც პირველი ჭის დაპყრობაა, როცა მასთან მივალთ, იქვე დაგვხვდება ოქროს გველთევზაც. იგი ამირანი-პრომეთეს ხმალს დარაჯობს, რომელიც ჭის ფსკერზე ინახება და სწორედ ამ ხმალით უნდა გაჭრა ყოველი ახალი შემხვედრი მდინარე. მთელი უბედურება იმაშია, რომ ოქროს გველთევზა ძალიან ცბიერია. იგი ერთდროულად არის გველიც და თევზიც, ანუ ფლობს გველის სიბრძნეს, მის გულს და ამავე დროს თევზის სიკეთესაც, რითიც ატყუებს ყველა მასთან მიმსვლელს. კარგი იქნებოდა ან მხოლოდ გველი ყოფილიყო ან მხოლოდ თევზი, რადგან იცი, როგორ შეებრძოლო თითოეულ მათგანს, მაგრამ ბოროტება, რომელიც სიკეთის მარცვლებსაც იყენებს, ძალიან ძნელი შესაცნობი და დასამარცხებელია, თუმცა ახლა უკვე შენ ეს იცი, - უთხრა ოქროს თევზმა, - როცა დაგვინახავს, ჩინებულად მიგვიღებს, უამრავ საუცხოო საჩუქრებსაც მოგვართმევს, რაც თევზის ბუნებიდან მოდის, მაგრამ როდესაც საჩუქრებს მიიღებ, ჩუმად მოგეპარება და დაგგესლავს, რაც გველის ბუნებაა, ამიტომაა იგი ძალიან საშიში.

– ყველაზე ცუდი მაინც ისაა, რომ სამყაროში ძალზე მომრავლდნენ მისი მსგავსი ადამიანები, რომლებიც ერთი ხელით სიკეთეს გიკეთებენ, მეორეთი კი განგრევენ, ამიტომ ძალიან ძნელია მათი გამოაშკარავება.

– მოკლედ, არ მიიღო გველთევზასგან საჩუქრები, როგორმე დავუსხლტეთ, ფსკერზე დავეშვათ, ხმალს ხელი სტაცე და წინ სწრაფად გავსწიოთ - დაარიგა ოქროს თევზმა და მონადირეც ასე მოიქცა.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ოქროს თევზმა იწინასწარმეტყველა, ცბიერ გველთევზას ხელიდან დაუსხლტნენ, ამირანი-პრომეთეს ხმალიც ხელთ იგდეს, ჭის ფსკერზე სიბრძნეც წაიკითხეს: ,,ყოველი არსება წვრილმანებში შეიცნობაო“, და გზას გაუდგნენ.

– ასეაო, - თქვა ოქროს თევზმა, ეს პირველი ჭის სიბრძნეა, წინ კიდევ 39 ჭა გველოდება, აბა მარდად გავწიოთ, ცოტა ხანში მეორე მდინარე უნდა გავაპოთ და მისი ჭის ფსკერზე დავეშვებით, სადაც მეორე სიბრძნე გველოდება.

სულ მალე მეორე მდინარე გამოჩნდა, მონადირემ მდინარეს კვლავ დაჰკრა ამირანი-პრომეთეს ხმალი, მდინარე გაიპო და მეორე ჭის ფსკერზე აღმოჩნდნენ, სადაც მეორე ჭის სიბრძნე ეწერა: ,,არ ქმნილი სიკეთე იგივე დიდი ბოროტებააო“.

მონადირე ჩაფიქრდა...

– ეგრეა, ეგრე, – უთხრა ოქროს თევზმა, – რადგან შეიძლება დაიღუპოს ადამიანი, რაც შეგიძლია ის უნდა გააკეთო. ყოველი ჭის ფსკერზე სიბრძნეა და კარგს იზამ, თუ დაიხსომებ. მალე მესამე მდინარეს მივადგებით.

ამირანი-პრომეთეს ხმალმა მესამე მდინარეც გადაკვეთა და იქ მესამე ჭის სიბრძნეც ამოიკითხეს: ,, უნდო ბუნების კაცისგან სიკეთეს ნუ ელოდები, ბრიყვი ნუ იქნებიო“.

მონადირემ ესეც კარგად დაიხსომა და კვლავ განაგრძო გზა.

ჭრიდა და ჭრიდა შემხვედრ მდინარეებს ამირანი-პრომეთეს ხმალი.

მეოთხე ჭაში ამოიკითხეს: ,,ვინც შენთან სხვას აგინებს, ის იმ სხვასთან შენ გაგთელავსო“.

მეხუთე ჭამ ამცნო, რომ ,,ყოველი ბოროტების უკან გამოცდილებაა, რომლის უკან ჭკუა იმალება და ჭკუის უკან კი სიბრძნეო“.

მეექვსე ჭაში კი ეწერა: ,,შეამჩნიე, ჩაუღრმავდი, შეიმეცნე“,

– თუ ჭკვიანი და დაკვირვებული იქნები, ყოველთვის შეძლებ ცუდი მაგალითებიდანაც სასარგებლო დასკვნები გააკეთო, – უთხრა ოქროს თევზმა.

მეშვიდე ჭაში ეწერა: ,,ბოროტი მაშინ არის გამარჯვებული, თუ შენც მის მსგავს ვამპირად გაქცევსო“.

მეერვე ამცნობდა, რომ ,,ბნელია ბოროტთან ბრძოლა, რადგან სიკეთესთან საბრძოლველად სიმართლის მარცვლებს იყენებსო“.

მეცხრე ჭაში კი ეწერა, რომ „შეუძლებელია ბოროტება სიკეთეთ აქციო“.

მეათე ჭა კი ასწავლიდა, რომ ,,სამყაროში ბოროტება არ კვდება, მხოლოდ სიკეთით და სიბრძნით შეიძლება ბოროტების დამორჩილება“.

როცა 10 ჭა გადალახეს წინ, მფრინავ რაშზე ამხედრებული საუცხოო სილამაზის მხედარი შემოხვდათ. ოქროს თევზი მიესალმა და გზა დაულოცა, ამასთან ისიც უწინასწარმეტყველა, წინ გამარჯვება გელისო, რაზეც უფლისწულმა მადლობა მოახსენა და გზა განაგრძო.

მონადირე დაინტერესდა, ვინ არისო - ჰკითხა.

– ისიც წყალთა ხელმწიფის შვილია, ხმელეთზე მიემგზავრება. მზეთუნახავი, რომელიც უყვარს, გველეშაპს ყავს დატყვევებული და, თუ ვერ მიუსწრო, გველეშაპი გადაყლაპავსო, – უთხრა თევზმა.

– იქნებ დავეხმაროთ?

ოქროს თევზმა უარის ნიშნად კუდი გაიქნია:

– გგონია, რახან ოქროს თევზი ვარ, ყველაფერი შემიძლია? მართალია, ხელმწიფის შვილი ვარ, მაგრამ მთელ სამყაროს ჩემთან ერთად კიდევ ორი ხელმწიფე ჰყავს, ანუ სულ სამნი ერთად განვაგებთ მთელ სამყაროს.

სიმართლე ისაა, რომ უფლისწული სამწუხაროდ ვერ მიუსწრებს თავის მზეთუნახავს, როცა გველეშაპთან მივა, მოკლავს, გაფატრავს და იქედან ამოიყვანს მძინარე მზეთუნახავს.

– რახან ეგრეა, იქნებ გააჩერო დრო რამდენიმე წამით? ძალიან გთხოვ, ოქროს თევზო, ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, რა მწარეა სიყვარული! – შეევედრა მონადირე.

დროის გადაწევა, მასზე ფლობა – ეს უკვე პირადად მამაჩემის საიდუმლოებაა. თავის დროზე მან საკმარისი დრო მისცა უფლისწულს, რომელმაც იგი ფუქსავატურად გაფლანგა და გვიან გამოფხიზლდა...

– ჰო, გვიან გააცნობიერა, რომ მართლა უყვარდა ხმელეთის ხელმწიფის მზეთუნახავი, ასე რომ, გვიან გამოფხიზლებას მუდამ ცუდი შედეგი მოსდევს, – აუხსნა ოქროს თევზმა.

რატომ? – არ შეეპუა მონადირე. – მე მაინც მჯერა, რომ შენ, ოქროს თევზს, შეგიძლია დროის გაჩერება. გთხოვთ, გააჩერე რამდენიმე წამით დრო, რომ მიუსწროს თავის სატრფოს, რახან წამები წყვეტენ აქ ყველაფერს, – კვლავ შეევედრა მონადირე. – მე ვიცი, რომ სამყაროში ერთხელ მართლა იყო ასეთი შემთხვევა, როცა მტერთან საბრძოლველად მიმავალმა მართალმა კაცმა - ისუ ნავეს ძემ ვედრებით გააჩერა მზე, ამით კი დროზე გაანადგურა მტერი, გთხოვთ, გაიმეოროთ მსგავსი შემთხვევა!

– მერედა, არის კი უფლისწული ისუ ნავეს ძესავით მართალი და ბრძენი? მართალია, იგი კარგი ადამიანია, მაგრამ მარტო სიკარგე როდი კმარა სამყაროში სასწაულების ჩასადენად... იცი სიტყვა ,,მართალი“ ღმერთის თვალში რამოდენა სიღრმის მატარებელი სიტყვაა? ამაზე ადამიანებს წარმოდგენაც კი არა აქვთ - ამოიოხრა ოქროს თევზმა,... ნეტავ შემეძლოს, მაგრამ არ შემიძლია; უფლისწული გველეშაპის განადგურებით ხმელეთს იხსნის, განა ეს მცირე მისიაა?

მართალია, პირადი ცხოვრებით უბედური იქნება, მაგრამ ბევრ გმირულ საქმეს ჩაიდენს, ამით შეძლებს, რომ ოდესღაც მართლაც გააღვიძოს მძინარე მზეთუნახავი.

რაც ყველაზე მთავარია, უფლისწული განსაცდელებით არასოდეს გაბოროტდება, იმიტომ რომ შინაგანად სულგრძელი ადამიანია.

– დაიხსომე, ჩემო კარგო, როგორი გაჭირვებაც არ უნდა შეხვდეს, კეთილი ბუნების ადამიანი არასოდეს გაბოროტდება, ეს მხოლოდ სულმოკლეებს ჩვევიათ, ახლა კი მოდი, ჩვენც ავჩქარდეთ, რათა ჩვენც უფლისწულივით დრო ხელიდან არ გაგვისხლტეს, – უთხრა ოქროს თევზმა და წყლის სიღრმეებში შეცურდნენ.

მალე მეთერთმეტე ჭას მიადგნენ, სადაც ეწერა, რომ ,,ყველაზე რთული განსაჭვრეტი მოღალატე ბუნების შეცნობაა“.

მეთორმეტე ჭა კი ასწავლიდა, რომ ,,დაფარული ბუნება რომ გამოიცნო, იგი სიბრძნით უნდა გამოსცადო.

მეცამეტე ჭაში ეწერა, რომ ,,კეთილად მას ნუ მიიჩნევ ვინც შენს გაჭივრებაზე დაღონდება, არამედ ის ვისაც შენი ლხინი უხარიაო“.

მეთოთხმეტე ჭა ამცნობდა, რომ ,,ადამიანზე მანამ ნუ იმსჯელებ და დასკვნას ნუ გამოიტან სანამ საქმეში კარგად არ გამოცდიო“.

მეთხუთმეტე ჭაში ასეთი სიბრძნე წაიკითხეს, რომ ,,მომხიბვლელი ადამიანების უკან, ხშირ შემთხვევებში ჯოჯოხეთი ბობოქრობს, რადგან ხიბლი ბოროტიდან მოდისო“.

მეთექვსმეტე ჭა კი ასწავლიდა, ,,ქვევრი თუ ცარიელია, ყველაზე მეტად ის ხმაურობსო“.

მეჩვიდმეტე ჭაში ეწერა, რომ ,,ძუნწი კაცის პური თუ შეჭამე, ვარცლითაც რომ დაუდგა ოქრო, მაინც ვერ ამოხვალ მის ვალიდანო“.

მეთვრამეტე სიბრძნე ასეთი იყო: ,,ადამიანი ყველაზე უკეთ იცნობა გზაში, მოგზაურობის დროს და ოქროსთან ურთიერთობაში“.

მეცხრამეტე ამცნობდა, რომ ,,ნუ მიეჯაჭვებით სიმდიდრეს, რადგან არ იცი როდის წახვალ ამ სოფლიდან ან თავად სიმდიდრე როდის გაქცევს ზურგსო“.

მოგზაურები მალე მეოცე ჭას მიადგნენ, სადაც წაიკითხეს, რომ ,,გულქვა კაცი თუ ზოგჯერ ქველმოქმედიცაა, ქვეწარმავალზე საშიშიაო“.

ოცდამეერთე ჭაში ეწერა, რომ - ,,ადამიანის დაფარული ბუნება ერთ წამში გამჟღავნდება და ის იჭერს, ვინც უეცრად შეხედავსო“.

ოცდამეორე ჭა კი ამცნობდა, რომ - ,,გულს ნუ გაიტეხ, თუ სიყვარულმა ზურგი გაქცია. პეპელას ბუნებაა ყვავილიდან ყვავილზე ფრენა. იგი ხომ სულ რაღაც ერთი დღით ცხოვრობსო“.

23-ე ჭაში ეწერა: ,,ადამიანი იმდენად რთულია, მისი განჯა არც მხოლოდ კეთილი და არც მხოლოდ ბოროტი საქმეებით შეიძლებაო“.

24-ე ჭა კი ასწავლიდა, რომ ,,ზოგჯერ ბოროტებას შეუძლია კეთილი საქმე აკეთოს, რადგან ამით მისი ავი ბუნება დაჰფაროსო“.

25-ე ჭა კი წვრთნიდა - ,,თუ გინდა დარწმუნდე, ნამდვილად უყვარხარ თუ არა, ყური უგდე შამბალას მხარის - მუგურუს გურულების სიმღერას: ,,მიყვარხარო რომ მითხარი, რით შეგატყო სიყვარული“.

26-ე ჭა კი ასწავლიდა: სიყვარული საქმეებით უნდა დაამტკიცო“.

27-ე ჭაში ეწერა, რომ ,,ენა გველეშაპის მსგავსია, შეუზლია რასაც უნდა გველეშაპივით შემოერტყას და კუდი პირში გაიყაროსო“.

28-ე ჭა კი წვრთნიდა, რომ - ,,არ გინდა მეგობრად ყველას მეგობარიო“.

29-ე ჭაში კი დაწერილი იყო, რომ ,,სილამაზეს ბევრი მტერი ყავს, მშვენიერებას კი რაც სამყაროში ბოროტებაა, ყველა ერთად უპირისპირდებაო“.

30-ე ჭამ მასთან მოსულ სტუმრებს ასეთი სიბრძნე დაახვედრა: ,,ცხოვრება არ გაპატიებს გულწრფელობას, ამიტომ ყველასთან გულწრფელობა დიდი სიბრიყვეაო“.

31-ე ჭაში ეწერა, ,,რომ იცოდე რა თქვა და რა არა, ამას სიბრძნრ სჭირდებაო“.

32-ე ჭა კი ამცნობდა, რომ ,,სიბრძნე ტკივილებითა და შეცდომებით ისწავლება და გამოცდილებით მიიღება. არცერთ ბრძენს არ გაუვლია ია ვარდებით ფენილი გზა, რადგან სიბრძნის მწვერვალებისკენ მიმავალი გზა ეკლიანია“.

33-ე სიბრძნის ჭა კი ამცნობდა, რომ ,,ნუ იჩქარებ სამაგიერო მიუზღა, დრო ყველაზე კარგი მსაჯულია, გონივრული მოთმინება სიბრძნის გასაღებია“. ყველაზე მცდარი ის გადაწყვეტილებაა, რომელსაც მრისხანების დროს ვიღებთ“.

ყველაზე დიდხანს ჩვენი მოგზაურები 33-ე ჭასთან გაჩერდნენ, ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ მის საიდუმლოებაზე...

მონადირემ კვლავ აიღო ამირანი - პრომეთეს ხმალი, გადაკვეთა 34-ე მდინარე და 34-ე ჭაში შევიდნენ, სადაც ჭა ამცნობდა, რომ - ,,გახსოვდეს, იცოდე, ყველა მიზანი და მასთან მისასვლელი გზები ღირებული როდია და ბევრი ჭაობისაკენ მიემართებაო“.

35-ე ჭაში ეწერა - ,,ზოგიერთი გამარჯვება დამარცხებაზე უარესიაო. თუ სიბრძნის შეძენა გსურს მიემზადე განსაცდელებისათვისო“.

36-ე ჭა კი ამცნობდა, რომ ,,ნუ შეხვალ ცოდნის ზღვაში თუ გამოცდილი მესაჭე არა ხარ, რადგან ბევრმა ცოდნამ ბევრი შთანთქა თავის უფსკრულებში, გამოცდილებამ კი არცერთიო“.

37-ე ჭაში ეწერა - ,,ყველაზე სასარგებლო ის ცოდნაა, რაც გამოცდილებით მოდისო“.

38-ე ჭა კი მოძღვრავდა, რომ - ,,რატომ არ ფიქრობ იმაზე, მეგობარს თუ შენი მცირე სიკეთე ეწყინა, დიდში რაღას გიზამსო“?

39-ე სიბრძნის ჭაში ეწერა, რომ ,,უდაბნოში უფრო ჰპოვებ ყვავილებს, ვიდრე ხალხში კეთილ ადამიანსო“ და იქვე იყო გაგრძელებული - ,,ბრბოს სიმართლე არა აქვს“.

მოგზაურებმა გზა განაგრძეს, გაკვეთეს მეორმოცე მდინარე, ჩაყვინთეს მეორმოცე ჭაში, სადაც დახვდათ წარწერა, რომ - ,,ყველაზე დიდი მტერი შემოქმედ გონებას ჰყავს“. როგორც კი მეორმოცე ჭას გაცდნენ ოქროს თევზმა სვებით ამოისუნთქა - გამოგიტყდები და ყველაზე მეტად მეორმოცე ჭის გადალახვის მეშინოდა, - უთხრა მონადირეს.

– რატომ? - გაიკვირვა მან.

– სიტყვას ჩაუკვირდი და მიხვდები: ორმოცი ანუ ორმო ცის.

ძნელია მას ხელიდან დაუსხლტე. მაგრამ ჩვენი მიზანი კეთილია და, საბედნიეროდ, გამოგვივიდა კიდეც.

– მართლაც რომ, ბედნიერებაა, – შვებით ამოისუნთქა მონადირემ. იმედია, ახლა მალე მივალთ სასახლესთან, გული ლამის ბუდიდან ამომივარდეს.

– მესმის შენი, – დინჯად მიუგო ოქროს თევზმა, – მაგრამ აჩქარებას ნამდვილად არ გირჩევ.

– რატომ? – დაეკითხა მონადირე...

– იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ვერ ფლობ სრულყოფილად ცისა და მიწის საიდუმლოებებს.

– ცოტაოდენი სწავლა ჯერ კიდევ ნამდვილად არ გვაწყენდა, – უთხრა ოქროს თევზმა და, სანამ ხელმწიფის კარამდე მიაღწევდნენ, მონადირეს კვლავ ბევრი სიბრძნე დაასწავლა.

წყალთა ხელმწიფე გაოცებული შესცქეროდა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ძლიერი სულის მამაკაცს, რომელმაც უამრავი ტანჯვა გამოიარა, რათა ბედი სათაყვანებელი ქალისთვის დაეკავშირებინა.

– აღფრთოვანებას ნამდვილად ვერ ვმალავ, - უთხრა ხელმწიფემ. - თქვენი სიმამაცე სახეზეა, მაგრამ მინდა სიბრძნითაც გამოგცადოთ. მე ყოველთვის ხომ ვერ ვიქნები და თუ სამეფოს ბრძენი კაცი არ ჩაუდგება, ყველაფერი დაიღუპება. ჩემი ასული იმსახურებს ბრძენ და მამაც საქმროს. ახლა სხვა ოთახში გავალ, შენთან კი ერთ კაცს გამოვუშვებ. იგი კითხვებს დაგისვამს, რომელსაც შენ უნდა გასცე პასუხი და მე მას მეორე ოთახში მოვისმენ. თუ პასუხები არ მომეწონება, ჩემს ასულს ნამდვილად ვერ მოგათხოვებ. როგორც მოხვედი, ისე წახვალ, – მოუჭრა ხელმწიფემ და ოთახიდან გავიდა.

– იცოდე, ეს მთხოვნელი სინამდვილეში თვითონ ხელმწიფე იქნება, გადაცმული გაჭირვებული კაცის სამოსში, – ჩასჩურჩულა ოქროს თევზმა.

ცოტა ხანში მონადირის წინ ვიღაც მთხოვნელი აღიმართა, ნამდვილად ძნელი იყო მასში ხელმწიფის შეცნობა. იგი მათ მიესალმა და პირდაპირ კითხვებზე გადავიდა:

– სანამ კაცთან საქმეს დავიჭერ, რა უნდა ვქნა? – ჰკითხა სასიძოს.

– კარგად გამოიძიე და შეამოწმე მისი სინდის-ნამუსი! თუ ამას არ გააცნობიერებ, იქ წარმატებას ნუღა ელი! - უპასუხა სასიძომ.

– ვინ არის ,,მშვენიერი ელენე“?! მეფის ცოლი თუ მეფის ასული?! – ორაზროვნად ჰკითხა სასიძოს.

– ცოდნა! დაფარული საუცხოო ცოდნა, რომელიც მუდამ საფრთხეშია. ფხიზლად იყავი და დაასწარი მის მომტაცებლებს, – დინჯად მიუგო სასიძომ.

– რამდენად სანდონი არიან წარმატების მუნდირში მყოფი ადამიანები?!

– მათ ნურც დაუჯერებ და ნურც დაეყრდნობი, რადგან წარმატებები მეტწილად უსინდისობათა გროვიდან მოდის, მითუმეტეს, ჩვენს საუკუნეში.

– არ მომწონს ის, რაც მაქვს! - გაჯიუტდა მთხოვნელი კაცი.

– ყოველთვის დააფასე ის, რაც გაქვს. ნუთუ, მაინცდამაინც დაკარგვაა საჭირო, რომ მიხვდე, თუ რა სიკეთეს ფლობდი? – აუხსნა სასიძომ.

– არა ვარ ბედნიერი, – გაჯიუტდა კაცი.

– გშია?

– არა,

– გცივა?

– არა,

– გტკივა?

– არა.

– თავშესაფარი გაქვს?

– დიახ.

- ბედნიერი ყოფილხარ, – მიუგო სასიძომ.

- მოწყენილი ვარ! - გამოუტყდა მთხოვნელი.

- რა უნდა ვქნა?

- დატკბი ჩამავალი მზის სილამაზით.

- მარტო ვარ! - გაჯიუტდა კაცი.

- დიადი სულის ადამიანები მეტწილად მარტო-სულები არიან - განუმარტა სასიძომ. – შეიძლება სასახლეში ცხოვრობდე და მაინც მარტო იყო.

- შვილი არ მყავს! - წამოიყვირა მთხოვნელმა.

- საზრუნავი მოუშორებია ღმერთს და თანაც, ის როდია უბედური ვისაც შვილი არ ყავს, არამედ ის, ვისაც ჰყავს და არ უვარგა - დაამშვიდა სასიძომ.

- არავის ვუყვარვარ, - ლამის აქვითინდა მთხოვნელი.

- შენ შეიყვარე! - მკაცრი ხმით მიმართა სასიძომ - სიყვარულში ბოლომდე ბედნიერი მაინც ვერ იქნები. ორთაგან ერთი უფრო ადრე კვდება.

- აღსასრულის დროს ვინ იქნება ჩემთან? - სულმოუთმენლად იკითხა მთხოვნელმა.

- ღმერთი! ადამიანი სიკვდილის დროს ისედაც მარტოა, თუნდაც გარს უამრავი ადამიანი ეხვიოს.

- მეშინია სულისა და ხორცის გაყრის! - კვლავ გამოუტყდა მთხოვნელი.

- იმისი უფრო გეშინოდეს, ღმერთს თუ როგორი პირით მიეახლები - უპასუხა სასიძომ.

- რა ვქნა, უბედური რომ არ ვიყო?

- იცოდე ზომიერების ფასი. ზედმეტს ნუ ითხოვ!

- არ ვიბრძოლო?!

- იბრძოლე, ოღონდ შენი შესაძლებლობები გაითვალისწინე!

- სიმართლე არ ვთქვა?!

- თქვი! ოღონდ წინ სიბრძნის ჩირაღდანი აანთე და ძალა შეიძინ-შეიმატე. შესაფერისი დრო და გარემოება შეურჩიე, თორემ შენი სიმართლე შენვე მოგიღებს ბოლოს.

- არ მინდა განშორება სილამაზესთან!

- ეს ჩვენ უკვე აღარ გვეკითხება, რადგან ჩვენი ნებით როდი მოვსულვართ დედამიწაზე.

- ყველაზე მეტად რა არ ვიცი?!

- ის, რომ წარმოდგენაც კი არ გვაქვს ზეციურ სილამაზეზე.., თუ რა ელოდება ღირსეულ ადამიანს ღმერთის საუფლოში, შენ არ იცი, თუ როგორი სილამაზე გელოდება იქ, სადაც მიდიხარ...

- როგორ მოვიპოვო მარადიული სილამაზე?

- ღირსეული ცხოვრებით.

სხვანაირად ვერ შეაღებ ზეციურ კარიბჭეს.

-კაცის სიბრიყვე რაზეა დამოკიდებული, გულზე თუ გონებაზე?

- ორივეზე.

- სულელი ვინ არის?

- სიტყვას დაუკვირდი, ის ვინც სულ ელის, ანუ არ მოქმედებს გონივრულად.

- ჭკვიანი ვინ არის?

- ის, ვისაც ხელსი ია ანუ იანი, იები ჰყავს. ია ხომ ჯერ კიდევ მაშინ ამოდის და აცოცხლებს გარემოს როცა სიცივეა. არ ეპუება გაზაფხულის სიმკაცრეს. ჭკვიანი თანაც ეს სიტყვა ხომ ჭკუა-სგან მოდის, ჭკუა ანუ მასში მყოფიკუ, რომელიც დინჯად, გონივრულად მოძრაობს და ყოველტვის აღწევს იქამდე, სადაც უნდა მივიდეს.

- რთული რა არის?

- ცბიერის გამოცნობა.

- რას მოვერიდო?!

- ბრიყვს და ცბიერს.

- რისი გვეშინოდეს?

- საკუთარი ცოდვების.

- ყველაზე ძნელად რას იპოვი?

- სიყვარულს.

- რას უნდა ველოდე ცხოვრებისაგან?

- ყველაზე მეტად ის გირალატებს, ვისგანაც არ ელი.

- რა ვუყო ეწვიან ადამიანს?

- მოიცილე თავიდან!

ეჭვიანთან ბედნიერი ვერ იქნები. ეჭვიანები მეტწილად ის ადამიანები არიან, რომელთაც ადვილად შეუძლიათ გულში ღალატი გაივლონ, ამიტომაც არ სჯერატ

სხვების. ეჭვი ერთდროულად ცოდვაცაა და ავადმყოფობაც. მწარე ცხოვრება კარგ ადამიანს არასოდეს ეჭვიანს არ გახდის, მხოლოდ ფხიზელ პიროვნებად გადააქცევს. ეჭვი ბოროტი ბუნების თანამდევი თვისებაა. ეჭვი და სიფხიზლე უნდა გაარჩიო ერთმანეთისაგან - დაარიგა სასიძომ.

- ყველაზე ცოდო ვინ არის? - კითხვებს კითხვებზე აყრიდა მთხოვნელი.

- გაბრუებული ადამიანი, სულერთია ეს დიდებით იქნება გამოწვეული, სიმდიდრით, წამალით, გართობებით თუ სხვა საშუალებებით - მიუგო სასიძომ.

- სხვისი ტკივილის ხმას ყველაზე უკეთ ვინ იგებს?

- ვინაც ტკივილი საკუთარ თავზე გამოცადა.

ამ პასუხების მოსმენის შემდეგ მთხოვნელმა კაცმა ელვის სისწრაფით შემოიძრო სამოსი, პარიკი მოიხადა, ხელოვნური დიდი წითელი წვერი მოიძრო და მათ წინ უკვე ნამდვილი ხელმწიფე იდგა...

– ძალიან მომწონს, ყმაწვილო, თქვენი პასუხები, მაგრამ თქვენს ბედს მაინც სამი წყალქვეშა პირამიდის საიდუმლოება გადაწყვეტს, თუ ამ კითხვებზე სწორად მიპასუხებ, მშვენიერი ელენეს მეუღლე გახდები, თუ არა და რა ვქნაო - უთხრა ხელმწიფემ.

გამოიცანი, რა წერია პირველ პირამიდაში, მიპასუხე! - მიმართა სასიძოს.

– „უკვდავი ისაა, ვინც სიყვარულით უკვდავების კარიბჭეს აღებს“, - მიუგო სასიძომ.

– მართალია, – დაეთანხმა ხელმწიფე და ჰკითხა, მეორე პირამიდაში რა წერიაო.

– „მოკვდავი სახე ვერასდროს იხილავს ღვთაებრივ სილამაზეს“.

– მართალია, - ამაზედაც დაეთანხმა ხელმწიფე, - ახლა კი მესამე პირამიდის ამბავიც მითხარი.

– მესამე პირამიდაში სწერია, რომ - ,,სამყაროს ყველაზე უმაღლესი გვირგვინი ადამიანია“ - იყო პასუხი.

გახარებულმა ხელმწიფემ სასიძო გულსი ჩაიკრა;

– ნამდვილად ღირსი ხარ ჩემი სიძეობისა, მაგრამ სანამ ელენე მზეთუნახავს გაჩვენებ, მინდა რასაც აქ ოქრო-ვერცხლს ხედავ ყველა სენი იყოს და აუტანე ხმელეთზე ადამიანებს, რომ დედამიწაზე ყველანი კარგად ცხოვრობდესო - უთხრა ხელმწიფემ სასიძოს, მაგრამ მან უარის ნისნად თავი გაიქნია...

- არ მინდა ოქრო!

სწორედ ოქროს გამო ხდება ყველა ის უბედურება, რასაც მიწიერ სამყაროში შეხვდებით, - შიმშილი, სიღატაკე, კაცის კვლა, ადამიანის სულში ჩაფურთხება... აზრი არააქვს დედამიწის ოქროთი გადაჭედვას, რადგან ადამიანის შიშველ სულს ოქრო ვერასოდეს შემოსავს,... ღატაკი ღატაკად დარჩება და მდიდარი კიდევ უფრო ძალმომრე იქნება! ყველაზე კარგი ისაა რასაც ახლა ვიტყვი, - მიმართა ოქროს თევზს მონადირე ვაჟუკამ - ოქროს გრაგნილზე დაწერე სიტყვები, რასაც ახლა მოისმენ და აუტანე ადამიანებს. ოქროს თევზი უსიტყვოდ დაეთანხმა... სასიძოს ოქროს

გრაგნილი მიართვეს და დააწერა, რომ: - ,,ადამიანი ოქროს სულში უნდა მალავდეს“...

ოქროს თევზმა დიდი სიფრთხილით ჩაიდო პირში გრაგნილი.

– მოაბრძანეთ მშვენიერი ელენე - გასცა ხელმწიფემ ბრძანება.

ცოტა ხანში მეფის კარისკაცებმა ზარ-ზეიმით ოქროთი მოვარაყებული ტახტრევანი შემოაბრძანეს, რომელზედაც საბურველჩამოფარებული ქალბატონი იჯდა;

–ამ საბურველის მიღმა დიდი საიდუმლო იმალება, ის რაც თქვენ არ იცით და წარმოდგენაც კი არ შეგიძლიათ.

არამცდაარამც არ შეიძლება მისი საბურველის ახსნა, თორემ მას სამუდამოდ დაკარგავ. – მიმართა უზომოდ შეყვარებულ მიჯნურს.

– დიდო ხელმწიფევ, იქნებ უფრო მკაფიოდ და გასაგებად გვითხრათ სათქმელი - თხოვნით მიმართა მონადირე ვაჟუკამ - ჩვენ ხომ შევთახმდით, თუ თქვენს მიერ დასმულ კითხვებს სწორად ვუპასუხებდი, მაშინ გადმომცემდით სატრფოს...

– დიახ, და ვაპირებ კიდეც ნათქვამის შესრულებას, მაგრამ თქვენ ხომ არაფერი იცით მისი წარსულიდან;

მინდა იცოდეთ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

ელენე, მართალია, ჩემი შვილია და მას ჩემს ერთადერთ ასულად ვთვლი, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი მაინც სულ სხვაგვარადაა.

ელენე ხმელეთიდანაა, აღმოსავლეთ ხელმწიფის შვილია, რომელიც ქაჯებმა მოიტაცეს. გზად შემთხვევით გადავეყარე. ჩემს ამალას ვუბრძანე მისი განთავისუფლება და ქაჯების დახოცვა. სასახლეში წამოვიყვანე. შვილი არ მყავდა და ჩემს შვილად მივიღე. რომც მყოლოდა, არა მგონია, საკუთარი შვილი მასზე მეტად მყვარებოდა.

ელენეს მთელი უბედურება იმაშია, რომ სიკვდილის წინ ქაჯების მთავარმა სასტიკად დაწყევლა – მანამ დარჩები ულამაზეს ქალად, სანამ შენზე შეყვარებული კაცი საბურველს არ აგხდისო. რახან ჩემი არა ხარ, ნურც სხვისი გამხდარიყავიო.

ეს ვიცოდი და ამიტომ კითხვებით ვჭრიდი ჩემთან მოსულ ყველა სასიძოს, რათა ელენეს ეცოცხლა...

ელენემ სასახლეში დიდი განათლება მიიღო და მთელი სამყაროს შესახებ უდიდეს სიბრძნეს ეზიარა, რომლის გამჟღავნებაც კაცთათვის არამცდაარამც არ შეიზლება, რადგან ადამიანები მზად არ არიან ამ ყველაფრის მისაღებად.

მაგრამ მე წავაგე და იგი შენ უნდა გადმოგცე, თუმცა კარგად ვიცი ამას რაც მოყვება... მშვენიერი ელენე ქალი აღარ იქნება, როგორ2ც ქალი იგი აღარ იცოცხლებს და სულ სხვა განზომილებაში გადავა...

– ელენეს გარეშე მე აქედან არ წავალ, მაპატიეთ, მაგრამ არაფრით შემიძლია დავიჯერო თქვენი ნათქვამი; როგორც სჩანს, არ გინდათ მომათხოვოთ თქვენი ასული და ამ რაღაც-რაღაცეებს იმიტომ მიყვებით...

– თუ ნებით არ მომცემთ, მას ძალით წავიყვან, - შეჰყვირა ვაჟუკამ და ამირანი-პრომეთეს ხმალი იშიშვლა.

– შეჩერდით, როგორც კი საბურველს ახდით, ჩემი შვილის სიცოცხლე შეწყდება, შეჩერდით, გთხოვთ! – გამწარდა ხელმწიფე, მაგრამ ვაჟუკა ელვის სისწრაფით მიიჭრა ტახტრევანთან და ქალს საბურველი ახადა...

მშვენიერმა ელენემ განცვიფრებისაგან შეჰკივლა, სახე მზესავით გაუბრწყინდა და მზეზე უფრო ბევრად ლამაზი გახდა, ვაჟუკა მის წინ დაემხო და შემდეგ საოცარი მოწიწებით მის ხელს დასწვდა, მაგრამ უეცრად იჭექა, ჩამობნელდა და ცოტა ხანში ელვამ მთელი სასახლე გაანათა, რომლის შუქზეც ყველამ დაინახა, თუ როგორ ჩამოეშვა ტახტრევანიდან მზეთუნახავი და თეთრი ფერის მარმარილოს იატაკზე დავარდა...

ცოტა ხანში მისი სხეული ოქროს წიგნად გადაიქცა, რომელიც პატიოსანი თვალებით იყო შემკული და თვალისმომჭრელად ჩახჩახებდა...

ხელმწიფე ქვითინით დაემხო ოქროს წიგნის წინ. სასიძო კი იდგა მეხდაცემულ მუხასავით.

– ხომ გითხარით, რატომ არ დამიჯერეთ, გყვარებოდათ და გეცხოვრათ მისი სიყვარულით, თქვენ ხომ არავინ გიშლიდათ, რომ გულში გყოლოდათ მისი ხატება... ეს რა გააკეთეთ, ვერც თქვენ დაისაკუთრეთ და მეც წამართვით... აღარ მყავს შვილი... ნუთუ ესაა თქვენი სიყვარული - რატომ არ დამიჯერეთ, თქვენ რომ იგი ნამდვილად გყვარებოდათ, არ შეეხებოდით მის საბურველს და ამით ცოცხალს დატოვებდით... ადამიანები რად ვერ ხვდებით, რომ ნამდვილი სიყვარული კი არ ისაკუთრებს, არამედ ათავისუფლებს ტყვეობისაგან...

– ელენე, ჩემო უსაყვარლესო შვილო, რაღა ქნას აწი შენმა მოხუცმა მამამ უშენოდ, ვაი, ვაი, ვაი - ვიშვიშებდა ხელმწიფე.

გაოგნებული იყო ვაჟუკა, თვალებს არ უჯერებდა, თავი სიზმარში ეგონა...

დიდხანს მოთქვამდა ხელმწიფე, მერე როცა გამოერკვა, ცოტათი დამშვიდდა და ვაჟუკას მიმართა:

– რაც მოხდა, მოხდა, უკვე აღარაფერი შეიცვლება... ვიცი, გულით გიყვარდა ელენე, მაგრამ ახლა ისღა დაგვრჩენია თავი ყველამ ხელში ავიყვანოთ;

კიდევ გეტყვით ერთ სიმართლეს: - შენ მაინც ვერ ზიდავდი მის სიყვარულს და მის სიბრძნეს, რადგან ეს უკვე ადამიანურ ძალ-ღონეს აღემატება.

აბა, სცადე ოქროს წიგნად ქცეული ელენეს ხელში აღებას თუ შეძლებ!

ვაჟუკა მივიდა წიგნთან და ძვრაც ვერ უყო...

– ხომ გითხარი... – ნაღვლიანად ამოიოხრა ხელმწიფემ, – ახლა კი აირჩიე, რა გსურს, დაბრუნდე უკან ხმელეთზე თუ დარჩე აქ და სამუდამოდ დაიდო ბინა მის

გვერდით, - მაგრამ ვაჟუკა კვლავ გაქვავებული იყო... ბოლოს, როგორც იქნა, გონს მოეგო და ოქროს თევზს მიმართა;

– ოქროს თევზო, იქნებ ის მაინც გამიმხილო, რატომ არის სიყვარულში ზოგი ბედნიერი და ზოგიც კიდევ უბედური; რატომ უმართლებს მაინცდამაინც ზოგიერთს?

რამდენი უღირსი კაცი ვიცით, რომელიც გარშემორტყმულია სიყვარულით, სიმდიდრით, ყოველგვარი პატივით ეს მაშინ, როდესაც სამყაროში რამდენი მართლაც ღირსეული ადამიანი თავს უბედურად გრძნობს და ტანჯვასა და იმედგაცრუებაშია მისი ცხოვრება, მაგალითად ისე, როგორც ეს მე დამემართა...

რამდენი ვიწვალე საოცნებო ქალისთვის და მივუახლოვდი თუ არა, ხელში მხოლოდ სიბრძნის წიგნი შემრჩა... არ ვიცი როგორ მოვინელებ მის სიყვარულს... სულ ერთიანად განადგურებული ვარ... ჩემთვის მთელი სამყარო დაცარიელდა...

– მესმის შენი, - ატირდა ოქროს თევზი და თანაგრძნობის ნიშნად თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით გადმოყარა. – მაგრამ კითხვა, რომელიც დასვი, ღვთაებრივი საიდუმლოა, და სწორედ მაგ კითხვაზეა პასუხი ამ საოცარ წიგნში.

სწორედ იქ იპოვი, წაიკითხეთ და გაიგებ, რატომ ხდება ცხოვრებაში ზოგი მოვლენა ასე და არა ვთქვათ ისე - როგორც ჩვენ გვინდა…

შენ ამ ყველაქფერს გაიგებ, მაგრამ ადამიანებს ვერ ეტყვი, რადგან თუ ულამაზეს ელენეს აირჩევ, მაშინ სამუდამოდ მოგიწევს აქ მის გვერდით ყოფნა...

აი, ეს კი უკვე ნამდვილადაა შენი თავისუფალი ნება, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგეცა არჩევანი...

– გული ნუ დაგწყდება, ვაჟუკავ, ყოველ დამსხვრეულ სიყვარულს ჩვენთვის უდიდესი სიბრძნე მოაქვს, რომელსაც მის გარეშე ნამდვილად ვერ შევიძენთ, - უთხრა ოქროს თევზმა და გაჩუმდა...

სამეფო დარბაზში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ცოტა ხანში კვლავ ოქროს თევზმა დაარღვია;

– ადამიანებმა ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ რომ მთელი ჩვენი ცხოვრება და სიცოცხლე, გამოცდილებათა სიბრძნის წიგნია და როცა მის საიდუმლოებას მივაგნებთ, გადავშლით და წავიკითხავთ, მასთან ერთად სამუდამოდ ვიძინებთ ცხოვრების ფსკერზე... ამიტომ დროზე უნდა გააქანო თავი და ტვინი გაანძრიო! - მკაცრად დასძინა მან - წუთისოფლის ხიბლი, მაცდუნებელი მხარეები ადამიანებს ღვთაებრივ სიბრძნეს აშორებს!

– ნუთუ, ულამაზესი სიყვარული უნდა დაიმსხვრეს! - ნერვები ვეღარ მოთოკა ვაჟუკამ.

– უნდა დაიმსხვრეს, - დინჯად მიუგო ოქროს თევზმა - და როცა მისი მბრწყინავი ნატეხები აქეთ-იქით გაიფანტება, სწორედ მის შიგთავსშია სიბრძნე...

ადამიანის ცხოვრება სინამდვილეში დაკმაყოფილებულ სიყვარულსა და სურვილებში როდია, არამედ მის სიბრძნეშია!!! მაგრამ სამწუხაროდ იგი ამას ვერ

გრძნობს, ვერ აცნობიერებს, არადა მისი უკვდავი სული სინამდვილეში სწორედ სიბრძნისკენ მიისწრაფვის რათა გადარჩეს, გადარჩეს სამუდამოდ და სამყაროს მისი უკვდავი სუნთქვა სამარადისოდ შეუერთოს... დაამთავრა სათქმელი ოქროს თევზმა და პირში ოქროს გრაგნილი ჩაიდო.

მისი ნათქვამით გაოგნებულმა მონადირემ ხმა ვეღარ ამოიღო...

– აბა, გადაწყვიტე, რომელს ირჩევ, - ალერსიანად მიმართა ხელმწიფემ ვაჟუკას, – აქ დარჩები თუ უკან გაჰყვები ოქროს თევზს?

– აქ დასაფიქრებელი არაფერია, ფეხს არ მოვიცვლი აქედან, რადგან ელენეს გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, – მტკიცედ მიუგო სასიძომ. – მჯერა, რომ ოდესმე ელენე გაცოცხლდება და კვლავ იქცევა უმშვენიერეს ქალად, დაველოდები, მანამდე კი მინდა წიგნად ქცეული ელენეს ფურცლები ვნახო, მაინტერესებს შიგ რა სწერია - ეს თქვა და ვაჟუკამ დიდი ინტერესით გადაშალა წიგნი;

პირველ ფურცელზე ეწერა: ,,ბედნიერება არავინ იცის, არც ის იციან საით ეძებონ“.

ვაჟუკა დაფიქრდა.

მეორე ფურცელზე ეწერა: ,,ზღვაში ჩაღვრილი ოქროს სხივი - შენი წარსული, აღარ ინატრო რომ დაგიბრუნდეს, გჯეროდეს, სილამაზე აიკრეფს სხივებს“.

ვაჟუკას შეყვარებულმა გულმა, ამ სიტყვებისა ვერა გაიგო რა, ხელმწიფე კი უმალვე დაეთანხმა... ,,ნამდვილად ასეაო“ - ამოიოხრა ნაღვლიანად.

მესამე ფურცელი ამცნობდათ: ,ნუ ეძებ ბედნიერებას ადამიანო, წარმავალ წუთისოფელში, ვერასდროს იქნები ბოლომდე ბედნიერი, რადგან ღმერთმა ადამიანში ჩადო დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რამეთუ დაკმაყოფილებული სული კაცისა ღმერთს აღარ ეძიებს. უღმერთო კაცი მკვდარია, ღმერთს კი სურს ადამიანმა დაუსაბამოდ იცხოვროს მასში“.

ვაჟუკა ღრმად ჩაფიქრდა და მეოთხე ფურცლის სიბრძნეს დასწვდა:

,,როდესაც ადამიანის ,,მე“-ში თავს იყრის თავმდაბლობა, სიმშვიდე და სიყვარული, ამ ყველაფერს ერთად აღებულს სიბრძნე ჰქვია“.

მეხუთე ფურცელზე ეწერა: „თუგინდაც ფლობდე მთელ სამყაროს, მაინც უბედური და ღატაკი ხარ, თუ სულში სიმშვიდე დარღვეული გაქვს“.

მეექვსე ფურცელი კი აუწყებდათ, რომ ,,ყველაზე ძნელი მიწიერ სამყაროში პატიოსანი ცხოვრებაა“.

მეშვიდე ფურცელზე კი ოქროსფერი ასოებით კიაფობდა წარწერა:

,,ამაოა ყოველი - ოქრო, ლალი თუ ზურმუხტი, რამეთუ დედამიწაზე არაფერი ისე არ ბრწყინავს, როგორიცაა - კაცთმოყვარეობა“.

მერვე ფურცელზე ეწერა:

,,რასაც აგზავნი შენი სიცოცხლის მესიჯით სამყაროში, უკან დაგიბრუნდება ბევრად უფრო ძლიერი ძალით და თავზედაც სწორედ ის დაგეფრქვევა. შენ თუ აგცილდა, შენი შთამომავლობა ვერსაით წაუვა“.

მეეცხრე ფურცელი კი აუწყებდათ, რომ

,,მადლი მადლს ამრავლებს, ბოროტი კი ბოროტებას, ამიტომ ზოგი მწუხარებით გამოიცდება, ზოგიც კიდევ ლხინებითა, მაგრამ სოფლის ბადეს ვერავინ დაუძვრება, თავმდაბალი კაცის გარდა“.

მეათე ფურცელი კი მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით:

,,ცარიელ ხელს თვით სამყაროს აბსოლუტური სრულყოფილება - 10 ზეცაც კი ვერ ამოავსებს“.

ღრმად ჩაფიქრებულმა ვაჟუკამ ის-ის იყო მეთერთმეტე ფურცლის გადაშლა დაიწყო, რომ მოულოდნელად მაღლიდან ოქროს ბოქლომი და ოქროს ჯაჭვი ჩამოეშვა, წიგნს დაეცა და ოქროს წიგნი დაიკეტა.

– რა სამწუხაროა, რომ ბილომდე წაკითხვა ვერ მოვასწარი, – გაბრაზდა მონადირე ვაჟუკა. – ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ საუკეთესო წერია შიგ.

– მოდი, რაც ვიცით ის შევასრულოთ, – თქვა ხელმწიფემ. – გადასარჩენად ჩვენ იმაზე მეტი ვიცით რაც საჭიროა, მაგრამ არ ვასრულებთ. ვაღიაროთ ეს.

მონადირეს ხმა არ ამოუღია... ან კი რაღა ჰქონდა სათქმელი.

– რა გადაწყვიტე, რჩები თუ მიდიხარ? - დაეკითხა ხელმწიფე.

– მონადირემ უსიტყვოდ დაუქნია თავი და ანიშნა რომ რჩებოდა.

– კარგი, რახან ასეა წაიღე ეს ოქროს წიგნი, უდარაჯე მას, რახან მშვენიერი ელენე როგორც უკვე გითხარი ესაა სიბრძნე, ბედ-იღბალი და გასაღები მთელი სამყაროსი... ვიცი ადამიანის ხელი ვეღარასოდეს შეეხება მას, რადგან შენ ის დრაკონი ხარ რომელიც ამიერიდან სამუდამოდ მას უდარაჯებს, ადამიანები არ არიან მზად ღვთაებრივი სიბრძნის ყველა საიდუმლოს ეზიარონ, ამიტომ სიბრძნე გამორჩევით მიეწოდებათ, –თქვა ხელმწიფემ.

ასე დარჩნენ ზღვების სიღრმეში მშვენიერი ელენე და მასზე უგონოდ შეყვარებული მონადირე ვაჟუკა, ოქროს თევზმა კი თავისი სიტყვა შეასრულა და ნაპირზე გადმოისროლა ოქროს გრაგნილი, სადაც აუწყებდა ადამიანებს, რომ სრულიადაც არ არის საჭირო ოქრო და სიმდიდრე დედამიწაზე, რადგან ,,ადამიანები ოქროს სულში უნდა მალავდნენ“. აი, მაშინ კი ნამდვილად იბრწყინებს სამყარო.

მეფე სოლომონი და იბერიის დედოფალი ბორენა

იბერიის დედოფლის ბორენას თვალისმომჭრელ სილამაზეს შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი, როგორც იტყვიან, მთელს დუნიაზე. ყველამ იცოდა და ყველას პირზე ეკერა ბორენა და მისი საკვირველი მშვენიერება.

ვინ არ მოიხიბლა მისით და ვინ აღარ ეტრფოდა, მაგრამ მისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებიდან ბორენამ მზერა მხოლოდ ორ რაინდზე შეაჩერა; ერთი მართლაც რჩეული ვაჟკაცი, ზეზვა ბიჭი იყო და მეორე ვამეყი, - დიდებულად წოდებული.

უცნაური ტრფიალება დასჩემდა დედოფალს... ადამიანებისგან მართლაც გამორჩეული,... ერთ დღეს რომ ზეზვაზე ფიქრობდა და მისი სიყვარულის ცეცხლის ალში იწოდა, მეორე დღეს თუკი ვამეყს თვალს მოკრავდა, გული ისე აუჩქროლდებოდა, ლამის საგულედან ამოვარდნოდა... გრძნობდა რომ სიცოცხლე არც მის გარეშე შეეძლო...

–,,გულის ორად გაყოფა როგორ შეიძლება, გული მხოლოდ ერთს უნდა ეკუთვნოდეს, მე კი რა მჭირს, ეს რა დღეში ვარ, ორ ცეცხლს შუა ვიწვი, აღარ ვიცი რა ვქნა“ - სწუხდა დედოფალი და თავის ტანჯვას მხოლოდ მთვარიან ღამეს თუ ანდობდა... ასე გარბოდნენ დღეები.

ერთ მშვენიერ დღეს დედოფლის სასახლის არე-მარეზე უმშვენიერესი თეთრი ფერის, წითლად დაწინწკლული მუსტანგი გამოჩნდა, მაგრამ ძალიან შმაგი... დედოფალმა მხოლოდ ერთხელ თვალის შევლება მოასწრო და ძალზე მოეწონა. ვინ არ სცადა მისი დაჭერა, მაგრამ ამაოდ... ყველა რჩეულ ვაჟკაცს უნდოდა მუსტანგი საჩუქრად მიერთმია სათაყვანებელი დედოფლისათვის, მაგრამ როგორც იტყვიან ,,ამაოდ დაშვრნენ“. მისი შეპყრობა მხოლოდ ზეზვა ბიჭმა მოახერხა.

ულამაზესი მუსტანგი საჩუქრად რა თქმა უნდა ბორენას მიართვა...

– ყველაზე უმშვენიერეს ქალბატონს დედამიწის ზურგზე ყველაზე საუკეთესო მუსტანგი! – შესძახა ზეზვა ბიჭმა და ბორენა დედოფლის წინაშე თავი რიდიდ დახარა...

ბორენა ძალიან გახარებული იყო...

–,,რა კარგია, ზეზვავ, რომ შენს ვაჟკაცობაში არ შევცდი“... ფიქრობდა იგი...

ვამეყი კი სად იყო ამ დროს? სამწუხაროდ, ვამეყის მიზეზი მისი მოუცლელობა იყო...

წარმოშობით დიდგვაროვანი, სასახლის დიდებული ვამეყი ბორენა დედოფლის სასახლის დაცვის უფროსი იყო და ამ მოვალეობას იგი შესაშური გულმოდგინებით ასრულებდა... როგორც იტყვიან, დედოფალს ცივ ნიავს არ აკარებდა და უფრო მეტიც, სასახლის ციხე-გალავანს ჩიტიც კი ვერ გადაუფრენდა თავზე, შიგ შეღწევაზე ხომ ზედმეტი იყო საუბარი...

– ,,ნუ მიწყენთ დედოფალო - უთხრა ერთხელ დედოფალს - მე სახლიდან გასვლა და თქვენი დატოვება ერთი წამითაც კი არ შემიძლია... მე არ ვიცი რა შეიძლება მოხდეს ერთ წამში... ზოგჯერ წამი შესაძლოა მარადიულ უსასრულობად იქცეს, ვიცი ისიც, წამი საკმაო დროა თუნდაც იმისთვის, უბედურება დატრიალდეს, როცა ბედნიერების მოპოვებას შესაძლოა ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლე არც კი ეყოს.

ჩემი ბედნიერება თქვენი სიცოცხლეა, თქვენი მომავალი და მას რომ რაიმე ცუდი შეემთხვეს, მე მაშინვე დავთმობ სიცოცხლეს... სამყაროში ჩემთვის ერთადერთი მზეა და ის მზე მხოლოდ თქვენა ხართ ბორენავ... მე მხოლოდ თქვენი თვალთა სხივები მათბობენ და მაცოცხლებენ...

ჩემთვის არ იყო რთული მუსტანგის სეპყრობა და თქვენი გულის გახარება, მაგრამ მე არ შემიძლია გავიდე სასახლიდან, რადგან ჩემი გული მუდამ თქვენთან რჩება...

შემინდეთ, დედოფალო... და ამ სიტყვების შემდეგ მან დედოფალს თაყვანი სცა, როგორც მზეს... სიყვარულით უყვარდა იგი ვამეყს და მართლაც ბედნიერი იყო...

აბა, რომელ ქალს არ ესიამოვნებოდა ასეთი სიტყვები, მითუმეტეს როცა მის ხსენებაზე გული გიჩერდება.

გავიდა დრო... კაცმა რომ თქვას, არც ისე ბევრი... რამდენიმე თვეში იბერიაში ცეცხლისმფრქვეველი ხარი შემოიჭრა... არავინ იცოდა ეს საიდან და როგორ, მაგრამ ის კი ყველამ გაიგო და დაინახა, თუ როგორი მძვინვარე და დაუნდობელი იყო ცეცხლისმფრქვევი ხარი... ყველაფერს ედებოდა და ანადგურებდა, რამდენი ნათესები, პირუტყვები, ადამიანები და საცხოვრისები მოსპოხარმა…

მასთან შერკინება ურთულესზე ურთულესი იყო...

ვამეყ დიდებულმა სასახლის დაცვა გააძლიერა... თუკი ხარი სასახლემდე მოაღწევდა, ვამეყი მზად იყო სიცოცხლე შეეწირა სათაყვანებელი დედოფლისთვის...

ზეზვა ბიჭმა გადაწყვიტა ხარს შებრძოლებოდა ... გაიგო იბერიის მთებსი ბრძენი იაკობი ცხოვრობსო და სწორედ მას ეწვია, იქნება ბრძენმა იცოდეს თუ როგორ შეიძლება ხარის დამორჩილებაო...

ბრძენმა იაკობმა ორი სახის წამალი აჩვენა,... ,,ერთით შეგიძლია ხარი ადგილზევე მოკლა, თუკი ამ ბალახის ფხვნილში ამოვლებულ ისარს ესვრი, ხოლო მეორე ბალახს უფრო უჩვეულო თვისებს აქვს, თუ ისრის წვერზე წაუსვამ, ხარი არ მოკვდება, მაგრამ თვინიერი გახდება და შეგიძლია მორჩილებაში გყავდეს, რასაც კი ეტყვი და უბრძანებ, იმწამსვე დაგემორჩილება.

აბა, აირჩიე რომელი მათგანი გსურს? - ინტერესით დაეკითხა ბრძენი და გამჭოლი მზერა სტყორცნა ჭაბუკს.

– დიდო იაკობ, მე მეორეს ვირჩევ. მირჩევნია ბოროტება დავრთგუნო და სიკეთის სამსახურში ჩავაყენო, ვინემ გავანადგურო და სიცოცხლის უფლება წავართვა! - მადლობა მოახსენა ზეზვამ და ბრძენს მეორე ბალახის ფხვნილი გამოართვა...

– ყოჩაღ, ჩემო ზეზვა ბიჭო, კარგად გაუზრდიხარ მშობლებს, შენნაირი ვაჟკაცები თუ აცოცხლებენ სამყაროს, შენს იბერიას და მას მიანიჭებენ მარადიულ არსებობას.

დამილოცნიხარ, შვილო, არ ვიცი რამდენად ბედნიერი იქნები პირად ცხოვრებაში, სიყვარულში, ქორწინებაში, ეს ღმერთის საიდუმლოა, მაგრამ ის კი ვიცი , რომ შენნაირები ღმერთის სიცოცხლის წიგნში სამუდამოდ ეწერებიან...

დალოცა ბრძენმა იაკობმა ზეზვა ბიჭი და გამოისტუმრა...

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მან იწინასწარმეტყველა... ბრძოლის ველზე გაჭრილმა ზეზვამ საოცრება მოახდინა... როგორც კი ესროლა სასწაულმოქმედ ბალახში ამოვლებული ისარი, ხარი უმალვე დაშოშმინდა, ცეცხლი ჩაუქრა, და მორჩილად გაყვა უკან ზეზვას... ხარი უკვე ყველა მისბრძანებას უსიტყვოდ და ჩინებულად ასრულებდა ...

დამორჩილებული ხარი ზეზვამ საჩუქრად რა თქმა უნდა ბორენა დედოფალს მიართვა ..., რომელიც უზომოდ იყო აღტაცებული ასეთი უჩვეულო საჩუქრით... თუმცა დედოფალმა ხარი თავისთან აღარ დაიტოვა.

– ,,თქვენთან იყოს, ზეზვავ, გთხოვთ ამიერიდან იგი იბერიელი ხალხის სამსახურში იყოს,განსაკუთრებით კი ღარიბი ოჯახებისა და ქვრივ-ობლების დასახმარებლად“ - უთხრა დედოფალმა. სიხარულისაგან ცას ეწია ზეზვა ბიჭი. ხუმრობა ხომ არ იყო დედოფლის გულის მოგება და მისი კეთილგანწყობის მოპოვება.

ამ ყოველივეს თვალ-ყურს ადევნებდა იქვე მყოფი ვამეყიც. როცა მისი და ბორენა დედოფლის თვალები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ორთავენი ენით აღუწერელმა გრძნობამ მოიცვა...

– ,,ურთულესია ცეცხლისმფრქვეველი ხარის დამორჩილება, მაგრამ მერწმუნეთ, კიდევ უფრო ურთულესია უმშვენიერესი ქალბატონის გულის დამორჩილება, რომლის თვალებიც ცეცხლისმფრქვეველ ხარის თვალებზე გაცილებით მეტ ცეცხლს აფრქვევენ და წვავენ შეყვარებული მამაკაცის გულს“- უთხრა ბორენა დედოფალს და უცებ შეტრიალდა და წავიდა...

დედოფალს გული ლამის უბიდან ამოუვარდა... იგრძნო, რომ ამ სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო მეტი ცეცხლი შემოენთო, რომელიც უფრო და უფრო გიზგიზებდა და ძლიერდებოდა...

ქვეყანაში თითქოს ყველაფერი ჩვეულ რიტმში ჩადგა, მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი ისევ აირია და დაირია...

ამჯერად იბერიის ერთ-ერთ ულამაზეს ცისფერ ტბას უცნაური ურჩხული დაეპატრონა... გარეგნულად დრაკონს ჰგავდა, მაგრამ ერთდროულად კიდეც დაფრინავდა და ჩინებული მოცურავეც იყო... ტბის გარშემო რაც მოსახლეობა იყო დრაკონმა სუყველა გადასანსლა... არემარეზე არავის აჭაჭანებდა... შემდეგ კი ახლო მდებარე სოფლებსაც დაერია...

როგორც კი დრაკონის შესახებ გაიგო, ზეზვა ბიჭს ბევრი აღარ უფიქრია, თავის მშვილდს ხელი მოავლო და მასთან შესაბრძოლებლად წავიდა... კარგად იცოდა ბოროტს თუ როგორ უნდა შებრძოლებოდა, და ამასთან, ჭკუაც როგორ ესწავლებინა... ზეზვა ბიჭს თვალი მოჰკრა თუ არა, დრაკონი ფრთების ტყლაშუნით გაეშურა ზეზვასაკენ, რათა გადაესანსლა, მაგრამ ისარი შიგ ხახაში გაერჭო...

ზეზვამ დრაკონი შეიპყრო, ფრთები შეაჭრა და თოკშემობმული წაიყვანა ბორენა დედოფლის სასახლეში...გზად უამრავი ადამიანი ათვალიერებდა ამ ბოროტ არსებას. დრაკონი უზარმაზარ გალიაში მოათავსეს და ამიერიდან ყველას შეეძლო მისი ნახვა.

ბორენა დედოფალი აღრფთოვანებული იყო ზეზვათი... თუმცა მისი გული სანახევროდ მაინც ვამეყს ეკუთვნოდა...

ზეზვამ დედოფალს ხელი სთხოვა...

ბორენა დუმდა... თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვები ბურთივით გაეჩხირა ყელში...

ზეზვა მიხვდა, რომ დედოფალი ყოყმანებდა...

– თქვენო უდიდებულესობავ, იფიქრეთ, მე კი მზად ვარ საუკუნოდ გელოდოთ... – უთხრა დედოფალს, დაემხო და მის საუცხოო კაბის კალთას ეამბორა...

დიდხანს ფიქრობდა ბორენა ზეზვაზე და მის მართლა საოცარ თავგანწირვებზე, მაგრამ გული სასწორივით იხრებოდა ხან იქეთ, ხან კიდევ აქეთ...

ბოლოსდაბოლოს დარწმუნდა, რომ ვამეყზე უარის თქმა არ შეეძლო...

როცა ვამეყი იხმო, დედოფალი სასახლეში ბოლთას სცემდა... ისე აწყდებოდა სასახლის კედლებს, როგორც გალიაში დამწყვდეული ჩიტი...

– ,,ვამეყ, თქვენი გრძნობების შესახებ მსურს გავიგო! - უთხრა დედოფალმა.

– რაინდები გრძნობებს არ იცვლიან დედოფალო.

ჩემი გული თქვენ ერთხელ უკვე დაატუსაღედ და იგი დიდი ხანია თქვენ გეკუთვნით... მისი გასაღები თქვენს ხელთაა, მაგრამ ვეჭვობ გახსნა სეძლოთ...

ჩემი გული თქვენ გეკუთვნით, ბორენავ - უთხრა ვამეყმა და დედოფალს საოცარი სითბოთი ჩახედა თვალებში...

ამ მზერასთან გამკლავება ბორენას უკვე ნამდვილად აღარ შეეძლო...

– კარგით, ახლა დამტოვეთ, ჩემს თავთან მინდა მარტო ვიყო - მერე დაგიბარებ, – უთხრა ბორენამ და სასახლის სარკეებიან დარბაზში საკუთარ გამოსახულებასთან ერთად მარტო დატოვა ვამეყი...

- ,,ნეტავ, მართლა ვუყვარვარ კი? - ნაღვლიანად დაეკითხა ვამეყი საკუთარ თავს - ოჰ, ეს ქალები, ქალები... ქალი, თუნდაც დედოფალი, სადღაც მაინც ქალია, ვერაფერს გაუგებ, მე კი სიცოცხლეს დავთმობ ბორენავ შენი გულისთვის... მინდა ზეზვასავით მეც გავიდე ბრძოლის ველზე, მაგრამ როგორ... როგორ ბორენავ - ეგ შენი თვალები მე ყველგან მეღობება და მოსვენებას მიკარგავს... ვეღარ დაიძინა ღამე მშვიდად ვამეყმა... ანდა რაღა დააძინებდა...

ის, ის იყო სასახლეში თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, რომ ცოტახანში ნსახურთუხუცესი ეახლა ვამეყს და უთხრა - მეგობრები გეწვივნენო. ვამეყის მოღუშული სახიდან მზემ გამოანათა... ძალიან გაუხარდა მეგობრების სტუმრობა.

– შემოუშვით! - მიმართა მსახურთუხუცესს. ცოტა ხანში ვამეყის მეგობრების შემოსვლამ სასახლის კედლები უცებ აახმაურა... საოცრად გაუხარდათ მეგობრებს ერთმანეთის ნახვა... იყო სჯა ბაასი, ხმაურობა სიცილი... შუადღით კი შეხვედრამ საზეიმო სუფრაზე გადაინაცვლა... თუკი რამ საუცხოო და ნუგბარი იყო, სწორედ რომ სამეგობრო სუფრას ამშვენებდა. ქეიფი გაჩაღდა... სიმღერა და ცეკვა-თამაში ცვლიდა ერთმანეთშ...

– ეხ, ვამეყ, ვამეყ ...ჩვენ აქ ვილხენთ, ლამის მთელი სამყარო თავდაყირა დავაყენეთ, შენც როგორი ბედნიერ ხარ, მაგრამ სამყაროში, იქ სადაც ვიღაც ბედნიერია, გიფიქრია თუარა რომ ვიღაც კვდება, აი, თუნდაც ახლა, ამ წუთში? - სიცილით უთხრა ერთ-ერთმა მეგობარმა ვამეყს.

– რა სისულელეს ამბობ, როცა მეგობრები ერთმანეთთან ყოფნით ტკბებიან, იმ დროს ვინ ფიქრობს სიკვდილზე? რაებს ჩმახავ? - უთხრა მეორე მეგობარმა. - მე ვჩმახავ? ჰა, ჰა, ჰა, - კაცი ვარო ვამეყმა უნდა თქვას - ახარხარდა პირველი მათგანი, - ჩვენ აქ ვქეიფობთ და ვამეყის სიყვარულით, აქვე ქალაქგარეთ კვდება ვამეყზე უსაზღვროდ შეყვარებული კუზიანი მინევრა, ეგ უბედური, კუზი მაინც არ ქონოდა, იქნებ ვამეყს შესცოდებოდა და ოდნავ მაინც ეთანაგრძო მისთვის! - არ ჩერდებოდა პირველი მათგანი.ვამეყმა უკვე ვეღარ მოითმინა და გადამთვრალ მეგობარს ქეჩოსი ხელი წაავლო! - შენ თუ იცი, რა სისულელეებს როშავ, ახლავე წესიერად მითხარი რაშია საქმე! - გაუბრაზდა მეგობარს.

– მე ვროშავ სისულელეებს? ქალი მოკალი, სულს ღაფავს, ლოგინადაა ჩავარდნილი, ისეა დასუსტებული და კიდევ მე ვარ ამაში დამნაშავე? უბრალოდ მეცინება, იმიტომ რომ მახინჯია ეგ უბედური. რა დააშავე ისე ვამეყ, მართლაც დიდებული კაცი ხარ და თუკი ქალი ასე შეგიყვარებდა, რომ შენს გამო სასიკვდილო სარეცელს მიეჯაჭვებოდა, ნორმალურს მაინც შეყვარებოდი! შეიძლება, ახლა მკვდარიც კი იყოს! - არ გქონია, ძამია ბედი! - უთხრა მეგობარმა და კვლავ გადაიხარხარა. დანარჩენებიც აყვნენ.

ვამეყი სიბრაზისგან გაწითლდა, ძალიან გაამწარა მეგობრების ლაზღანდარობამ. საშინლად დააღონა უცნობი, მასზე შეყვარებული ქალის ბედმა...

ნერვები მოთოკა, თავი ხელში აიყვანა და მეგობრებს ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა...

შეიტყო ქალის მისამართი... მეგობრებისთვის არაფერი უთქვამს და საერთოდ არავისთვის არ უთქვამს არაფერი. - მოახტა თავის ბედაურს და ჭენებ-ჭენებით გააქროლა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ვამეყ დიდებულმა დატოვა სასახლე, სათაყვანებელი დედოფალი და არავის არაფერი აცნობა თავისი გამგზავრების შესახებ...

კუზიანი მინევრა თურმე წარჩინებული ოჯახიდან იყო. თუმცა ვამეყისათვის ამ ყველაფერს მნიშვნელობა არც კი ჰქონდა...

როცა სასახლის კარებზე დარეკა და უფროსი მსახური გამოეგება, ვამეყმა მისი ვინაობა უთხრა სა სთხოვა მინევრას მონახულებაში დახმარებოდა... როცა ავადმყოფის ოთახში შევიდა, ვამეყმა მართლაც იხილა მძიმე ავადმყოფი მინერვა... მას სახეზე სიხარულისგან მზის სხივი დასთამაშებდა...

– ჩემო ძვირფასო, ჩემო ყველაფერო, ჩემო სიცოცხლევ - ვამეყ, ასეთი წუთებისათვის ღირდა ჩემი სიკვდილი, ეს რაღაც საოცრება მგონია, ნუთუ შენ ულამაზესი ვამეყი, დიდებული, მართლა მოხვედი ჩემნაირ ქალთან? - და მინერვა - ატირდა. ვამეყი მივიდა და ცრემლიანი თვალები სულ კოცნით ამოუსრო...

– მაპატიე, მინერვა! არ ვიცოდი ასე ძალიან თუ გიყვარდი, შემთხვევით მითხრეს მეგობრებმა, მივატოვე და გამოვიქეცი, მიხარია, რომ ცოცხალს მოგისწარი! მინდა იცოცხლო მინერვა, შენ არ უნდა მოკვდე, შენი სიკვდილი არ შეიძლება.

ქალი, რომელიც კვდება სიყვარულისთვის, სიკვდილს არ იმსახურებს. სწორედ ასეთი ადამიანები ალამაზებენ და ქმნიან სამყაროს...

დამიჯერე, დაუჯერებელი მოხდება! იცოცხლე მინერვა, თავს ძალა დააატანე, წამოდექი, მოდი სასწრაფოდ დავთქვათ ქორწილის დღე, შენ როდის შეძლებ ძვირფასო წამოდგომას? - უთხრა ალერსით და ქალი გულში ჩაიკრა.

– შევძლებ, კი?! არ ვიცი, ჩემო ძვირფასო, მე ხომ ამ ბედნიერებას არც კი ველოდი, არ მჯერა, თავი კვლავ სიზმარში მგონია. - მისუსტებული ხმით კვნესოდა ქალი.

– არსად არ წავალ, სანამ ქორწილის დღეს არ დავნიშნავთ, – მტკიცედ მიუგო ვამეყმა და ოჯახის წევრები იხმო...

გადაწყვიტა, ქორწილი სამი კვირის შემდეგ გაიმართებოდა. მინერვა კი ამასობაში ნელ-ნელა მოიკეთებდა...

სიხარულმა ფრთები შეასხა მძიმე ავადმყოფს. წყალიც დალია და ცოტაოდენი საჭმელიც მიიღო ვამეყის თხოვნით...

როგორც გაზაფხული იკრებს ძალას, ზამთართან ბრძოლაში ასე ნელ-ნელა იკრეფდა მინერვაც თავის სასიცოცხლო ძალებს... და ნელ-ნელა ითვლიდა თუ როდის მოვიდოდა საოცნებო სამი კვირა...

ულამაზესი ცისფერი კაბა შეუკერეს სახელგანთქმულმა მკერავებმა, სწორედ ისეთი, მინერვას სახეს რომ მოუხდებოდა და კუზს დამალავდა.

თურმე, ყველაზე შეუძლებელი ოცნებაც კი შეიძლებაასრულდეს. ყოველ შემთხვევაში მინერვას ცხოვრებაში ეს ნამდვილად ასე მოხდა.

ქვეყანაში დადგა ნანატრი მესამე კვირაც. უცებ გავარდა ვამეყის ნიშნობის და ქორწილის დღის ამბავი. ყველაზე მეტად მეგობრები იყვნენ განცვიფრებულები.

– როგორ, დიდებული ვამეყი და კუზიანი ქალი? მართლაც საოცრებააო, - იძახდნენ...

მაგრამ ყველაზე მეტად ამ მართლაც უჩვეულო ფაქტით ბორენა დედოფალი იყო დამწუხრებული.

როცა უთხრეს ვამეყი ცოლს ირთავს და თანაც ვისზე ქორწინდებაო, - დედოფალი გაშრა.

– შეუძლებელიაო! - ბოლოს ეს ძლივს წარმოთქვა, მაგრან როცა დარწმუნდა, თავის ოთახში ჩაიკეტა იყო მეხდაცემულივით... დედოფალს ტირილი უნდოდა, მაგრამ ცრემლები სულ ერთიანად გაშრობოდა.

– ,,ნუთუ, ესაა ვამეყ, შენი სიყვარული", - ფიქრობდა იგი და ცდილობდა ვამეყისთვის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ მის მზერას ვერსად აწყდებოდა...

ვამეყი გაურბოდა და მზერასაც არიდებდა. - მხოლოდ ღმერთმა იცოდა რა ხდებოდა მის გულში...

ქორწილის დღემც არანაკლებ გააოცა დამსწრე საზოგადოება... როგორც კი ტაძრიდან გამოვიდნენ, დასუსტებულმა მინერვამ საქორწინო სუფრამდე მიღწევა ვერ შეძლო... იქვე ჩაიკეცა და სული განუტევა... ძალიან დამწუხრდა ვამეყი, ყველაფერი უცებ დასრულდა...

გაოგნებულები შესცქეროდნენ ერთმანეთს სიძე და საზოგადოება.

– მეგობრებო, მინდა სულ რაღაც ერთი წუთით მომისმინოთ. ეს ჩემი სათქმელი ალბათ უფრო აღსარება იქნება, მაგრამ გთხივთ ჩემს გულწრფელობაში ნურავინ ეჭვს ნუ შეიტანთ...

ვიცი, ყველას გაგიკვირდათ ჩემი მოულოდნელი ქორწინება მინერვასთან... თანაც ბევრმა თვენგანმა ძალიან ძალიან კარგად იცით რომ ჩემი გული სამუდამოდ ეკუთვნის იბერიის ულამაზეს დედოფალს, ბორენას! და მაინც ბევრს გაუკვირდა თუ რატომ გადავდგი მე ასეთი ნაბიჯი. რატომ დავუკავშირე ჩემი ბედი ქალს, რომელსაც საერთოდ არც კი ვიცნობდი და ცხადია, არც მიყვარდა...

მე სიყვარულზე უარი არასოდეს მითქვამს. საკუთარ თავზე მეტად მიყვარს ბორენა და ამ სიყვარულს იმ ქვეყნადაც თან წავიღებ, მაგრამ ცოლად მოყვანა იმიტომ გადავწყვიტე მინერვასი, რომ მან ტანჯვით დაამტკიცა ჩემდამი საოცარი უანგარო სიყვარული.

განა, შემეძლო მეტანჯა ქალი, რომელიც ჩემი სიყვარულის გამო კვდებოდა?

მე გეკითხებით თქვენ, პატივცემულო საზოგადოებავ! - მაქვს კი უფლება ვტანჯო ქალი, ადამიანი, არსება, რომელიც ჩემს გამო კვდება?

მე ვფიქრობ, რომ სწორი იყო ჩემი გადასყვეტილება როცა მას თანაგრძნობის ხელი გავუწოდე, მიხარია, რომ უკანასკნელ წუთებში მაინც შევძელი მისი გაბედნიერება.

იბერიაში ბევრს გაგიკვირდათ ზეზვა ბიჭის გმირობა.

მართლაც საოცრებაა დაიმორჩილო მხეცები, მაგრამ დამიჯერეთ, მერწმუნეთ მეგობრებო, სათნოება და სათნოებით აღსრულებული საქმეები, გაცილებით რთულია, ძნელია, გაცილებით მეტი სიმამაცეა ვინემ ბოროტების დამარცხება...

მე მინდა საუკუნო მადლობა ვუთხრა მინერვას, ასეთი ლამაზი, დაუვიწყარი სიყვარულისთვის.

მე მას უზომოდ პატივს ვცემ, რადგან იგი ჩემს სიყვარულს შეეწირა...

მაპატიე, ძვირფასო, ჩემო პატარა და დიდო მსხვერპლო! - ეს სიტყვები წარმოსთქვა და ვამეყი დაიჩოქა მინერვას ცხედართან და უკანასკნელად ეამბორა...

სასახლეში დაბრუნებულ ვამეყს უცაბედად კარებთან ბორენა დედოფალი შეეჩეხა, მაგრამ ვამეყს არაფერი უთქვამს, დინჯი ნაბიჯებით გაემართა სავეზირო ოთახში და არც ბორენას უკითხავ რამე...

ველარ ერეოდა გულისთქმებს ბორენა... სასახლეში თითქოს ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ბორენას გული ვერა და ვერ მშვიდდებოდა.

ასე გრძელდებოდა საკმაო ხანს და ერთ მშვენიერ დღეს, იბერიის დედოფალმა გადაწყვიტა სტუმრად წვეოდა ისრაელის სახელგანთქმულ მეფეს, სოლომონს და მისთვის გაეზიარებინა თავისი გულის ნადები.

ოქროს ეტლი იხმო იბერიის დედოფალმა, რომელსაც საუცხოო ჯიშის 6 ბედაური ება და მცირე მხლებლების თანხლებით გაუდგა გზას ლეგენდარული მეფესთან შესახვედრად...

მეფე სოლომონი სასახლის კარიბჭესთან შეეგება იბერიის დედოფალს და ბრწყინვალე ნადიმი გაუმართა...

როცა განმარტოებით, ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ ბორენამ თავისი გულისტკივილი აუწყა მეფეს... არც იმის კითხვა დავიწყებია, ყოველივე იმის შემდეგ რაც მოხდა, იყო კი ვამეყი ღირსი მისი სიყვარულისა და ღირდა კი საერთოდ მასზე გათხოვილიყო...

მეფე სოლომონი პასუხს აჭიანურებდა, სამაგიეროდ გულწრფელი ქება ნამდვილად არ დაიშურა ძვირფასი სტუმრისათვის...

– ,,შენს სილამაზეში იბერიელი რასის მთელი მშვენიერებაა ჩაქსოვილი, თვით ცისკრის ვარსკვლავი უმშვენიერესი ინანაქალადაც რომ იქცეს, შენთან არარაობა იქნებოდა ბორენავ!

– უღრმესი მადლობა მეფეო, თუმცა მე ახლა უფრო იმის გაგება მწადია, მაინც რა არის ჭეშმარიტი სიყვარული?

– ეს ურთულესი კითხვაა დედოფალო, ამაზე ვერცერთი მოკვდავი სრულყოფილად ვერ გიპასუხებთ, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული ღვთაების თვისებაა და ეს რომ სრულყოფილად განმარტო, მაშინ თავად უნდა იყო ღმერთი! - უპასუხა სოლომონმა. –

– მაგრამ თავად ვამეყის სიყვარული ჩემს მიმართ?! - ორაზრივნად იკითხა ბორენამ.

– ძალზე დასაფასებელია! - მოკლედ მოუჭრა მეფემ.

– ჰო, მაგრამ დამთმო და ჩემს თავს კუზიანი ქალი ამჯობინა - ცრემლები მოადგა იბერიის დედოფალს.

– თქვენ იმდენად გონიერი ხართ, შეუძლებელია ვერ ხვდებოდეთ თუ რატომ გააკეთა ეს ვამეყმა.

მისი პასუხისმგებლობა დაჩაგრული მოყვარის წინაშე უდიდეს სიყვარულს შეიცავს. მან მთელი გულით შეიბრალა მინერვა და შეიყვარა არა როგორც ქალი, არამედ როგორც მოყვასი, ხოლო შენ უყვარხარ მთელი მისი არსებით, მისი ვაჟკაცური ბუნებით, უყვარხარ როგორც ღირსეული და ულამაზესი ქალი...

ვამეყის საქციელი, მისი თავდადება მინერვას წინაშე არის მოყვასის თავდადება მოყვასისადმი, რაც ღმერთამდეა მისული და ამაღლებული - ეს სულ სხვა გრძნობაა, შენ კი მას სულ სხვაგვარი ცეცხლის ტრფიალებით უყვარხარ.

მან იძულებით თქვა უარი შენზე, შენთან ქორწინებაზე, რათა ამით მომაკვდავის სიცოცხლე ეხსნა, თუმცა მისი გული კი სამუდამოდ შენთან დარჩა, შენი სასახლის კედლებში, ეს კი ნამდვილად უნდა გეგრძნოთ ბრძენო ბორენავ!!!

მოდი, ჩაიხედე ჩემს სასწაულთმოქმედ დროის ჭოგრიტში და შენი თვალებით დაინახე, რაც ხდება შენს საძინებელ ბუდუარში - ეს წარმოთქვა და მეფემ დედოფალს ჭოგრიტი გაუწოდა, რომელშიაც ბორენამ ჩახედვისთანავე დაინახა ვამეყის მკერდიდან ამოგლეჯილი და ოქროს სინზე დადებული მარად მფეთქავი გასისხლიანებული გული,... ხოლო თავად ვამეყი საკუთარ თავთან სულ მარტოდ დარჩენილი და მწუხარე.

– სიყვარული აცოცხლებს დედამიწას და მთელ სამყაროს - განაგრძო საუბარი მეფე სოლომონმა - სიყვარული აძლევს მარადიულ არსებობას თავად უკვდავ ღმერთს.

აბა, ჩაიკლას ღმერთმა მის სულში მარსდ მოგიზგიზე უკვდავი ცეცხლი, რომელსაც სიყვარული ქვია და ნახავ რაც მოხდება... მაშინ სამყაროს თვით ღმერთიც არ ეყოლება და წამში გაქრება ყველა და ყველაფერი.

ღმერთის უკვდავების საიდუმლო, სიყვარულია.

ესაა უკვდავი, მოაზროვნე ცეცხლი რომელსაც ღმერთი ქვია და იგი ქმნის და აცოცხლებს ყოველივეს...

სწორედ მისი ნაწილია ის გრძნობა, რომლითაც შენ ასე უყვარხარ ვამეყს!...

– ზეზვას განა ვამეყზე ნაკლებად ვუყვარვარ, თავი საშინელ ხიფათში ჩაიგდო, საოცარი გმირობები აქვს ჩადენილი ჩემი გულისთვის! - წამოიძახა ბორენამ.

– ზეზვა ნამდვილად არის გმირი და ისიც ღირსია შენი სიყვარულისა, მაგრამ გაცილებით ადვილია ძალის გამოყენებით დაამარცხო მტერი, ვინემ გადასარჩენად შენი სიცოცხლე მიუძღვნა იმ ადამიანს, რომელიც არ გიყვარს, წესიერადაც კი არ იცნობ და დააფასო მისი შენდამი სიყვარული, ეს ძალზე იშვიათად ძალუძს ვინმეს მოკვდავთაგან.

ვამეყის საქციელი ბებრად დიდი გმირობაა, ვინემ ზეზვასი.

ადვილი როდია იყო სათნო და კეთილშობილი! ზოგი ძალის გამოყენებით ხდება გმირი, ბევრად უფრო რთულია გახდე გმირი - გულით, სულით და გონებით.

სათნოებით აღსრულებული გმირობა, ძალის გამოყენებით ჩადენილ გმირობაზე დიდია.

მართალი იყო ვამეყი, როცა იქ შეკრებილ საზოგადოებას მიმართა, მე ვიტყოდი მართლაც საოცარი სიტყვებით: ,,უძნელესი საქმეა დაამარცხო და დაიმორჩილო მხეცი, მაგრამ მასზე ბევრად უფრო რთულია იმ სათნოების აღსრულება - როცა არ მიყვარს ადამიანი, რომელსაც შენ უსაზღვროდ უყვარხარ, კვდება შენი გულისთვის და მას ხელი გაუწოდო, დარჩე მასთან მის სიყვარულში, როცა ამ დროს შენი გული სულ სხვა ადამიანის ტრფიალებით იწვის - ეს უდიდესი გმირობაა მართლაც სამყაროში... უარყო შენი თავი, შენი ყოველივე და მას მიუძღვნა შენი საკუთარი მე“.

– ეს მართლაც გმირობათა შორის ყველაზე დიდი გმირობაა! - მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა მეფემ და იბერიის დედოფალს მრავლიმთქმელი მზერით ჩახედა თვალებში...

ბორენამ ვერ გაუძლო მეფის მზერას და თავი კდემით დახარა დაბლა.

– აბა, ეს ვარდი, სისხლივით წითელი გამომართვი ბორენავ - უთხრა მეფემ და მართლაც საუცხოო მეწამული ფერის ვარდი გაუწოდა ,

– დიდი სიამოვნებით მეფეო, მაგრამ ვგონებ გამორთმევა გამიჭირდება, იმდენი ეკალი აქვს, ხელს უბრალოდ ვერაფრით შეახებ - გამოუტყდა ბორენა.

– მართალი ხართ, - ღიმილით დაეთანხმა მეფე - მაგრამ უნდა იცოდეთ, როდესაც ვარდს გჩუქნიან, მას ეკლებიც თან ახლავს!

სწორედ ესაა სიყვარული!

არ არსებობს ვარდი ეკლების გარეშე და არც სათნო სიყვარულია ტკივილების გარეშე! - აუხსნა მეფემ.

– მინდა მჯეროდეს ვამეყის სიყვარული, მაგრამ რა ვქნა, შეყვარებული გული ხშირად ეჭვიანია - თქვა ბორენამ.

– უნდა დაიჯერო, როცა სპეტაკ პიროვნებასთან გაქვს საქმე, რადგან სიყვარულს არაფერი ისე არ ანადგურებს, როგორც ეჭვები და სიამაყე.

დააფასე, თორემ მერე სანთლით საძებნელი შეიძლება გაგიხდეს.

სიყვარულის მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, - აუხსნა მეფემ.

– რატომ? - გაჯიუტდა იბერიის დედოფალი.

რამდენჯერაც მინდა იმდეჯერ შევალ, იმდენჯერ ვიბანავებ - თითქოს ბავშვივით გაიბუტა ბორენა.

– შეხვალ, - დაეთანხმა მეფე, - მაგრამ ის წყალი უკვე ჩავლილი იქნება, ტრფობის ვარდსაც თან გაიყოლებს და ვეღარასოდეს მიეწევი...

გაიგეთ იბერიის დედოფალო, რომ ვამეყს შენს სიყვარულზე უარი არ უთქვამს, მან მხოლოდ ცოლად შეირთო მინერვა, ეს კი ერთიდაიგივე არ არის. მან კეთილშობილება აჩუქა მინერვას, სისხლიანი გული კი შენ დაგიტოვა!

აბა შეადარე შენი სიყვარული მინერვას სიყვარულს... რომელ თქვენთაგანს უფრო უყვარს თქვენს შორის ვამეყი?

მინერვა სასიკვდილოდ დასნეულდა სიყვარულით, შენ კი მხოლოდ სევდას დაატარებ, მერე რა? ნამდვილ სიყვარულს სჩვევია სევდა...

როგორ ფიქრობ, შენ რომ მინერვასავით სასიკვდილოდ დასნეულებულიყავი, მაშინ რომელ თქვენთაგანს აირჩევდა ვამეყი?!

რა თქმა უნდა ყველაფერს გააკეთებდა იგი შენს გადასარჩენად. - მაგრამ შენ არ დასნეულებულხარ ვამეყის სიტვარულით,... საბრალო მინერვა დასნეულდა და სწორედ ის ითხოვდა გადარჩენას, შენ კი ისიც ვერ მიხვდი, თუ რომელი გიყვარდა - ზეზვა თუ ვამეყი. მხოლოდ ვამეყის ქორწინებით მიხვდი, რომ შენი გრძნობა ზეზვასადმი მხოლოდ სიმპათია იყო და სიყვარულის სიმულაცია. ასერომ, თუ ღრმად დაფიქრდები, ყოველთვის ჩაწვდებით, რომ შექმნილ მძიმე მდგომარეობაში, სადღაც მცირედი დამნაშავენი ისევ მაინც ჩვენ ვართ.

ეცადეთ მოსპოთ თქვენში ამაყი დედოფალი და გონიერების თვალით შეხედოთ ამ ყველაფერს - დაარიგა მეფემ.

– თქვენ როგორ მოიქცეოდით ვამეყის ადგილზე? - მრავალმნიშვნელოვანი მზერა მიაპყრო დედოფალმა მეფეს.

– მის ადგილზე მეც ზუსტად მასე მოვიქცეოდი ... მე, მეფე სოლომონი! - დარწმუნებით უპასუხა მეფემ.

– ჩემს ადგილზე?!

– წავიდოდი მასთან!

დავაფასებდი ჩემდამი მის უსაზღვრო სიყვარულს!

– მინდა, ბედნიერი ვიყო! ვიქნები კი, მასთან ბედნიერი? – წამოსცდა დედოფალს.

– ბედნიერება არის ის, რასაც ვერასდროს მიაღწევ და შორს, ცაზე ლურჯი ვარსკვლავივით კიაფობს. ბედნიერება ეს გზაა, ქმნის პროცესია, ხოლო ის, რასაც ამ ცრუ სოფელში მიაღწევ, ესაა ერთგვარი კმაყოფილება, რომელსაც დრო და ჟამი ნიადაგს გამოაცლის, - მიუგო ღრმად ჩაფიქრებულმა მეფემ.

– ამიტომ არ უნდა შეეჩვიოს ადამიანი ბედნიერებას, - თქვა ბორენამ.

– შეჩვეული ბედნიერება არ არსებობს, ბედნიერებას შეჩვევა არ ჩვევია! - აუხსნა მეფემ.

– როგორ, - გაუკვირდა იბერიის დედოფალს, - ხომ არსებობენ სამყაროში ბსდნიერი ადამიანები?

– არა.

როგორ შეიძლება იყო ბედნიერი, როდესაც სამყაროში სიკვდილი არსებობს, იგი ხომ მტვრად გადააქცევს ჩვენს ყოველივეს, როგორც სხეულს, ისევე მიწიერ დიდებასაც.

როგორ შეიძლება იყო ბედნიერი, წარმავალ სოფელში, სადაც ყოველივე სიკვდილს ემორჩილება და ხრწნილებას ექვემდებარება?! - ორაზროვნად მიუგო მეფემ და დასძინა: - გახსოვდეს სამყაროში ადამიანები ძირითადად სამ ნაწილად იყოფიან: მტაცებლები, მსხვერპლი და მესამე: - ძალზე უმცირესობა, რომელთაც სახელად ბრძენნი ჰქვიათ.

ბრძენი არასოდეს არ იქნება არც მტაცებელი და არც მსხვერპლი, მაგრამ ვერასოდეს იქნება ვერც ბედნიერი, იმიტომ რომ ბრძენია და კარგად გრძნობს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც მას სამყაროს შემოქმედება დააკისრა.

სიბრძნის წყალობით მას შეუძლია თავიდან აიცილოს მოსალოდნელი უბედურებანი. ადამიანთა უმრავლესობიგან განსხვავებით სიამეს სამყაროში როდი ელტვის, - ამიტომაცაა ის ბრძენი - საოცარი პათოსით წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვები მეფე სოლომონმა.

ღრმად დაფიქრდა იბერიის დედოფალი...

– სიყვარული, სიყვარულზე რაღას გვეტყვით მეფეო? - დაუფარავი ინტერესით იკითხა მან, - თქვენი აზრით, რა არის ქალისა და მამაკაცის სიყვარული?!

– არ ვიცი, - მიუგო მან.

– ეს პასუხი როგორ გავიგოთ მეფეო?

– წყალი იმიტომ გსურს, რომ გწყურია, მაგრამ როცა დაეწაფები და სურვილს მოიკლავ, აღარ გინდა.

– თქვენთან, იბერიაში, საინტერესოდ თქვა თქვენმა პოეტმა:

,,რა სიმაღლეა, თუ დაიპყარი,
ფეხს თუ დაადგამ, რა მწვერვალია“!

აქ მეფე სოლომონი შეჩერდა და შემდეგ კვლავ გააგრძელა;

– ეჰ ბორენავ, ბორენავ, და მაინც კაცთაგან არავინ იცის თუ რაა სრულყოფილი სიყვარული.

ისევე როგორც ღვთაების შეცნობა არ შეგვიძლია, ისევე ბოლომდე არ შეგვიძლია ვიცოდეთ რაა სიყვარული!!!

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა...

სამეფო პალატაში თითქოს ჰაერიც კი აღარ კრთებოდა...

სიჩუმე მეფე სოლომონმა დაარღვია...

სამეფო ხალათიდან მზესავით ჩახჩახა წითელი ფერის ქვა ამოიღო და იბერიის დედოფალს გაუწოდა:

– მინდა, ეს უძვირფასესი ქვა ამიერითგან იბერიის დედოფლის გვირგვინს ამშვენებდეს. ეს ლალის ქვაა, იგივე სიყვარულის ქვა.

არ დაგიმალავთ და თქვენ, იბერიელებს ყველაზე მეტად გჭირდებათ სიყვარული, ერთმანეთის სიყვარული და გამტანობა!

დაე, ამ ქვამ თქვენ სიყვარული გაპოვნინოთ“...

იბერიის დედოფალმა დიდი მოწიწებით ჩამოართვა ბრწყინვალე საჩუქარი...

როცა ისრაელის სამეფო სასახლეს სტოვებდა მეფე სოლომონმა ზღრუბლთან შეაჩერა იგი...

– გახსოვდეთ, ბორენავ, სამყაროს ყველაზე ძლიერი მეფე სიკვდილია და მას...

აქ მეფე სოლომონი შეჩერდა.

– და მას? - სულმოუთქმელად შეეკითხა დედოფალი.

– და მას მეუღლედ სიყვარული ჰყავს!

ალბათ, ამიტომ არის სიყვარული სიკვდილზე ძლიერი! - დაასრულა მეფე სოლომონმა თავისი სათქმელი.

ცრემლები წასკდა იბერიის დედოფალს.

რაღაც უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა სხეულში...

უდაბნოდან მოვარდნილი ცხელი ქარი მოურიდებლად ტრიალებდა, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ყველას და ყველაფერს ედებოდა და თავდაუზოგავად ფანტავდა ირგვლივ უდაბნოს ცხელ ქვიშას...

შლეგი ქარი აფრიალებდა დედოფლის წმინდა მანდილს, რომელიც უნებლიედ ეხებოდა მეფე სოლომონის შევერცხლილ თმებს...

დუმდა მეფე...

დუმდა დედოფალიც...

ახლა ირგვლივ ყველაზე მეტად სიჩუმე ხმაურობდა, კიარ ხმაურობდა, უფრო მეტიც, ანგრევდა ყველას და ყველაფერს და ძალიან ჰგავდა იმ აზვირთულ ტალღას, რომელიც მთელი თავგამოდებით ცდილობდა საზღვრების გადმოლახვას ყოველივეს დასაპყრობად... სული სულს გრძნობდა და ხედავდა , და მთელი თავგამოდებით ეხვეოდა მეწამული ფერის ვარდს, ობლად რომ გაშლილიყო უდაბნოს ოაზისში.

იბერიის დედოფალმა იგრძნო, რომ უკანასკნელი ნათქვამის ატანა ნამდვილად აღარ შეეძლო...

უცბად შემოტრიალდა და მეფე სოლომონს მთელი არსებით ჩაეკრა გულში;

– ,,არ ვიცი, როგორ ვთქვა, ახლა სიტყვები ყველაზე უძლურია, მაგრამ ვფიცავ, ცხოვრებაში რომ ვამეყი არ შემხვედროდა, დარწმუნებით ვიცი, ამ ამოუცნობ სამყაროში სწორედ თქვენა ხართ ის საოცარი დიდებული, ვისკენაც ასე

შეუცნობლად მიისწრაფის ჩემი სული და ვისაც ვგონებ , მთელი არსებით შევიყვარებდი...

მაპატიეთ, მეტი აღარ შემიძლია“ - ეს თქვა და სულმოუთმენლად ჩაირბინა სასახლის კიბეები.

ცრემლები ასველებდნენ იბერიის დედოფალს...

მეფე სოლომონი გაუნძრევლად იდგა...

მდუმარების საბურველში გახვეული მეფე ღრმად ჩაფიქრებული გაჰყურებდა სიჩქარისაგან ლამის ცაში აჭრილ ეტლს, სანამ წერტილისოდენა არ გახდა და საბოლოოდ არ გაუჩინარდა.

ბედაურები მიაქროლებდნენ დედოფალს იბერიისაკენ. მეფე სოლომონი კი?!

მხოლოდ ღმერთმა უწყოდა, რას ფიქრობდა ბრძენთაბრძენი მეფე...

გაგრძელება იქნება...